# ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲘ ᲒᲘᲕᲘ ᲙᲘᲦᲣᲠᲐᲫᲔ

ᲨᲔᲛᲓᲒᲔᲜᲚᲔᲑᲘ:
**თამარ ანთაძე და მერაბ კალანდაძე**

გამომცემლობა „ინტელექტი“
თბილისი 2022

წიგნი ეძღვნება ცნობილი ქართველი ისტორიკოსის პროფესორი გივი კილურაძის (1922-1978) დაბადების 100 წლისთავს.

მასში შევეცადეთ თავი მოგვეყარა მასზე არსებული სამეცნიერო ლიტერატურისათვის და მოგონებებისათვის, რომელიც ქართველ მკითხველს წარმოადგენას ჩამოუყალიბებს ქართულ ისტორიოგრაფიაში მის მიერ შეტანილ წვლილზე.

წიგნი განკუთვნილია სტუდენტების და საერთოდ ისტორიის საკითხებით დაინტერესებული ფართო საზოგადოებისათვის.


რედაქტორი **თეიმურაზ პაპასქირი**

რეცენზენტები: **გივი ბოლოთაშვილი**

**ლიკა მეძმარიაშვილი**

ISBN 978-9941-31-571-8


© თამარ ანთაძე, მერაბ კალანდაძე, 2022

*ვუძღვნი ჩემს უსაყვარლეს*
*სანდროს, სანის*

## შემდგენელებისაგან

დასავლეთ ევროპის ქვეყნების ახალი ისტორიის ქართველ მკვლევართა შორის, უდავოდ, ერთ-ერთი გამორჩეული და კოლორიტული ფიგურა ბრძანდებოდა, პროფ. ალექსანდრე ნამორაძის მოწაფე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გივი კიღურაძე (1922-1978). მან თავისი წვლილი შეიტანა და შეეცადა შეძლებისდაგვარად წაეწია წინ საქართველოში დასავლეთ ევროპის ახალი ისტორიის წყაროთმცოდნეობის, ისტორიოგრაფიის და ისტორიის სწავლება, შესწავლა და პოპულარიზაცია. ქართული ისტორიოგრაფიის წინაშე მისი დამსახურება, სწორედ, ამაში უნდა მდგომარეობდეს.

პროფ. გივი კიღურაძე ფართო დიაპაზონის ისტორიკოსი იყო. მისი ინტერესების სფერო არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ დასავლეთ ევროპის ახალი ისტორიის აქტუალური პრობლემებით. ის დიდ ყურადღებას უთმობდა აგრეთვე ახალი ისტორიის წყაროთმცოდნეობის და ისტორიოგრაფიის საკითხების შესწავლას და პოპულარიზაციას. მისი შემოქმედება ემპირული, ფაქტობრივი, ისტორიის და თეორიული საკითხებით დაინტერესების შერწყმის, შეხამების, მცდელობად გვევლინება. თეორიული საკითხებით დაინტერესება მისი როგორც ისტორიკოსის პლუსია.

მან მეცნიერული კვლევა რამდენიმე მიმართულებით წარმართა: საფრანგეთის დიდი რევოლუციის ისტორიის აქტუალური პრობლემების დამუშავება, საერთაშორისო ურთიერთო-

ბების ისტორია XX საუკუნის დასაწყისში, მაროკოს პირველი კრიზისი, საქართველო ევროპის ქვეყნების ურთიერთობების ისტორია. განსაკუთრებით დიდ ყურადღებას უთმობდა ახალი ისტორიის პოპულარიზაციის, პირველ ყოვლისა, ზრუნავდა ახალი ისტორიის სახელმძღვანელოების შექმნაზე. ამ მხრივ მისი წვლილი ფასდაუდებელია. მრავალი ჩანაფიქრის განხორციელება მოასწრო, ზოგიც კი ნაადრევი გარდაცვალების გამო, განუხორციელებელი დარჩა. განსაკუთრებით მტკივნეულად მიგვაჩნია, ის გარემოება, რომ მან ბოლომდე ვერ მიიყვანა ახალი ისტორიის სახელმძღვანელოზე მუშაობა. ეპოქისათვის დამახასიათებელი კონუნქტორული გადახრების მიუხედავად, ამ შრომებს დღესაც არ დაუკარგავს მნიშვნელობა.

ამ კუთხით საკითხის გაშუქება, საინტერესო. არ ატარებს ვიწრო, ლოკალურ, ხასიათს და მას შეიძლება გაცილებით უფრო ფართო სპექტრში შევხედოთ. ის ასოცირდება ორ სერიოზულ პრობლემასთან: როგორ შეიძლება შევაფასოთ საბჭოთა ისტორიოგრაფია და მეორე კიდევ უფრო საინტერესო და აქტუალური პრობლემაა მეცნიერის ბედი ტოტალიტარული-ბოლშევიკური რეჟიმის დროს. დავიწყოთ პირველით. ვიტყვით ელემენტარულ ჭეშმარიტებას. საბჭოთა ისტორიკოსის მიერ ისტორიულ მეცნიერებაში შეტანილი წვლილი სწორედ, რომ გავიაზროთ ამისათვის პირველ ყოვლისა, აუცილებელია ვიყოთ ობიექტურები საბჭოთა ისტორიოგრაფიის შეფასების დროს, სხვაგვარად ეს არ გამოვა. მათ შორის მჭიდრო გენეტიკური კავშირი არსებობს, ისინი ურთიერთზემოქმედებენ, მათ ვერ მოვწყვეტთ ერთმანეთს. ეს შეუძლებელი იქნებოდა. საქმე გვაქვს მთელის შემადგენელ ნაწილთან. მის ერთ-ერთ კომპონენტთან. იმისათვის, რომ კარგად გავიაზროთ საბჭოთა პერიოდის ისტორიკოსის წვლილი აუცილებელია სწორედ შევაფასეთ საბჭოთა ისტორიოგრაფია. ამიტომ ამ თემისადმი გვერდის ავლა მიზანშეწონილად არ იქნებოდა. ამ კუთხით საკითხის განხილვა საინტერეოა და აქტუალურად მიგვაჩნია,

როგორ უნდა შევაფასოთ საბჭოთა პერიოდის ისტორიკოსის წვლილი ისტორიულ მეცნიერებაში? საბჭოთა ისტორიოგრაფიის გააზრების გარეშე კი ამას ვერ გავაკეთებთ.

საბჭოთა პერიოდის ისტორიოგრაფიის აპოლოგეტური შეფასება, რომელიც დომინანტი იყო საბჭოთა წლებში, დღეს, ცხადია, მოძველებულია, ყავლი გაუვიდა, ისტორიული მეცნიერების განვლილ ეტაპს წარმოადგენს. ეს ერთი უკიდურესობა იყო, ერთი უკიდურესობიდან მეორეში არ უნდა აღმოვჩნდეთ. საბჭოთა ისტორიოგრაფიის აუგად მოხსენება ლანძღვა-გინება მიწასთან გასწორება ამუქებს საქმის ვითარებას და აღნიშნული საკითხის ადეკვატურ სურათის ვერ გვიხატავს. ეს უკვე სულ სხვა უკიდურესობა იყო. ორივე უკიდურესობა მიუღებელია. როგორც წესი, ჭეშმარიტება, სადღაც შუაში ძევს. ამ საშუალედო გზის გამოძებნა, რა თქმა უნდა, ადვილი საქმე არ იქნება. სასურველია უფრო გაწონასწორებული დამოკიდებულება. ეს საშუალებას მოგვცემს გამოვკვეთოთ როგორც შუქი, ისე ჩრდილი და შევეცადოთ შეძლებისდაგვარად ავხსნათ მათი გამომწვევი მიზეზები.

პროფესორი გივი კილურაძის საინტერესო გამოკვლევების დღევანდელი გადასახედიდან, მარქსისტული სტერეოტიპების და შტამპების გამო, მკაცრად განსჯა მიზანშეწონილი არ უნდა ჩანდეს, ადვილი გზით სიარული იქნებოდა და ჰიპერკრიტიკულად მიგვაჩნია, „ეს იყო ჩვენი უბედურება და არა დანაშაული. ვფიქრობთ, ეს უფრო ადეკვატური უნდა იყოს. ყურადღებას გავამახვილებთ ორ გარემოებაზე: იმპერიის, ფაქტოლოგიის, დონეზე პროგრესი აშკარაა და ამის უგულებელყოფა, უმართებულო იქნებოდა. საკითხისადმი მეცნიერული მიდგომა კვლავ ძალაში რჩება, მაგრამ ცალმხრივი ხასიათი შეიძინა და ერთი ვიწროდოგმატურად გაგებული მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის ყალიბში აღმოჩნდა მოქცეული. არჩევანი არ არსებობდა. განსხვავებული აზრი მიუღებელი იყო, იდევნებოდა, უმალ ცრუმეცნიერებად ცხადდებოდა. მოხდა ისტორიული

მეცნიერების უნიფიკაცია, სტალინიზაცია. საკითხისადმი ვიწროდოგმატურად გაგებული მარქსისტულ-ლენინური მიდგომა აღიქმებოდა, როგორც უკანასკნელი ჭეშმარიტება. ისტორიულ მეცნიერებას არ ხელეწიფება ერთი ჭეშმარიტება. ეს ისტორიული მეცნიერების სიკვდილის ტოლფასი იქნება. ამ გზას ჩიხში მივყავართ. ამის ლოგიკური შედეგი იყო. საბჭოთა ისტორიოგრაფიის თეორიული, მეთოდოლოგიური თვალსაზრისით, გაუფერულება საბჭოთა ისტორიოგრაფიის კრიზისის გასაღები, სწორედ, აქ ძევს. ბოლოს და ბოლოს მან ლეტალური ანუ სასისკვდილო ხასიათი მიიღო.

თუ ამ თემებს ძალით თავს მოხვეული მარქსისტულ გარემოს ჩამოვაცლით მასში ღირებული მაინც რჩება და ეს მასალა უნდა გახდეს მეცნიერული განსჯის საგანი. პირველ ყოვლისა, ასეთად გვესახება ამ შრომებში გამოყენებული მდიდარი მეცნიერული ინფორმაცია, გამოვლენილი ახალი ფაქტობრივი მასალა, სამეცნიერო მიმოქცევაში შემოტანილი ახალი წყაროები და საარქივი დოკუმენტები. მას თავისი მნიშვნელობა დღესაც არ დაუკარგავს და მისი გამოყენება გამორიცხულად არ მიგვაჩნია. ახლა მას სულ სხვაგვარი ინტერპრეტაცია გაუკეთდება. აი, სწორედ, ამ კრიტერიუმით უნდა მიუდგეთ პროფესორი გივი კილურაძის შრომების მნიშვნელობის შეფასებას. უნდა ითქვას, რომ ის გამონაკლისს არ წარმოადგენს და, ვფიქრობთ, ძალიან კარგად თავსდება ამ კონტექსტში. იკვეთება საინტერესო სურათი. ქართველმა ისტოროიკოსმა აირჩია სერიოზული მეცნიერული პრობლემა და მოგვცა მისი მარქსისტული გადაწყვეტა. ამ გზით მაშინ ძალიან ბევრი მიდიოდა. მათ შორის იყო ისიც. ასეთი ნაბიჯი, რა თქმა უნდა, კარგი ცხოვრებით არ იყო გამოწვეული. ეს იმ ექსტრემალური ვითარებიდან ერთ-ერთი რეალისტური გამოსავალი ჩანდა. ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინა. არჩევენი იყო უარესსა და ცუდს შორის. მან სწორი ნაბიჯი გადადგა და ფსონი ამ უკანასკნელზე გააკეთეს. ამ კომპრომისის გამო, მისი მკაცრად გან-

სჯა მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია. საინტერესოა ორი გარემოება. ჯერ ერთი ამ ნაბიჯმა ფაქტობრივად გადაარჩინა დარგი დაღუპვისაგან. რისი დიდი ალბათობაც არსებობდა და მეორე, დღეს ამ სფეროში მშობლიურ ენაზე ის მცირე ლიტერატურაც არ გვექნებოდა, რომელიც გაგვაჩნია. ამ საქმეში თავისი მოკრძალებული წვლილი პროფესორი გივი კიღურაძემაც შეიტანა. ეს იყო წმინდა პრაგმატული, პრაქტიკული, ნაბიჯი, რომელსაც პლუსები გაცილებით უფრო მეტი გააჩნდა, ვიდრე მინუსები. შუქი ჭარბობს ჩრდილს. ამიტომ ის გამართლებული იყო. დღევანდელი გადასახედიდან, ამ კომპრომისის გამო, მისი მკაცრად განსჯა, ალბათ მაინც დიდ სიფრთხილეს მოითხოვს და, რეალობას უფრო გვაშორებს, ვიდრე გვაახლოვებს.

ახლა გადავიდეთ მეორე თემაზე. ის წარმოადგენს ნაწილს კიდევ ერთი ფრიად საინტერესო და აქტუალური საკითხის, საქმე ეხება მეცნიერის ბედს ტოტალიტარულ-ბოლშევიკური რეჟიმის პირობებში. ამჯერად ამას გავაკეთებთ პროფესორი გივი კიღურაძის ცხოვრების და მოღვაწეობის გაშუქების მაგალითზე. ამ კუთხით ეს საკითხი საბჭოთა წლებში არც კი დასმულა. ამის გაკეთება მაშინ უბრალოდ შეუძლებელი იქნებოდა. მასზე ყურადღების გამახვილება მხოლოდ პოსტსაბჭოთა პერიოდში გახდა შესაძლებელი, როდესაც მკვეთრად შეიცვალა პოლიტიკური კლიმატი. სახელმწიფო ცდილობს აქტიურად ჩაერიოს მეცნიერების საქმიანობაში და ისტორიკოსს ძალით მოახვიეს თავს სახელმწიფოსათვის სასურველი იდეოლოგია. ფაქტობრივად უზღუდავს მეცნიერს აზროვნების თავისუფლოებას. ამიტომ მეტად მიამიტურად გაისმი მოსაზრება თითქოსდა საბჭოთა წლებში სახელმწიფო არ ერეოდა მეცნიერების საქმიანობაში. ეს ამ საქმეში ჩაუხედავი კაცის აზრი უნდა იყოს.. რა თქმა უნდა, მას არავინ დევნიდა, ავიწროებდა, მაგრამ თავისუფალი აზროვნების შეზღუდვა, შეიძლება ითქვას, რომ მან საკუთარ თავზე იგრძნო. ის იძუ-

ლებულია ხარკი მოუხადოს ერთი იდოლოგიის მონოპოლიას. საფრანგეთის დიდ რევოლუციაზე პროფესორი გივი კილურაძის შრომებისათვის დამახასიათებელი იაკობინოცენტრიზმი, ცხადია, შემთხვევითი არ ყოფილა მასში პირველყოვლისა, სწორედ, ამის გამოძახილი უნდა დავინახოთ. აქ აისახა სავსებით რეალური ვითარება, ის იძულებულია ანგარიში გაუწიოს ვიწროდოგმატურად გაგებულ მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის მონოპოლიას, დიქტატს. მას სხვა არჩევანი არ აქვს, რამდენად იყოს ის ამ შემთხვევაში გულწრფელი ძნელი სათქმელია. ალბათ, მაინც არა. კატეგორიულად არაფერს ვამტკიცებთ. ეს მხოლოდ ჩვენი ფრთხილი ვარაუდია. „ეს იყო ჩვენი უბედურება და არა დანაშაული“. ვფიქრობთ, ეს უფრო სწორი იქნებოდა.

* * *

წლეულს ღვაწლმოსილ ქართველ ისტორიკოსს პროფესორ გივი კილურაძეს დაბადებიდან 100 წელი შეუსრულდებოდა. ამიტომ მიზანშეწონილად ვცანით გაგვეხსენებინა მისი განვლილი გზა და ქართულ ისტორიოგრაფიაში შეტანილი წვლილი.

წინამდებარე ნაშრომი არ წარმოადგენს მეცნიერულ გამოკვლევას ამ სიტყვის მკაცრი მეცნიერული მნიშვნელობით, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, თითქოს აქ მეცნიერულ კვლევასთან არ გვქონდეს საქმე. ეს სწორი არ იქნება აქ მეცნიერულ კვლევას განსხვავებული ფორმა გააჩნია. ფაქტობრივად, ეს გახლავთ სამეცნიერო კრებული, რომელშიც შევიდა ის საინტერესო მეცნიერული გამოკვლევები, რომელიც დაიწერა ცნობილი მეცნიერის შემოქმედებაზე.

მისი საქმიანობით დაინტერესებას თავისი ხანგრძლივი ტრადიცია გააჩნია და ორ მკვეთრად გამოკვეთილ პერიოდად იყოფა. საბჭოთა წლები და პოსტსაბჭოთა ხანა. ამ მიმართულებით პირველი სერიოზული ნაბიჯი ჯერ კიდევ საბჭო-

თა ეპოქაში გადაიდგა. ამ თვალსაზრისით, ყურადღებას იპყრობს პროფესორი კოტე ანთაძის საინტერესო ნაშრომი „გივი კილურაძე ცხოვრება და მოღვაწეობა". ამით ეს საქმე კი არ დამთავრდა, არამედ პირიქით დაიწყო. თუ თავდაპირველად ამ საქმის ინიციატორებად მისი კოლეგები მოგვევლინენ, არსებითად შეიცვალა ვითარება პოსტსაბჭოთა ხანაში. ახლა ეს საქმე თავის თავზე აიღეს მისმა მოწაფეებმა. ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ მისი შემოქმედება ქართულ ისტორიოგრაფიაში საკმაოდ კარგადაა შესწავლილი. ეს, ცხადია, ძალიან კარგია.

ცალკეული ქართველი ისტორიკოსების შემოქმედების შესწავლა საინტერესო თემაა და საკმაოდ პერსპექტიულად გამოიყურება. მაგრამ ამ საკითხის გაშუქებას ქართულ ისტორიოგრაფიაში დღემდე არ ეთმობა სათანადო ყურადღება და სასურველი იქნებოდა თუ ეს მდგომარეობა უახლოეს ხანებში გამოსწორებული იქნება. ასეთი ნაშრომი აპოლოგეტური ხასიათს არ უნდა ატარებდეს. მეორეს მხრივ არ უნდა იყოს ისტორიკოსის განქიქება, შეუფასებლობა. სასურველი იქნებოდა ზომიერების გრძნობა შევინარჩუნოთ და ემოციები შევიკავოთ. ვიყოთ ობიექტურები. ასეთი ისტორიოგრაფიული ნაშრომი ჭეშმარიტად ღირებული იქნება.

ნაშრომში ეცადეთ გაგვეთვალისწინებინა ყველაფერი ის რაც დაწერილია პროფესორი გივი კილურაძის ცხოვრებაზე და მოღვაწეობაზე. ამჯერად მას ერთად მოუყარეთ თავი და გამოვიტანეთ მკითხველის სამსჯავროზე. ეს შრომებია:

1. კ. ანთაძე, გივი კილურაძე. ცხოვრება და მოღვაწეობა, თბ., 1983. გვ. 48.
2. მ. კალანდაძე, პროფესორი გივი კილურაძე, თსუ შრომები, ტ. 359. თბ., 2005. გვ. 160-172.
3. M. Kalandadze, Ein ceorgischer Frforscher der Neuen Geschichte Westeuropas Georgika; 2007. გვ. 45-55.
4. მ. კალანდაძე, გივი კილურაძე და ამერიკის შეერთებული შტატების ახალი ისტორიის საკითხები, საისტორიო ძიე-

ბანი, XII, 2013-2015. გვ. 298-308.
5. გივი კილურაძე, კრებული მიძღვნილი გივი კილურაძის ხსოვნისადმი, თბ., 1998. გვ. 5-9.
6. თ. ანთაძე, ღირსეულად დაფასებული მეცნიერი, კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხები, XXIII, თბ., 2019. გვ, 139-152.
7. თ. ანთაძე, გივი კილურაძე ახალგაზრდა მეცნიერთა გზამკვლევია (იბეჭდება).
8. ა. სურგულაძე, არდავიწყენა მოყვრისა... თბ., 1986. გვ. 117-120.
9. К· Бочоришвили, Научная сесия тбилиском государственном университет, Французскии Ежегодник 1982· М., 1984. გვ· 259-260. (აქ გათვალისიწნებული არაა საგაზეთო სტატიები). ნაშრომში მასალა სწორედ ამ თანმიმდევრობითაა დალაგებული.

თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი
სახელმწიფო უნივერსიტეტი

კოტე ანთაძე

# გივი კილურაძე

## ცხოვრება და მოღვაწეობა.

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა
თბილისი 1983

წინამდებარე ნარკვევი მკითხველს აცნობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი ისტორიის კათედრის გამგის, ევროპისა და ამერიკის ქვეყნების წარსულის შემსწავლელ ქართველ მეცნიერთა ერთ-ერთ შესანიშნავი წარმომადგენლის პროფ. გ. კიღურაძის შემოქმედებასა და მოღვაწეობას.


რედაქტორი პროფ. **ვ. დონაძე**

რეცენზენტები: **რ. ლასკარი**

**ნ. ნამორაძე**

**АНТАДЗЕ КОНСТАНТИН ДОДОЕВИЧ**

# ГИВИ КИГУРАДЗЕ
# ЖИЗНЬ И ДЕЯТЕЛЬНОСТЬ

(на грузинском языке)

Издательство Тбилисского университета

Тбилиси 1983

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1983

## გივი კილურაძე

## ცხოვრება და მოღვაწეობა

პროფესორი გივი შალვას ძე კილურაძე სამ ათეულ წელზე მეტ ხანს ერთგულად ემსახურებოდა საქართველოში ისტორიული მეცნიერების წინსვლას. ამ დროის მანძილზე მან ბევრი რამ შესძინა ქართული ისტორიული აზრის განვითარებას და არაერთი სოლიდური მეცნიერული გამოკვლევით გაამდიდრა იგი.

გ. კილურაძე დაიბადა ქალაქ თბილისში 1922 წლის 12 თებერვალს, ინტელიგენტის ოჯახში.

გ. კილურაძის პაპა, მამის მხრივ, პავლე კილურაძე იყო სოფელ ვანისქედიდან. იგი რევოლუციამდელ ქართულ ჟურნალ-გაზეთებში აქვეყნებდა წერილებს გურიის წარსულისა და მატერიალური ძეგლების შესახებ. გ. კილურაძის პაპა, დედის მხრივ, ნესტორ მუჯირი მუშაობდა მცხეთაში რკინიგზაზე, 1905 წლის რევოლუციურ გამოსვლებში მონაწილეობისათვის იგი გადაასახლეს ყარსში.

გ. კილურაძის მამამ – შალვა პავლეს ძე კილურაძემ შრომითი საქმიანობა დაიწყო 1917 წელს, ტრაპიზონის სამხედრო-საზღვაო უწყებაში. ამავე დროს იგი ეწეოდა კულტურულ-საგანმანათლებლო და რევოლუციურ მოღვაწეობას – იყო ტრაპიზონის ქართველ სცენისმოყვარეთა დრამატული დასის ხელმძღვანელი და მეზღვაურთა კომიტეტის წევრი. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ შ. კილურაძე აქტიურად ჩაება ახალი ცხოვრების დაცვისა და მშენებლობის საქმეში.

გ. კილურაძის დედა – თამარ ნესტორის ასული მუჯირი თბილისის უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტზე სწავლობდა.

გივი კილურაძემ ადრე დაკარგა მშობლები. ჯერ კიდევ პატარას გარდაეცვალა დედა. მისი აღზრდა თავს იდო მამიდამ, ქსენია პავლეს ასულმა კილურაძემ. 1929 წელს გ. კილურაძე სკოლაში მიაბარეს. ნიჭიერი და შრომისმოყვარე მოწაფე დაეწაფა სწავლას. ძალიან ბევრს კითხულობდა და ეს ჩვეულება მთელი სიცოცხლის მანძილზე გაჰყვა.

1939 წელს გ. კილურაძემ ფრიადზე დაამთავრა თბილისის 25-ე საშუალო სკოლა და იმავე წელს შეიტანა საბუთები თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტზე. მაგრამ სამედიცინო ინსტიტუტში სულ ორი კვირა ისწავლა. სექტემბრის შუა რიცხვებიდან მან სწავლა გააგრელა თბილისის სახლმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე.

სტუდენტობის დროს გ. კილურაძე მუყაითად და ენერგიულად მუშაობდა. იგი განსაკუთრებით დააინტერესა ახალმა ისტორიამ. შრომისმორყვრე და გამრჯე სტუდენტს ყურადღება მიაქცია გამოჩენილმა ქართველმა მეცნიერმა ალექსანდრე ნამორაძემ[1], რომელმაც მას რამდენიმე თემა მისცა დასამუშავებლად. გ. კილურაძემ შესანიშნავად გაართვა თავი მზრუნველი, მაგრამ მომთხოვნი პროფესორის დავალებებს. ამავე დროს მან თავი გამოიჩინა ახალი ისტორიის სემინარებზე, წაიკითხა ორი შინაარსიანი და დასაბუთებული მოხსენება[2].

გ. კილურაძემ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი დაამათავრა 1943 წელს და წარმატებით ჩააბარა მისაღები გამოცდები ასპირანტურაში სწავლის გასაგრძელებლად. ახალ ისტორიაში იგი გამოცადეს პროფესორებმა – გრ. ნათაძემ და ალ. ნამორაძემ, მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლებში (როგორც

[1] ანთაძე კ., ალექსანდრე ნამორაძე, ქართული ისტორიოგრაფია, 2, მეცნიერება, 1971, გვ. 149-166.

[2] თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქივი, ფონდი I, ანაწერი I, შესანახი ერთეული 733, ასპირანტურა, ახალი ისტორიის სპეციალობა, კილურაძე გ. შ., ფურცელი 27.

შემდეგ უყვარდა ხოლმე თქმა – ორმა სეითმა) ლარცულიანმა და სიმონგულოვმა, ხოლო გერმანულ და რუსულ ენებში – ერ. ტატიშვილისა და დ. მგელაძის ხელმძღვანელობით შედგენილმა კომისიამ. მიუხედავად გამომცდელთა მაღალი მოთხოვნებისა, გ. კიღურაძემ ოთხივე საგანში მიიღო ფრიადი შეფასება[3], რაც მეცნიერების მძიმე და რთულ გზაზე დამდგარი ახალგაზრდის სერიოზულ განაცხადს და მომავალი წარმატებების მტკიცე საწინდარს წარმოადგენდა.

ასპირანტურაში შესვლის შემდეგ გ. კიღურაძემ მთელი თავისი შემდგომი პროფესიული ცხოვრება მჭიდროდ დაუკავშირა ალ. ნამორაძის კათედრას და თავისი თვალსაჩინო მასწავლებლის ხელმძღვანელობით იგი ჩამოყალიბდა ერუდირებულ ისტორიკოსად, შესანიშნავ ლექტორად და ნიჭიერ მკვლევრად.

გ. კიღურაძემ ასპირანტურაში ჩარიცხვის დღიდან დაიწყო მუშაობა ახალ ისტორიაში. პროფ. ალ. ნამორაძე მიუთითებდა, რომ გრ. კიღურაძე „თავის საქმეს ყოველთვის შეგნებულად და მთელი სერიოზულობით ეკიდებოდა. იგი ცდილობდა ღრმად ჩაეხედა მოვლენებში და ფართოდ გასცნობოდა მათ. ყოველი საკითხის შესწავლის დროს იგი ამუშავებდა რეკომენდებულ მონოგრაფიებს, ზოგად ლიტერატურას და იმ დოკუმენტურ მასალას, რომელზედაც მას ხელი მიუწვდებოდა. ადგენდა კონსპექტებს და წერილობით მოხსენებებს“[4].

გ. კიღურაძე ასევე წარმატებით განაგრძობდა მუშაობას ასპირანტურის მეორე კურსზეც, რაზეც მეტყველებს პროფ. ალ. ნამორაძის მიერ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის სახელზე დაწერილი მოხსენებითი ბარათი.

„... ამ წლის განმავლობაში მან (გ. კიღურაძემ, კ. ა.) ჩააბარა კათედრის მიერ დამტკიცებული სამუშაო გეგმის მიხედვით საკანდიდატო მინიმუმის ყველა საგანი...

---

[3] იქვე, ფურცელი 21.

[4] თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქივი, ფონდი I, ანაწერი I, შესანახი ერთეული 733, ასპირანტურა, ახალი ისტორიის სპეციალობა, კიღურაძე გ. შ., ფურცელი 10.

ასპირანტი გ. კიღურაძე ეცნობა ისტორიის კურსის მთავარ საკითხებს სპეციალური მონოგრაფიების, მემუარული ლიტერატურისა და სათანადო დოკუმენტური მასალის მიხედვით. ყოველი დამუშავებული საკითხის შესახებ მას წარმოდგენილი აქვს წერილობითი მოხსენება.

მიმდინარე სასწავლო წლის განმავლობაში აღნიშნული წესით მან დაამუშავა ახალი ისტორიის რვა თემა. აქედან სამი თემა მას დამუშავებული აქვს პროფ. გრ. ნათაძის ხელმძღვანელობით, დანარჩენი თემები კი – პირადად ჩემი ხელმძღვანელობით“[5].

განსხვავებით საკანდიდატო მინიმუმის საგნებისაგან, რომლებიც გ. კიღურაძემ ასპირანტურის დროს ინდივიდუალური მუშაობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში ჩააბარა, საკანდიდატო დისერტაციის დაცვა რამდენიმე წლით გაუჭიანურდა.

მეტად რთულია კვლევა ევროპისა და ამერიკის ქვეყნების ახალ და უახლეს ისტორიაში, რადგან მკვლევრისათვის საქართველოში ძნელი მისაწვდომია არა მარტო პირველწყაროები, არამედ სამეცნიერო ლიტერატურაც. ასეთი სახის კვლევის გარეშე კი შეუძლებელია ქართველი პროფესიონალი ისტორიკოსების აღზრდა. ალ. ნამორაძის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მიუხედავად ამ სიძნელეებისა, მისი მოწაფეების კვლევითი მუშაობა თანამედროვე მეცნიერული თვალსაზრისით ყოველთვის მაღალ დონეზე იდგა.

ალ. ნამორაძემ გ. კიღურაძეს საკანდიდატო დისერტაციად სამი თემა შესთავაზა: „ერეკლე II-ის ურთიერთობა ევროპის სახელმწიფოებთან“, „ილია ჭავჭავაძე ევროპის ისტორიის შესახებ“ და „გერმანიისა და საფრანგეთის წინააღმდეგობა პირველი იმპერიალისტური ომის წინ მაროკოს საკითხში“. გ. კიღურაძემ სადისერტაციო თემად აირჩია უკანასკნელი. იგი 1946 წელს გაიგზავნა მოსკოვში მივლინებით, სადაც მდიდარი ბიბლიოგრაფია შეადგინა საკითხის შესახებ.

[5] იქვე, ფურცელი 7-8.

1949 წლის დასაწყისისათვის გ. კილურაძემ დაასრულა მუშაობა საკანდიდატო დისერტაციაზე. მუშაობის დამამთავრებელ ეტაპზე გამოიკვეთა დისერტაციის საბოლოო სათაურიც – „მაროკოს პრობლემა გერმანიის იმპერიალიზმის პოლიტიკაში 1904-1906 წწ."; რადგან იმ დროს უმაღლესი საატესტაციო კომისია არ ზღუდავდა საკვალიფიკაციო ნაშრომების მოცულობას, გ. კილურაძის სადისერტაციო შრომა მოიცავდა რემინგტონის მანქანაზე ნაბეჭდ 320 გვერდს და შედგებოდა შესავლის, ექვსი თავის, დასკვნის, გამოყენებული წყაროებისა და ლიტერატურის სიისაგან.

1949 წლის 16 აპრილის სხდომაზე ახალი ისტორიის კათედრამ მოისმინა პროფ. ალ. ნამორაძის ინფორმაცია გ. კილურაძის მიერ წარმოდგენილი საკანდიდატო დისერტაციის შესახებ. პროფ. ალ. ნამორაძემ დაწვრილებით განიხილა წარმოდგენილი ნაშრომი; მიუთითა, რომ ავტორი ეყრდნობა დოკუმენტურ მასალას და აგრეთვე მისთვის ხელმისაწვდომ ლიტერატურას: რუსულ, გერმანულ და ფრანგულ ენებზე. აღნიშნა, რომ ნაშრომი დაწერილია გამართული ქართული ენით და საინტერესოდ იკითხება. მოიწონა ავტორის მიერ გამომჟღავნებული საერთო ისტორიული განათლება, საკვლევი საკითხის ღრმა ცოდნა და მეცნიერული კვლევის უნარი.

პროფ. ალ. ნამორაძის ინფორმაციის საფუძველზე ახალი ისტორიის კათედრამ მიზანშეწონილად მიიჩნია გ. კილურაძის ნაშრომის – „მაროკოს პრობლემა გერმანიის იმპერიალიზმის პოლიტიკაში 1904-1906 წწ". წარდგენა საკანდიდატო დისერტაციად; რეცენზენტებად გამოიყო პროფ. გ. გოზალიშვილი და დოც. ს. ბოკუჩავა[6].ისტორიის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭომ და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორატმა მსვლელობა მისცეს გ. კილურაძის განცხადებას და დაამტკი-

---

[6] საქართველოს სსრ ოქტომბრის რევოლუციისა და სოციალისტური მშენებლობის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 471, ანაწერი 19, შესანახი ერთეული 1182, ფურცელი 17.

ცეს ახალი ისტორიის კათედრის რეკომენდაცია პროფ. გ. გოზალიშვილისა და დოც. ს. ბოკუჩავას რეცენზენტებად დანიშვნის შესახებ. მათ მიერ დადებითი რეცენზიების წარმოდგენის შემდეგ, ისინი დაამტკიცეს ოფიციალურ ოპონენტებად და 1949 წლის 28 აპრილს, 12 საათზე, უნივერსიტეტის პირველი კორპუსის 86-ე აუდიტორიაში დაინიშნა გ. კიღურაძის დისერტაციის საჯარო დაცვა. იმ დროს არსებული წესის მიხედვით, საკანდიდატო დისერტაციის დაცვა ეწყობოდა ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოზე[7].

სამეცნიერო საბჭოს სხდომა გახსნა ისტორიის ფაკულტეტის დეკანმა იასე ცინცაძემ, სწავლული მდივნის ვარლამ დონდუას ინფორმაციისა და დისერტანტის შესავალი სიტყვის შემდეგ გამოვიდნენ ოფიციალური ოპონენტები[8].

ოპონენტებმა მაღალი შეფასება მისცეს გ. კიღურაძის სადისერტაციო ნაშრომს. მათ მიუთითეს, რომ დისერტანტს უხვად აქვს გამოყენებული როგორც რუსულ, ისე უცხო ენებზე არსებული პირველწყაროები და სამეცნიერო ლიტერატურა; აღნიშნეს დისერტანტის მიერ ზოგიერთი წყაროს პირველად შეტანა სამეცნიერო მიმოქცევაში. მოიწონეს ავტორის მიერ ბურჟუაზიული ისტორიგრაფიისა და არქეოგრაფიის ტენდენციურობის გათვალისწინება, გამოყენებული მასალისა და სამეცნიერო ლიტერატურის კრიტიკული განხილვა[9].

ს. ბოკუჩავა მიუთითებდა: „დისერტანტს აღებული აქვს მეტად საინტერესო და ამავე დროს აქტუალური თემა, თანაც არც ისე იოლად დასაძლევი. შრომაში დაყენებულ პრობლემას მაროკოს შესახებ მკვლევრისათვის ის მნიშვნელობა აქვს, რომ მაროკოს პირველი კრიზისი წარმოადგენდა იმ გრძელი ჯაჭვის

[7] იქვე, ფურცელი 5, 12, 21, 22, 24.

[8] იქვე, ფურცელი 64-72.

[9] იქვე, ფურცელი 73-83, 94-100.

ერთ-ერთ რგოლთაგანს, რამაც გერმანიის იმპერიალიზმის სახით მოამზადა და გააჩაღა პირველი იმპერიალისტური ომი“[10].

გ. კიღურაძემ საბჭოთა ისტორიოგრაფიაში პირველმა დაიწყო მაროკოს კრიზისის მონოგრაფიული დამუშავება გერმანიის იმპერიალიზმის 1904-1906 წლების საგარეო პოლიტიკაში. ეს გარემოებაც არ დარჩენილა ოპონენტთა ყურადღების გარეშე[11].

რაც შეეხება ოპონენტთა შენიშვნებს, როგორც თვით გ. კიღურაძე აღნიშნავდა, ისინი „ჩვენს მიერ წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომის გულისხმიერი და მეცნიერული კეთილსინდისიერებით გაცნობის შედეგია; ეს შენიშვნები დისერტაციის ავტორს დიდ დახმარებას გაუწევს მომავალ მუშაობაში, ეს შენიშვნები გარკვეულად დაეხმარება დისერტანტს გააასკეცოს ერთგულება მეცნიერებისადმი, კიდევ უფრო დააფასოს მასწავლებელთა როლი ახალგაზრდა მკვლევრის შემდგომი აღზრდის საქმეში“. „შენიშვნები პრინციპულად არ უარყოფს დისერტაციაში წამოყენებულ რომელიმე ძირითად დებულებას; ეს შენიშვნები გამიზნულია ნაშრომში წამოყენებული დებულებების შემდგომი გამდიდრებისა და დაზუსტებისათვის“[12].

პროფ. გ. გოზალიშვილმა ისტორიის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს განუცხადა: გ. კიღურაძე „დაუფლებულია კვლევითი მუშაობის მეთოდებს და შესწევს უნარი განაგრძოს დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა. გ. კიღურაძის სადისერტაციო ნაშრომი სავსებით აკმაყოფილებს საკანდიდატო ნაშრომის ყველა მოთხოვნას, რის გამოც შესაძლებლად მიმაჩნია რომ მისი ავტორისათვის ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მინიჭება“[13].

---

[10] საქართველოს სსრ ოქტომბრის რევოლუციისა და სოციალისტური მშენებლობის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 471, ანაწერი 19, შესანახი ერთეული 1182, ფურცელი 94.

[11] იქვე, ფურცელი 73-83, 94-100.

[12] იქვე, ფურცელი 83, 101.

[13] იქვე, ფურცელი 82.

მეორე ოპონენტმა, დოც. ს. ბოკუჩავამ აღნიშნა: გ. კიღურაძის სადისერტაციო ნაშრომი „წარმოადგენს სერიოზულ მეცნიერულ შრომას, მისი ავტორი იჩენს მეცნიერული კვლევისა და მეცნიერული ანალიზის უნარს. ამასთან იგი დაუფლებულია უცხო ენებსაც, რაც აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს დასავლეთ ევროპის ისტორიის მკვლევართათვის. შრომის ავტორს ყველა მონაცემი აქვს, რომ იყოს ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი“[14].

ისტორიის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭომ დააკმაყოფილა ორივე ოფიციალური ოპონენტის შუამდგომლობა და დაავალა გამოჩენილ ქართველ მეცნიერს სიმონ ყაუხჩიშვილს, იმ დროს არსებული წესის შესაბამისად, გაეტანა საკითხი უნივერსიტეტის საბჭოს წინაშე.

1949 წლის 29 ივნისს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს ს. ყაუხჩიშვილმა მოახსენა, რომ ისტორიის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე გ. კიღურაძემ დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია და წარმოდგენილი შრომით დაამტკიცა თავისი მომზადებაც და სამეცნიერო კვლევა-ძიების უნარიც. მომხსენებელმა მიუთითა, რომ საბჭოს სხდომას დაესწრო 14 წევრი (19 წევრიდან) და გ. კიღურაძეს ერთხმად მიენიჭა ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი[15].

ზემოაღნიშნულის საფუძველზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭომ, შემდეგ კი უმაღლესმა საატესტაციო კომისიამ, დაამტკიცეს ისტორისა ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს დადგენილება გ. კიღურაძისათვის ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მინიჭების შესახებ.

---

[14] საქართველოს სსრ ოქტომბრის რევოლუციისა და სოციალისტური მშენებლობის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 471, ანაწერი 19, შესანახი ერთეული 1182, ფურცელი 98.

[15] იქვე, ფურცელი 106.

პედაგოგიურ მოღვაწეობას გ. კიღურაძე 1944 წლიდან შეუდგა. 1944-1945 სასწავლო წელს იგი მუშაობდა აკაკი წერეთლის სახელობის ზუგდიდის სამასწავლებლო ინსტიტუტში მსოფლიო ისტორიის ლექტორად. იმავე სასწავლო წელს კითხულობდა ლექციებს მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტში. ასპირანტურის დამთავრების შემდეგ, 1946 წლიდან კი დაიწყო მუშაობა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი ისტორიის კათედრაზე.

დაახლოებით სამ ათეულ წელს მოღვაწეობდა გ. კიღურაძე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი ისტორიის კათედრაზე: 1946-1947 წლებში იგი იყო კათედრის ასისტენტი, 1947 წელს – მასწავლებელი, 1947-1950 წლებში – უფროსი მასწავლებელი, 1950-1969 წლებში – დოცენტი; 1969 წელს იგი აირჩიეს ახალი ისტორიის კათედრის გამგედ. ცხოვრების ბოლო ცხრა წლის მანძილზე, როდესაც გ. კიღურაძე განაგებდა ახალი ისტორიის კათედრას, სრული ძალით გამომჟღავნდა მისი უდიდესი შესაძლებლობანი. იგი იყო არა მარტო ნიჭიერი მკვლევარი და პედაგოგი, არამედ სასწავლო პროცესისა და სამეცნიერო მუშაობის გამოცდილი და ენერგიული ორგანიზატორი.

პროფ. გ. კიღურაძის სერიოზული დამსახურება იყო ის, რომ ახალი ისტორიის კათედრა ერთ-ერთი მოწინავე გახდა მთელს უნივერსიტეტში და ევროპისა და ამერიკის ქვეყნების ახალი და უახლესი ისტორიის აქტუალური პრობლემების კვლევის მნიშვნელოვან კერად იქცა ჩვენს რესპუბლიკაში.

წლების მანძილზე გ. კიღურაძე იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე და ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის მსოფლიო ისტორიის რედაქციის კონსულტანტი. კითხულობდა ლექციებს პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში. პროფ. გ. კიღურაძე გარდაცვალებამდე ხელმძღვანელობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არ-

სებულ მსოფლიო ისტორიის სპეციალობით მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხების მოსაპოვებლად დისერტაციების დაცვის სპეციალიზებულ საბჭოს, უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის სამეცნიერო შრომების სარედაქციო კოლეგიას, საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს სახელმძღვანელოების განყოფილების ისტორიის მეთოდიკურ საბჭოს.

პროფ. გ. კიღურაძე აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა ჩვენი რესპუბლიკის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. სხვადასხვა დროს იგი არჩეული საქართველოს კომუნისტური პარტიის ქალაქ თბილისის ორჯონიკიძის რაიონის კომიტეტის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტიული კომიტეტის, ისტორიის ფაკულტეტის პარტბიუროს წევრად, ქალაქ თბილისის ორჯონიკიძის რაისაბჭოს დეპუტატად და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფკომის წევრად.

პროფ. გ. კიღურაძისათვის საზოგადოებრივ-პოლიტიკური და პროფესიული მოღვაწეობა, მოქალაქეობა და ისტორიკოსობა განუყოფელი იყო:

„საზოგადოებრივი პრესტიჟი ინტელიგენტისათვის ყველაფერია. უამისოდ იგი ვერ განახორციელებს დაკისრებულ დიდ სოციალურ-პოლიტიკურ ფუნქციას. უმწიკვლო, შეურყვნელი რეპუტაცია – აი, რა განსაზღვრავს ინტელიგენტის სახეს.

სამწუხაროდ, ქართველი ინტელიგენციის, ამ შემთხვევაში სამეცნიერო ინტელიგენციის ერთმა ნაწილმა, უფრო სწორად ინტელიგენტთა რიგებში შემოპარულმა ან თავსმოხვეულმა შემთხვევითმა პირებმა – მეცნიერ-საქმოსნებმა ხალხის თვალში ერთგვარად შეარყიეს ქართველი ინტელიგენტის პრესტიჟი. დავიწყებას უნდა მიეცეს ჭეშმარიტ ინტელიგენტთა იგნორირების მავნე პრაქტიკა, რაც ჩვენს რესპუბლიკაში იგრძნობა.

ჩემი უპირატესი სურვილია ამ რეპუტაციის რაც შეიძლება სწრაფად აღდგენა. უღირსსა და შემთხვევით პირებს უმაღლეს

სასწავლებლებსა და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში, საერთოდ, ინტელიგენტთა კორპორაციაში კარები სამუდამოდ უნდა დაეკეტოს. საზოგადოების რიგებიდან მათი საბოლოო ამოძირკვა საერთო-სახალხო საქმეა. ამ საქმეში უპირველესი როლი კი თვით ინტელიგენციამ უნდა შეასრულოს“[16].

ეს არ იყო პროფ გ. კილურაძის ლიტონი სიტყვები. თავისი ხანგრძლივ პედაგოგიური მოღვაწეობის მანძილზე გ. კიღურაძე ძალ-ღონეს არ ზოგავდა, აღეზარდა არა მხოლოდ მაღალკვალიფიციური სპეციალისტ-ისტორიკოსები, არამედ ჭეშმარიტი ინტელიგენტები, ჩვენი საზოგადოების ეთიკური და მორალური საფუძვლების მტკიცე დამცველები.

პროფ. გ. კიღურაძე განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა კათედრაზე სასწავლო პროცესის მაღალ დონეზე წარმართვას.

გ. კიღურაძის ლექციები მუდამ გამოირჩეოდა სრულყოფილი მეთოდიკური ჩვევებით, მეცნიერული სოლიდურობით, ფაქტობრივი მასალის სიუხვითა და ხატოვანი მჭევრმეტყველებით. მან თავისი შეხედულებანი ლექციის მომზადებისა და ჩატარების შესახებ ერთიან სისტემად ჩამოაყალიბა უაღრესად საინტერესო კურსში – ორატორული (სალექციო) ხელოვნება, რომელსაც უკითხავდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეორადი ფაკულტეტის საერთაშორისო მიმომხილველთა სპეციალობის მსმენელებს.

1950-1951 სასწავლო წლიდან გარდაცვალებამდე კითხულობდა გ. კიღურაძე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის დღის განყოფილების მესამე კურსზე ევროპისა და ამერიკის ქვეყნების ახალი ისტორიის პირველი პერიოდის ორსემესტრიან კურსს. ამ კურსს მომზადება და გადმოცემა, ყოველწლიური შევსება და დახვეწა გ. კიღურაძის სამეცნიერო-სასწავლო მოღვაწეობის ერთ-ერთ უმთავრეს საზრუნავს შეადგენდა. მას განზრახული ჰქონდა გამოეცა

[16] კიღურაძე გ., სიახლეებითა და იმედებით, გაზ. „თბილისი“, 1974 წლის 31 იანვარი.

ევროპისა და ამერიკის ქვეყნების ახალი ისტორიის პირველი პერიოდის ზოგადი კურსი, რომელიც სამი წიგნისაგან უნდა შემდგარიყო. პირველი წიგნი გამიზნული იყო, როგორც ახალი ისტორიის შესავალი, მეორე წიგნში განხილული იქნებოდა დასავლეთ ევროპისა და ამერიკის ქვეყნების ახალი ისტორია ინგლისის ბურჟუაზიული რევოლუციიდან საფრანგეთის ბურჟუაზიულ რევოლუციამდე (1640-1789 წწ.), ხოლო მესამე წიგნი – დასავლეთ ევროპისა და ამერიკის ხალხთა ისტორია საფრანგეთის დიდი ბურჟუაზიული რევოლუციიდან საფრანგეთ-პრუსიის ომის დაწყებამდე (1789-1870 წწ.).

ახალი ისტორიის პირველი ტომი გამოქვეყნდა 1970 წელს[17]. იგი ძირითადად იტორიოგრაფიული ხასიათისაა.

წიგნის დასაწყისში გ. კიღურაძე განსაკუთრებით ამახვილებს ყურადღებას ახალი ისტორიის წყაროთმცოდნეობითი ბაზის სპეციფიკაზე, რამაც განსაზღვრა ტრადიციული დამხმარე ისტორიული დისციპლინების (პალეოგრაფიის, ჰერალდიკის, დიპლომატიკის, ქრონოლოგიის, მეტროლოგიის და სხვ.) განვითარება, მათი ამოცანებისა და ფარგლების საოცარი ზრდა, ზოგ შემთხვევაში კი პარალელურად ახალი დამხმარე დისციპლინების წარმოშობა (მაგ., ე. წ. „ნეოგრაფია", „ემბლემატიკა"). ნაშრომის ავტორი მიუთითებს, რომ კაპიტალისტური ეპოქისათვის დამახასიათებელი იყო საარქივო დაწესებულებების შექმნა. „ამ მნიშვნელოვან საქმეს საფრანგეთის დიდმა ბურჟუაზიულმა რევოლუციამ ჩაუყარა საფუძველი 1790 წელს, როცა დამფუძნებელმა კრებამ საისტორიო მასალის მოპოვებისა და დაცვის საქმე სახელმწიფოს კომპეტენციად გამოაცხადა, პარიზში ჩამოყალიბდა ეროვნული არქივი, ამასთან ერთად, არქივები შექმნეს ყველა დეპარტამენტში... კერძო პირთა კოლექციებში, სამეფო მუზეუმებსა და არქივებში, ბიბლიოთეკებში, მონასტრებში და კორპორაციებში დაცული მასალა სა-

[17] კიღურაძე გ., ახალი ისტორია, წიგნი I, თბ., თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1970.

ხელმწიფოს გადაეცა; ასეთივე ღონისძიება გატარდა აგრეთვე ევროპის სხვა ქვეყნებშიც. ეროვნული არქივი შეიქმნა ბელგიაში, ჰოლანდიაში, ინგლისში, ესპანეთში, იტალიაში, ავსტრია-უნგრეთში, გერმანიაში, სკანდინავიის ქვეყნებში და. სხვ.“[18].

დადებით შედეგებთან ერთად, რაც მოჰყვა საისტორიო მასალის დაცვის სახელმწიფოების კომპეტენციაში გადასვლას, გ. კიღურაძე აღნიშნავს ამ მნიშვნელოვანი აქციის ჩრდილოვან მხარეებსაც, რომლებიც სრული რელიეფურობით უფრო მოგვიანო პერიოდში გამოვლინდა, როდესაც იმპერიალისტურმა ქვეყნებმა საარქივო საქმის სახელმწიფო მონოპოლიზაცია გამოიყენეს ვიწრო კლასობრივი ინტერესებიდან გამომდინარე საშინაო და საგარეო მიზნებისათვის, მეტადრე არქეოგრაფიული გამოცემების გზით.

წყაროთმცოდნეობის საკითხების გარდა, კ. კიღურაძის ნაშრომში განხილულია ევროპისა და ამერიკის ქვეყნების ახალი ისტორიის კურსის საგანი და ამოცანები, შემეცნებითი და აღმზრდელობითი მნიშვნელობა. მოცემულია ახალი ისტორიის პერიოდიზაცია და დახასიათებულია ცალკე პერიოდები. განსაკუთრებით ფართო ადგილი ეთმობა ახალი ისტორიის ისტორიოგრაფიას როგორც ბურჟუაზიულ სამყაროში, ისე ჩვენში. წიგნში მოცემულია ბურჟაზიულ ისტორიულ შეხედულებათა კრიტიკა. ცალკეა წარმოდგენილი ახალი ისტორიის შესწავლის ვითარება საქართველოში.

გ. კიღურაძე მიუთითებდა: „ახალ ისტორიას“ კიდევ ერთი თავისებურება, ანუ სიძნელე ახასიათებს. მხედველობაში გვაქვს პრობლემატიკის გაფართოებისა და გართულების ფაქტი, კვლევისა და განზოგადოების მეთოდების შემდგომი სრულყოფა, ანუ ახალი სიძნელეები, ახალი მოთხოვნები, ახალი ამოცანები და მიზნები, რომლებსაც თანამედროვეობა ისტორიოგრაფიას უსახავს. ეძიებდე და ჰპოვებდე, ასეთია ისტორიოგრაფიის დევიზი“[19].

---

[18] კიღურაძე გ., ახალი ისტორია, წიგნი I, გვ. 9, 12.

[19] იქვე, გვ. 17.

ისტორიულ მეცნიერებათა ციკლში ისტორიოგრაფია სამართლიანად ითვლება ერთ-ერთ ყველაზე უფრო რთულ და ძნელ დარგად, განსაკუთრებით როდესაც საქმე შეეხება ევროპისა და ამერიკის ქვეყნების ახალ და უახლეს პერიოდს.

ავტორის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან საბჭოთა ისტორიული მეცნიერების მიღწევათა საფუძველზე შეძლო ერთიან, მწყობრ სისტემად ჩამოყალიბებული სახით პირველად მიეწოდებინა ქართველი მკითხველისათვის, ისტორიკოს-სტუდენტებისათვის რთული კალეიდოსკოპი იმ მრავალრიცხოვანი მიმართულებების, სკოლებისა და ცალკეულ ისტორიკოსთა კონცეფციებისა, რომლებიც წარმოშვა ახალი ისტორიის შესწავლისას ევროპისა და ამერიკის ისტორიოგრაფიამ.

ევროპისა და ამერიკის ქვეყნების ახალი დროის ისტორიოგრაფიის განვითარების რთული და წინააღმდეგობრივი გზის აღწერისა და გაანალიზებისას გ. კიღურაძემ გამოავლინა ღრმა ერუდიცია, მდიდარი პედაგოგიური გამოცდილება, გადმოცემის არაჩვეულებრივი უნარი და, ამდენად, ბუნებრივია, რომ ავტორს ამ ნაშრომისათვის 1971 წელს მიენიჭა საუნივერსიტეტო პრემია.

გ. კიღურაძემ ვერ მოასწრო თავისი ჩანაფიქრის ბოლომდე განხორციელება და ახალი ისტორიის პირველი პერიოდის ზოგადი კურსის მეორე და მესამე ტომების დაწერა. იგი გაიტაცა მეორე ტომის პირველ ნაკვეთზე მუშაობამ, რომელიც XVII საუკუნის ინგლისის ბურჟუაზიულ რევოლუციას მოიცავს. მუშაობის პროცესში გ. კიღურაძე იმდენად ჩაღრმავდა ამ მსოფლიო მნიშვნელობის აქციის შესწავლაში, რომ მას სქელტანიანი მონოგრაფია მიუძღვნა.

პროფ. გ. კიღურაძის ამ ფუნდამენტური ნაშრომის შესახებ პროფ. ვ. დონაძე გამოქვეყნებულ რეცენზიაში[20] მიუთითებდა:

[20] დონაძე ვ., საყურადღებო ნაშრომი, გაზ. „თბილისი“, 1979 წლის 26 ნოემბერი.

XVII საუკუნის ინგლისის ბურჟუაზიული რევოლუცია მკვლევრისათვის ახალი თემა არ არის, ინგლისელებთან ერთად მის შესწავლას დიდი ამაგი დასდეს საფრანგეთის, რუსეთის, გერმანიისა და სხვა ქვეყნების ისტორიკოსებმა.

ასეთ პირობებში თითქოს სარისკოც იყო აღნიშნულ თემაზე მონოგრაფიის შექმნა. და მით უფრო სასახელოა, რომ იგი ქართულ ენაზე დაწერილი პირველი საფუძვლიანი განზოგადოებული ნაშრომია, დაფუძნებული მდიდარ პირველწყაროებსა და მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა სახელმძღვანელო პრინციპებზე, ამასთან ითვალისწინებს ბურჟუაზიული ისტორიოგრაფიისა და საბჭოური ისტორიული სკოლის თითქმის ყველა მიღწევას. წიგნში თავმოყრილი, სისტემატიზებული და კრიტიკულად განხილულია უხვი ფაქტობრივი მასალა.

ნაშრომი სოლიდური მეცნიერული გამოკვლევაა, რომელიც არათუ უპასუხებს საბჭოური ისტორიული მეცნიერების მოთხოვნებს, არამედ ამდიდრებს მის ისტორიოგრაფიულ ფონდს, ბევრ საკვანძო პრობლემას ახლებურად იაზრებს და აშუქებს. პროფ. გ. კიღურაძის მონოგრაფიის ორი პირველი თავი ეძღვება საკითხის ისტორიოგრაფიას და საკვლევი ეპოქის შესახებ მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა შეხედულებების განხილვას, მომდევნო თავებში გდმოცემულია XVII საუკუნის ინგლისის ბურჟაუაზიული რევოლუციის ისტორია.

პროფ. გ. კიღურაძის ნაშრომი ხანგრძლივი შემოქმედებითი შრომის ნაყოფია და ქართული ისტორიული სკოლის მნიშვნელოვანი შენაძენი. მან კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ ახალი დროის მსოფლიო ისტორიის სფეროში მომუშავე ქართველ ისტორიკოსებს წარმატებით შეუძლიათ მეცნიერული კვლევაძიება საზღვარგარეთული ქვეყნების ახალი და უახლესი ისტორიის ცალკეულ პრობლემებზე.

გ. კიღურაძის მონოგრაფია XVII საუკუნის ინგლისის ბურჟუაზიული რევოლუციის შესახებ გამოიცა ორ წიგნად: პირველი ტომი – 1979 წელს[21], მეორე ტომი – 1983 წელს[22].

მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის პროფესორ ვარლამ დონაძის რეცენზიისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის წარდგენის საფუძველზე, პროფ. გ. კიღურაძის მონოგრაფიის პირველ ნაწილს – „XVII საუკუნის ინგლისის ბურჟუაზიული რევოლუცია, წიგნი I (1603-1642 წწ.)". 1981 წელს მიენიჭა საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს პრემია.

პროფ. გ. კიღურაძე განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა მეთოდოლოგიურ და მეთოდურ პრინციპებზე დაყრდნობით სპეციალისტ ისტორიკოსთა მომზადების სტრუქტურის დახვეწას, უმაღლესი სასწავლებლებისათვის ქართულ ენაზე სასწავლო ლიტერატურის მომზადებას. მისი ხელმძღვანელობით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი ისტორიის კათედრა, საქმიანობის სხვა სფეროებთან ერთად, გადაიქცა ორიგინალური კოლექტიური სახელმძღვანელოების მომზადების მნიშვნელოვან ლაბორატორიად.

პროფ. გ. კიღურაძის ინიციატივითა და მონაწილეობით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი ისტორიის კათედრამ გამოსცა ახალი ისტორიის ქრესტომათიის პირველი ნაკვეთი[23] და ახალი ისტორიის მეორე პერიოდის ორტომიანი სახელმძღვანელო[24].

---

[21] კიღურაძე გ., XVII საუკუნის ინგლისის ბურჟუაზიული რევოლუცია, წიგნი I, თბ., საბჭოთა საქართველო, 1979.

[22] კიღურაძე გ., XVII საუკუნის ინგლისის ბურჟუაზიული რევოლუცია, წიგნი II, თბ., საბჭოთა საქართველო, 1983.

[23] ქრესტომათია ახალ ისტორიაში, წიგნი I, თბ., თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1979.

[24] ახალი ისტორია, მეორე პერიოდში, წიგნი I, 1870-1900, თბ., თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1973; ახალი ისტორია, მეორე პერიდი, წიგნი II, 1900-1918, თბ., თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1975.

ახალი ისტორიის მეორე პერიოდის ორტომიან სახელმძღვანელოში პროფ. გ. კიღურაძის კალამს ეკუთვნის შესავალი[25], ამერიკის შეერთებული შტატები 1870-1918 წლებში[26], საერთაშორისო ურთიერთობანი 1871-1914 წლებში[27] და პირველი მსოფლიო ომის მიმდინარეობა 1914-1917 წლებში[28]. ჩამოთვლილი ნაკვეთებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია საერთაშორისო ურთიერთობებისადმი მიძღვნილი თავები. გ. კიღურაძე ამ თავებში განხილულ საკითხებს ასპირანტურის დროიდან იკვლევდა[29]. დოცენტობის პერიოდშიც პირველი მსოფლიო ომის მომზადების შესახებ გამოქვეყნებულ მონოგრაფიასა და რამდენიმე სამეცნიერო სტატიაში იგი მოგვევლინა საბჭოთა ისტორიოგრაფიაში ამ პრობლემის ზოგიერთი საგულისხმო საკითხის განხილვის პიონერად.

გ. კიღურაძის წიგნში „ნარკვევები პირველი მსოფლიო ომის მომზადების ისტორიიდან“[30] მონოგრაფიულადაა შესწავლილი მაროკოს პირველი კრიზისი. მართალია, ნაშრომში ძირითადად აქცენტი მაროკოს საკითხში გერმანიის პოლიტიკაზეა გადატანილი, რამდენადაც კრიზისის გაღრმავების საქმეში გერმანიამ განსაკუთრებული როლი შეასრულა, მაგრამ ავტორი

---

[25] შესავალი, ახალი ისტორია, მეორე პერიოდი, წიგნი I, გვ. 3-8.

[26] ამერიკის შეერთებული შტატები XIX საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში (1870-1898); იქვე, გვ. 199-239; ამერიკის შეერთებული შტატები 1898-1914 წლებში, ახალი ისტორია, მეორე პერიოდი, წიგნი II, გვ. 112-150; ამერიკის შეერთებული შტატები პირველი მსოფლიო ომის წლებში, იქვე, გვ. 436-446.

[27] საერთაშორისო ურთიერთობანი 1871-1898 წლებში, ახალი ისტორია, მეორე პერიოდი, წიგნი I, გვ. 325-368; ბრძოლა მსოფლიოს გადანაწილებისათვის და საერთაშორისო ურთიერთობანი XIX საუკუნის დამლევსა და XX საუკუნის დამდეგს, ახალი ისტორია, მეორე პერიოდი, წიგნი II, გვ. 260-301.

[28] 1914-1918 წლების პირველი მსოფლიო ომი, იქვე, გვ. 302-401.

[29] Кигурадзе Г. Ш., Марроканская проблема в политике Германского империализма в 1904-1906 гг., Автореф. кандидатской дис... Тб., 1949.

[30] კიღურაძე გ., ნარკვევები პირველი მსოფლიო ომის მომზადების ისტორიიდან (მაროკოს პირველი კრიზისი), თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 1960.

შეეცადა ეს სხვა სახელმწიფოების პოლიტიკის მიმოხილვის დაჩრდილვის ხარჯზე არ მომხდარიყო.

გ. კილურაძე სავსებით სამართლიანად მიიჩნევს, რომ გერმანიას მაროკოს პირველი კრიზისის დროს ომის გაჩაღებაში, რომელიც მსოფლიო-იმპერიალისტურ ომად გადაიზრდებოდა, ხელი შეუშალა შემდეგმა გარემოებებმა:

„ა) გერმანიას ჯერ არ ჰყავდა საკმაოდ ძლიერი ფლოტი და ამიტომ არ შეეძლო ზღვაზე გამკლავებოდა ინგლისს.

ბ) გერმანიაში ადგილი ჰქონდა მუშათა რევოლუციური მოძრაობის აღმავლობას, სოციალისტური მოძრაობის გამოცოცხლებას, რაც რუსეთის 1905 წლის რევოლუციის გავლენის შედეგი იყო. გერმანიის მთავრობა პირველ რიგში მუშათა მოძრაობის ჩახშობას ითვალისწინებდა და მხოლოდ ამის შემდეგ მიაჩნდა შესაძლებლად ომის გაჩაღება.

გ) გერმანიის მოკავშირე ავსტრია-უნგრეთი არ იყო მზად ომისათვის.

დ) პორტსმუტის ზავის შემდეგ რუსეთს კვლავ შეეძლო ევროპის საქმეებში ჩარევა“[31].

და ამდენად, დაასკვნის ავტორი, „გერმანიის პოლიტიკამ მაროკოს საკითხში 1904-1906 წლებში მარცხი განიცადა. გერმანიამ ვერც ერთი დასახული მიზანი ვერ განახორციელა, ვერ ჩაშალა ინგლის-საფრანგეთის ანტიგერმანული ბლოკი და ვერც მაროკო შეირჩინა. ინგლის-საფრანგეთის შეთანხმება ... იყო აუცილებლობა, გამომდინარე იმპერიალიზმის, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადიის განვითარების საერთო კანონებიდან. ძველმა იმპერიალისტურმა კონკურენტებმა – ინგლისმა და საფრანგეთმა – დაივიწყეს ურთიერთქიშპი და დაუპირისპირდნენ ახლად „გამომხტარ“ გერმანიის ახალგაზრდა ყაჩაღურ იმპერიალიზმს“[32].

[31] იქვე, გვ. 266-267.

[32] კილურაძე გ., ნარკვევები პირველი მსოფლიო ომის მომზადების ისტორიიდან, გვ. 267-268.

მდიდარ ფაქტობრივ მასალაზე დაყრდნობით და მოვლენათა ღრმა ანალიზის შედეგად გ. კილურაძემ თავის მონოგრაფიაში განხილული კონკრეტული პრობლემის მაგალითზე ნათელყო იმპერიალიზმის ეპოქისათვის დამახასიათბელ საერთაშორისო ურთიერთობათა განმსაზღვრელი ძალების ურთიერთმოქმედების რთული მექანიზმი: „ევროპის სახელმწიფოთა პოლიტიკა მაროკოს საკითხში ერთ-ერთი დამადასტურებელი ფაქტია იმისა, რომ კაპიტალისტური სახელმწიფოების პოლიტიკა და დიპლომატია ფინანსური კაპიტალის ინტერესებს ემსახურება და მათი კარნახით მოქმედებს“[33].

დიდი ბრიტანეთის მთავრობის პოზიცია მაროკოს პირველი კრიზისის დროს დეტალურადაა გაანალიზებული გ. კილურაძის სტატიაში – „ინგლისის საგარეო პოლიტიკის ისტორიიდან (1904-1906 წწ.)“[34].

ავტორმა ცხადყო ინგლისის მმართველი წრეების ჭეშმარიტი მიზანი იმპერიალისტური ეპოქის დადგომის შემდეგ – დაეჩქარებინათ მსოფლიო ომის დაწყება:

„მაგრამ, მიუხედავად ინგლისელთა დიდი ცდისა, ამჯერად (მაროკოს პირველი კრიზიკის დროს, კ. ა.) ქვეყნიერება ცოტა ხნით მაინც გადაურჩა გამანადგურებელ იმპერიალისტურ ომს: (ალხესირასის, კ. ა.) კონფერენციაზე სავსებით იზოლირებული გერმანია იძულებული გახდა ფარ-ხმალი დაეყარა და მიეღო საფრანგეთის თითქმის ყველა წინადადება. კონფერენცია საფრანგეთის სასარგებლოდ დამთავრდა.

მაროკოს პირველმა კრიზისმა გაამწვავა ურთიერთობა გერმანიასა და ინგლის-საფრანგეთს შორის, იგი ერთ-ერთი ხელშემწყობი პირობათაგანი იყო პირველი იმპერიალისტური ომის აღმოცენებისა. ბრიტანეთის ვერაგულმა პოლიტიკამ, ცხადია, დიდი როლი ითამაშა ამ ომის აღმოცენების დაჩქარების საქმეში“[35].

---

[33] იქვე, გვ. 270.

[34] კილურაძე გ., ინგლისის საგარეო პოლიტიკის ისტორიიდან (1904-1906 წწ.), თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, 1950, ტ. 41, გვ. 111-118.

[35] იქვე, გვ. 118.

მსოფლიოს განაწილების დასასრულის მოახლოებასთან დაკავშირებით XIX საუკუნის მიწურულში საერთაშორისო ურთიერთობათა გამწვავების საკითხები განხილულია გ. კიღურაძის სტატიაში – „ბურების პრობლემა და გერმანია“[36]. მასში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა გერმანია-ინგლისის წინააღმდეგობის ჩასახვა-განვითარებას, რამაც მნიშვნელვანწილად განაპირობა პირველი მსოფლიო ომის გაჩაღება და სამხედრო კოალიციათა შემადგენლობა.

გ. კიღურაძის სტატიაში – „ევროპის სახელმწიფოთა დამოკიდებულება რუსეთის 1905-1907 წწ. რევოლუციასთან“[37] მდიდარი კონკრეტული ისტორიული ფაქტების საფუძველზე გაშუქებულია ორი საკითხი: 1. როგორი გამოხმაურება პოვა 1905-1907 წწ. რუსეთის რევოლუციამ დასავლეთ ევროპის ქვეყნებში და 2. როგორი იყო ევროპის გაბატონებული კლასებისა და მმართველი წრეების დამოკიდებულება რუსეთის 1905-1907 წწ. რევოლუციასთან.

მუშათა რევოლუციური გამოსვლის საზღვარგარეთ გამოძახილს მიეძღვნა ვ. დონაძისა და გ. კიღურაძის სამი სტატია 1871 წლის პარიზის კომნისადმი იმდროინდელი ქართული საზოგადოებრიობის დამოკიდებულების შესახებ. აღნიშნული სტატიებიდან ერთი გამოქვეყნდა ქართულ ენაზე[38], ხოლო ორი რუსულ ენაზე[39]. ამ გარემოებას ის მნიშვნელობა ჰქონ-

---

[36] კიღურაძე გ., ბურების პრობლემა და გერმანია, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, 1952, ტ. 47, გვ. 201-227.

[37] კიღურაძე გ., ევროპის სახელმწიფოთა დამოკიდებულება რუსეთის 1905-1907 წწ. რევოლუციასთან, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, 1955, ტ. 57, გვ. 278-315.

[38] დონაძე ვ., კიღურაძე გ., პარიზის კომუნა და იმდროინდელი ქართული საზოგადოებრიობა, მნათობი, 1972, 5, გვ. 144-155.

[39] Донадзе В. Б., Кигурадзе Г. Ш., Парижская коммуна и грузинская общественная мысль второй половины XIX века, Литературная Грузия, 1971, №3, გვ. 76-82.
Донадзе В. Б. Кигурадзе Г. Ш., Парижская коммуна и передовая грузинская обществанная мысль второй половины XIX в., Французский ежегодник, 1971, М., „Наука“, 1973, გვ. 70-82.

და, რომ პროფ. გ. კიღურაძემ პროფ. ვ. დონაძესთან ერთად არა მარტო ქართველ მკითხველ საზოგადოებას, არამედ რუსულ ენაზე მკითხველთა ფართო წრესაც გააცნო XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართული პროგრესული პუბლიცისტიკის გამოჩენილ წარმომადგენელთა უაღრესად საინტერესო რევოლუციურ-დემოკრატიული სულისკვეთებით განმსჭვალული ნააზრევი პარიზის კომუნის შესახებ.

პარიზის კომუნამ გამოხმაურება პოვა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, მათ შორის საქართველოშიც. XIX საუკუნის 60-70-იანი წლების ქართული პროგრესული საზოგადოებრივი აზრი დიდი ინტერესით ეკიდებოდა ახალი ისტორიის ყველა მნიშვნელოვან მოვლენას. პარიზის კომუნის შესახებ მოსაზრებები გამოთქვა ქართული პერიოდიკის თითქმის ყველა ორგანომ, მათ შორის გაზეთმა „დროებამ“, ჟურნალებმა – „კრებულმა“ და „მნათობმა“[40].

პროფ. ვ. დონაძისა და პროფ. გ. კიღურაძის ერთობლივ სტატიებში დეტალურადაა გარჩეული პარიზის კომუნის გამოჩენილ ინტერპრეტატორთა – ნ. ნიკოლაძის, ს. მესხის და დ. მიქელაძის შეხედულებანი, პარიზის კომუნის გავლენა იმდროინდელ ქართულ მხატვრულ ლიტერატურაზე, მოხსენიებულია პარიზის კომუნის დამცველ ქართველთა გვარები.

სამივე სტატიაში ვ. დონაძე და გ. კიღურაძე მიუთითებდნენ, რომ პარიზის კომუნის შეფასებაში ქართული საზოგადოებრივი აზრი ხშირად არაზუსტია, პარიზის კომუნის ყველა რთული პერიპეტია სათანადოდ როდის გაშუქებული, მაგრამ ყველა შეცოდება, უპირველეს ყოვლისა, იყო „ეპოქის ნაკლი“; თუ ამ თვალსაზრისით განვიხილავთ პროგრესული ქართული საზოგადოებრიობის გამოძახილს პარიზის კომუნისადმი, შეგვიძლია გადაჭრით ვთქვათ, რომ ეს გამოძახილი სავსებით პასუხობდა ეპოქის მოთხოვნებს, წარმოადგენდა სერიოზულ

[40] დონაძე ვ., კიღურაძე გ., პარიზის კომუნა და იმდროინდელი ქართული საზოგადოებრიობა, მნათობი, 1972, 5, გვ. 144.

წინგადადგმულ ნაბიჯს და მოწინავე ქართული საზოგადოებრივი აზრის მსოფლიო ისტორიის რთულ ამბებში საფუძვლიანი ჩახედულობის ნათელი ილუსტრაცია იყო. ორივე მეცნიერის აზრით, მაშინდელ ქართულ პრესაში პარიზის კომუნის ირგვლივ გამოთქმული მოსაზრებები დღემდე ინარჩუნებს აქტუალურ და შემეცნებით ღირებულებას.

პარიზის კომუნის მსოფლიო-ისტორიული ეპოპეის მთელი კომპლექსი, როგორც დამაჯერებლად არის ნაჩვენები პროფ. გ. კიღურაძისა და პროფ. ვ. დონაძის აღნიშნულ ნარკვევებში, ქართულმა პროგრესულმა პუბლიცისტიკამ გააშუქა მებრძოლი პათოსით, რევოლუციურ-დემოკრატიული მრწამსით და გმირი პარიზელი კომუნარებისადმი ღრმა სიყვარულითა და თანაგრძნობით.

ბუნებრივია, რომ დასავლეთ ევროპის ისტორიის შემსწავლელი ქართველი მკვლევარი ყურადღების გარშე ვერ დატოვებდა საქართველოსა და დასავლეთ ევროპის ისტორიულ და კულტურულ ურთიერთობათა საკითხებს. გ. კიღურაძეს კარგად ესმოდა მსოფლიო ხალხთა სისტემაში საქართველოს ადგილის გარკვევის საქმეში საზღვარგარეთის, კერძოდ, ევროპის ქვეყნებთან ქართველი ერის ურთიერთობათა განხილვის მნიშვნელობა და მან გამოაქვეყნა ამგვარი ხასიათის ორი სტატია – „საქართველო-იტალიის ურთიერთობანი“[41] და „საფრანგეთ-საქართველოს ისტორიული და კულტურული ურთიერთობანი“[42].

გ. კიღურაძის მთელ მეცნიერულ შემოქმედებას ლაიტმოტივად გაჰყვა საფრანგეთის დიდი ბურჟუაზიული რევოლუციის თემატიკა. კაცობრიობის მსოფლიო ისტორიის ამ უდიდეს მოვლენას მან მიუძღვნა ორი წიგნი და რამდენიმე სტატია. გამოკვლევათა ამ ციკლისათვის გ. კიღურაძეს მიენიჭა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი.

[41] კიღურაძე გ., საქართველო-იტალიის ურთიერთობანი, მნათობი, 1961, 9, გვ. 144-153.

[42] კიღურაძე გ., საფრანგეთ-საქართველოს ისტორიული და კულტურული ურთიერთობანი, მნათობი, 1971, 1, გვ. 105-123.

ნიშანდობლივია, რომ გ. კილურაძის პირველი სამეცნიერო პუბლიკაცია, რომელიც წარმოადგენდა პროფ. ალ. ნამორაძის ხელმძღვანელობით დაწერილ მოხსენების თეზისებს, შეეხებოდა საფრანგეთის დიდ ბურჟუაზიულ რევოლუციას. პროფ. ალ. ნამორაძე ბევრს მუშაობდა აგრარული პრობლემის შესახებ XVIII საუკუნის უკანასკნელი მეოთხედისდროინდელ საფრანგეთში და ამ გარემოებას არ შეძლო გავლენა არ მოეხდინა მისი ასპირანტის გ. კილურაძის სამეცნიერო ინტერესთა ფორმირებაზე. 1946 წლის აპრილში გ. კილურაძემ თბილისის უნივერსიტეტის ასპირანტთა სამეცნიერო კონფერენციაზე წაიკითხა მოხსენება – „საგლეხო მიწათმფლობელობა საფრანგეთში 1789 წლის რევოლუციის წინ“[43]. პროფ. ალ. ნამორაძე მიუთითებდა: „მოხსენება შინაარსიანი იყო, მასში ჩანდა, რომ ასპირანტი გ. კილურაძე კარგად იცნობს საგნის სპეციალურ მონოგრაფიულ ლიტერატურას, ნათლად აქვს გათვალისწინებული, თუ როგორ დგას აღნიშნული საკითხი არსებულ საისტორიო ლიტერატურაში და თუ როგორ უნდა იქნეს იგი დაყენებული მარქსისტული მეთოდოლოგიის მიხედვით“[44].

1954-1964 წლებში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომებში გამოქვეყნდა გ. კილურაძის ხუთი სტატია. სამ სტატიაში განხილული იყო იაკობინთა რევოლუციურ-დემოკრატიული დიქტატურის კარდინალური საკითხები, ხოლო ორში – რევოლუციური საფრანგეთის ევროპულ ქვეყნებთან ურთიერთობის ზოგიერთი ასპექტი.

---

[43] კილურაძე გ., საგლეხო მიწათმფლობელობა საფრანგეთში 1789 წლის რევოლუციის წინ, ხელმძღვანელი პროფ. ალ. ნამორაძე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტთა 1946 წლის სამეცნიერო კონფერენცია (24-27 აპრილი), მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები, თბ., თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1946, გვ. 11-13.

[44] თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქივი, ფონდი I, ანაწერი I, შესანახი ერთეული 733, ასპირანტურა, ახალი ისტორიის სპეციალობა, კილურაძე გ. შ., ფურცელი 7-8.

სტატიაში – „წინააღმდეგობის გამწვავება იაკობინურ ბლოკს შიგნით"[45] მოცემულია დანტონისტური მოძრაობის კლასობრივი არსის დახასიათება, დანტონისტური ოპოზიციის აღმოცენების, განვითარებისა და განადგურების მიზეზები, დანტონისა და მისი მომხრეების ურთიერთობა ჟირონდისტებთან და რობესპიერისტებთან, დანტონის მოღვაწეობის ორი ეტაპის განხილვა და იმ შეცდომების მიზეზების განმარტება, რომლებმაც განაპირობეს დანტონის პიროვნების არასწორი შეფასება ბურჟუაზიულ ისტორიულ ლიტერატურაში.

გ. კიღურაძე შემდეგნაირად ხსნის ჟორჟ-ჟაკ დანტონის „ორსახიანი იანუსის" საიდუმლოებას:

„დანტონისტური" მოძრაობა აერთიანებდა გამარჯვებული ბურჟუაზიის პრაქტიკულ მოღვაწეებს...

1791-1792 წლებში დანტონი, რევოლუციის დიდი ტრიბუნი და „რევოლუციური ტაქტიკის უდიდესი ოსტატი", ხალხთან ერთად მოქმედებდა, ხალხის რევოლუციურ ენთუზიაზმს ოსტატურად იყენებდა საერთო მტრის – ფეოდალიზმისა და დესპოტიზმის წინააღმდეგ; ... ძირითადად ამით განსხვავდებოდა იგი ჟირონდისტებისაგან, რომელთაც სრულიად არ ესმოდათ მასების როლი, ეშინოდათ მათი და ფიქრობდნენ, რომ გამარჯვებას მასების გარეშე შეძლებდნენ... ჟირონდისტებმა ვერ გაუგეს დანტონს, ვერ მიხვდნენ რომ „სანკიულოტების გრანდსინიორის", „ბრბოს მირაბოს" უკან ბურჟუა რევოლუციონერი იდგა, თავისი კლასის ერთგული შვილი, მაგრამ ტაქტიკურად უფრო გამჭრიახი, ვიდრე ჟირონდისტები...

1793 წელს სურათი იცვლება. მდგომარეობას „პლებეი-სანკიულოტი" დაეპატრონა... კლასობრივი ბრძოლა ახალ ფაზაში გადაიზარდა... „პლებეი-სანკიულოტის" შეტევაზე გადასვლა, მის მიერ საკუთარი მოთხოვნების წამოყენება, რომლებიც სცილდებოდნენ ბურჟაზიული რევოლუციის ამოცანებს,

---

[45] კიღურაძე გ., წინააღმდეგობის გამწვავება იაკობინურ ბლოკს შიგნით (დანტონისტები), თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, 1960, ტ. 87. გვ. 189-215.

ყოველივე ეს არ შედიოდა ბურჟუა რევოლუციონერების პროგრამაში... დანტონისათვის უცხო იყო მასების ამგვარი განწყობა... ამიტომ ილაშქრებდნენ დანტონი და მისი მიმდევრები რობესპიერის წინააღმდეგ, რომელიც თავისი „თეორიებით" აფერხებდა ბურჟუაზიის მიერ რევოლუციით მოპოვებულ წარმატებებით დატკბობას... ამიერიდან მისი ოპორტუნიზმი ფართო ხასიათს ღებულობს. რევოლუციის დიდი ტრიბუნი და „რევოლუციური ტაქტიკის უდიდესი ოსტატი" ამიერიდან „დიდი ოპორტუნისტის" როლში გვევლინება.

... დანტონისა და დანტონისტების დაცემის ისტორია ფაქტიურად 1793 წლის ივლისიდან იწყება. 1793 წლის 10 ივლისს „დანტნისეული" (საზოგადოებრივი ხსნის, კ. ა.) კომიტეტი გადასახლდა. დანტონი გამოყვანილ იქნა კომიტეტის შემადგენლობიდან და შეიქმნა ახალი კომიტეტი, რომელიც „რობესპიერის კომიტეტის" სახელით მოინათლა... დანტონისტთა განადგურება დაიწყო „ოსტ-ინდოეთის სავაჭრო კამპანიის" ლიკვიდაციასთან დაკავშირებული სასკანდალო საქმის გახსნით (1793 წლის შემოდგომა)... 1794 წლის 5 აპრილს დანტონი და მისი თანამოაზრენი სიკვდილით დასაჯეს[46].

დანტონისტთა ტრაგიკული დასასრული მნიშვნელოვანწილად განაპირობა რობესპიერისტულმა „ვანტოზის დეკრეტებმა", რომელიც გ. კიღურაძემ საგანგებოდ განიხილა ამავე სათაურით გამოქვეყნებულ სტატიაში[47]. იგი მიუთითებდა: „იაკობინურ-რობესპიერისტული მთავრობის წინაშე იდგა გადაუდებელი ამოცანები: 1. იაკობინთა სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკით გამოწვეული სოფლისა და ქალაქის მოსახლეობის უკმაყოფილების შენელება. ამისათვის საჭირო

[46]კიღურაძე გ., წინააღმდეგობის გამწვავება იაკობინურ ბლოკს შიგნით (დანტონისტები), თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, 1960, ტ. 87, გვ. 190, 201, 203, 21, 212, 214.

[47]კიღურაძე გ., „ვანტოზის დეკრეტები" (იაკობინთა დიქტატურის ისტორიიდან), თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, 1958, ტ. 69, გვ. 383-384.

იყო, უპირველეს ყოვლისა, ზრუნვა ხალხის მატერიალური კეთილდღეობის ამაღლებისათვის; 2. ებერისტების იზოლირება, რომელთა ძირითადი მოთხოვნა იყო მდიდართა ქონების კონფისკაცია და მათი გაყოფა ღარიბთა შორი. ეს იყო ძირითადი იარაღი, რომლითაც ისინი ღარიბი მოსახლეობის ფართო ფენების თანაგრძნობასა და მარდაჭერას იპყრობდნენ. საჭირო იყო მათთვის ამ იარაღის ხელიდან გამოტაცება და ამ გზით მათთვის მასებში დასაყრდენის მოშლა; 3. რევოლუციური მთავრობის განმტკიცების მიზნით საჭირო იყო აგრეთვე მემარჯვენე ოპოზიციის ლიკვიდაცია, დანტონისტების განადგურება. ამ ამოცანათა გადაწყვეტის ასპექტში უნდა განვიხილოთ ძირითადად იაკობინელ-რობესპიერისტთა მრავალი ღონისძიება გატარებული 1794 წლის ზამთრის მიწურულსა და გაზაფხულის განმავლობაში, მათ შორის, ცხადია, ე. წ. „ვანტოზის დეკრეტებიც“ და არ უნდა შევაფასოთ ეს უკანასკნელი ღონისძიება გადაჭარბებულად, როგორც რაღაც თავისებური, გრანდიოზული სოციალური ღონისძიება, რომელიც მიზნად ისახავდა ახალი სოციალური საზოგადოების აშენებას – თანასწორობის მეუფებას, მსგავსად მატიეზისა და ნაწილობრივ ჟან ჟორესისა. ამასთან ერთად, არ უნდა დაგვაეჭვოს იაკობინთა გულწრფელობამ იმაში, რომ მათ ერთგვარად სურდათ მშრომელთა მდგომარეობის გაუმჯობესება, სიღატაკისა და შიმშილის მოსპობა, სოციალური სამართლიანობის დამყარება. მათი პოლიტიკა ჩვეულებრივ სოციალურ დემაგოგიად როდი უნდა მივიჩნიოთ. სურვილი თუ ვერ განახორციელეს, ეს იაკობინთა სუბიექტური დანაშაული არაა. ცხადია, ეს იყო ობიექტური შედეგი საერთო ისტორიული კანონზომიერებისა, რომელიც მაშინ ბურჟუაზიული რევოლუციის გამარჯვებით დასტურდება. გამარჯვებულ კაპიტალისტურ ურთიერთობათა პირობებში იაკობინთა მიერ გააზრებული

სოციალისტური სავანე, წვრილბურჟუაზიული ეგალიტარისტული ოცნება იყო მხოლოდ“[48].

„ვანტოზის დეკრეტებს“, რობესპიერისტთა მოწინააღმდეგე მიმდინარეობების განადგურებას, იაკობინური ბლოკის შიგნით „არ შეუცვლია საფრანგეთში რევოლუციის კანონზომიერი სვლა ბურჟუაზიის სრული შეუზღუდველი ბატონობისაკენ, რაც 9 თერმიდორის კონტრრევოლუციურმა გადატრიალებამ დააგვირგვინა“[49]. „9 თერმიდორის გადატრიალების შესახებ“ სპეციალურ სტატიაში[50] გ. კიღურაძემ საჭიროდ მიიჩნია საფრანგეთის დიდი ბურჟუაზიული რევოლუციის ქრონოლოგიური ჩარჩოების დაზუსტებასთან დაკავშირებით ზოგიერთი მეტნაკლებად სადავო საკითხის ირგვლივ პრინციპული ხასიათის რამდენიმე მოსაზრების გამოთქმა:

„1. საბჭოთა ისტორიოგრაფიაში გაბატონებული მდგომარეობა მოიპოვა დებულებამ, რომლის თანახმად 9 თერმიდორის გადატრიალება საფრანგთის დიდი ბურჟუაზიული რევოლუციის დამთავრებას მოასწავებს. ვფიქრობთ, ეს შეხედულება გადასინჯვას მოითხოვს. 9 თერმიდორის გადატრიალებით რევოლუცია არ დამთავრებულა; დამთავრდა მხოლოდ რევოლუციის აღმავალი ხაზით განვითარება, ანუ ის პერიოდი, როცა რევოლუციამ აშკარად გამოკვეთილი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული ხასიათი მიიღო. 9 თერმიდორის გადატრიალების შემდეგ რევოლუცია უკვე დაღმავალი ხაზით ვითარდება; გამარჯვებული ბურჟუაზია ამიერიდან მოპოვებული პოზიციების განმტკიცებას ახორციელებს, გამარჯვების ნაყოფს

[48] კიღურაძე გ., „ვანტოზის დეკრეტები“ (იაკობინთა დიქტატურის ისტორიიდან), თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, 1958, ტ. 69, გვ. 358-359.

[49] კიღურაძე გ., წინააღმდეგობის გამწვავება იაკობინურ ბლოკს შიგნით (დანტონისტები), თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, 1960, ტ. 87, გვ. 214.

[50] კიღურაძე გ., 9 თერმიდრის გადატრიალების შესახებ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, 1964, ტ. 107, გვ. 191-227.

როგორც „მემარცხენე“ ისე „მემარჯვენე“ ძალების ხელყოფისაგან იცავს... ბურჟუაზიულ რევოლუციას წერტილი 1799 წელს, 18 ბრიუმერის გადატრიალების შედეგად საფრანგეთის ახალმა მბრძანებელმა ნაპოლეონ ბონაპარტმა დაუსვა...

2. ერთგვარ დაზუსტებას საჭიროებს 9 თერმიდორის განმარტება, როგორც კონტრრევოლუციური გადატრიალებისა. საფრანგეთის დიდი ბურჟუაზიული რევოლუციის სინამდვილეში ტერმინი „კონტრრევოლუცია“ ფართო გაგებით მოიცავს ბურჟუაზიული რევოლუციისადმი საერთოდ დაპირისპირებულ, ანუ რეაქციულ ფეოდალურ-აბსოლუტისტურ ძალებს; ფართო გაგებით „კონტრრევოლიური გადატრიალება“ ამ ძალების გამარჯვებას გულისხმობს. 9 თერმიდორის მიმართ გამოთქმა „კონტრრევოლუციური“ სულ სხვა მნიშვნელობით უნდა გავიგოთ, როგორც კონტრრევოლუცია საკუთრივ ბურჟუაზიული რევოლუციის სფეროში... 9 თერმიდორის მიმართ ტერმინი „კონტრრევოლუციური გადატრიალება“ არაპირდაპირი, პირობითი მნიშვნელობით უნდა ვიხმაროთ, ანუ სიზუსტისათვის სჯობს 9 თერმიდორის გადატრიალებას ვუწოდოთ „ბურჟუაზიულ-კონტრრევოლუციური გადატრიალება“.

3. 9 თერმიდორის გადატრიალების საერთო-ისტორიული მნიშვნელობის შეფასებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს მოვლენის როგორც პროგრესული, ისე რაქციული მხარე... ეკონომიკური თვალსაზრისით იაკობინთა დიქტატურის დაცემა უპირატესად პროგრესულ მოვლენად უნდა ჩავთვალოთ. იაკობინთა ეგალიტარიზმი, ანუ კერძო საკუთრების შენარჩუნების პირობებში ქონებრივი უთანასწორობის მოსპობა, თავისთავად განუხორციელებელი ოცნება იყო და არ პასუხობდა ბურჟუაზიული საზოგადოების შინაგანი განვითარების რეალურ კანონებს... პოლიტიკური თვალსაზრისით 9 თერმიდორის გადატრიალება, რასაკვირველია უკან დახევაა. იაკობინთა 1793 წლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული კონსტიტუცია დავიწყებას მიეცა. გამარჯვებული ბურჟუაზიის მიერ შემუ-

შავებული ახალი კონსტიტუციები საფრანგეთის მქონებელი კლასის ზედაფენების ბატონობას ადასტურებდნენ, ბურჟუაზიულ-დემოკრატიული უფლებები აღკვეცილ იქნა“[51].

თბილისის უნივერსიტეტის შრომებში გამოქვეყნებული გ. კიღურაძის ორი სტატია, რომლებიც რევოლუციური საფრანგეთის ევროპულ ქვეყნებთან ურთიერთობის საკითხებს მიეძღვნა, ქრონოლოგიურად 1789-1793 წლებს მოიცავს. ორივე სტატიაში – „ინგლისი და საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუცია“[52] და „საფრანგეთის დიდი ბურჟუაზიული რევოლუციის გამოძახილი გერმანიაში“[53] ნაჩვენებია საფრანგეთის ორ მეზობელ ქვეყანაში, დიდი ბურჟუაზიული რევოლუციის დადებითი გავლენა დემოკრატიულ მოძრაობაზე და ამ ქვეყნების გაბატონებული კლასების უარყოფითი რეაქცია ფრანგი ხალხის მიერ ფეოდალური სისტემის წინააღმდეგ გაჩაღებულ ბრძოლაზე.

საფრანგეთის დიდი ბურჟუაზიული რევოლუციის მიერ ფრანგული აბსოლუტიზმის დამხობა გადაიზარდა რევოლუციურ ომებში, რომელთა სამხედრო ისტორიას მკვლევართა არაერთი თაობა შეისწავლიდა. მაგრამ საკითხი ცალმხრივად განიხილებოდა, ღიად რჩებოდა არმიის ისტორიის უმნიშვნელოვანესი მომენტი, კერძოდ ის, თუ რა როლი შეასრულა არმიამ რევოლუციის წარმატებით დაგვირგვინების საქმეში, როგორც საზოგადოებრივ-პოლიტიკურმა ფაქტორმა, ანუ როგორი იყო არმიის როლი საფრანგეთის დიდი ბურჟუაზიული რევოლუციის დროს. სწორედ ამ მეცნიერული ყამირის გატეხა

[51] კიღურაძე გ., 9 თერმიდორის გადატრიალების შესახებ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, 1964, ტ. 107, გვ. 224-226.

[52] კიღურაძე გ., ინგლისი და საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუცია, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, 1955, ტ. 55, გვ. 139-160.

[53] კიღურაძე გ., საფრანგეთის დიდი ბურჟუაზიული რევოლუციის გამოძახილი გერმანიაში (რევოლუციური გამოსვლები რაიონის ოლქში 1789-1793 წწ.), თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები 1959, ტ. 77, გვ. 261-282.

შესთავაზა პროფ. ალ. ნამორაძემ თავის საყვარელ მოსწავლეს – გ. კიღურაძეს და უკვე სასიკვდილო სარეცელზე მყოფმა მომავალი სადოქტორო დისერტაციის კონტურები გამოუკვეთა.

გ. კიღურაძემ თავისი სადოქტორო დისერტაციის ძირითადი დებულებები გამოაქვეყნა მონოგრაფიაში – „საფრანგეთის დიდი ბურჟუაზიული რევოლუციის ისტორიიდან"[54]. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი ისტორიის კათედრის წევრები დადებითი რეცენზიებით გამოეხმაურნენ სასარგებლო ნაშრომის გამოცემას, რომელიც ქართული საბჭოთა ისტორიოგრაფიის მნიშვნელოვანი შენაძენია[55].

1967 წლის აპრილში გ. კიღურაძემ კათედრას განსახილველად გადასცა 1086-გვერდიანი სადოქტორო დისერტაცია – „არმიის პრობლემა საფრანგეთის დიდი ბურჟუაზიული რევოლუციის დროს (1789-1794 წწ.)"[56]. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორატმა მსვლელობა მისცა ახალი ისტორიის კათედრის მიერ აპრობირებულ სადისერტაციო ნაშრომს[57] და გ. კიღურაძის სადოქტორო დისერტაციას ოფიციალურ ოპონენტებად გამოუყო პროფესორები: ბ. თ. პორშნევი, დ. ს. ზავრიევი და გ. კ. ტივაძე, ხოლო წამყვან დაწესებულებად – საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ი. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი.

წამყვანმა დაწესებულებამ და სამივე ოპონენტმა დადებითად შეაფასეს გ. კიღურაძის სადოქტორო დისერტაცია.

---

[54] კიღურაძე გ., საფრანგეთის დიდი ბურჟუაზიული რევოლუციის ისტორიიდან (ახალი არმიის ორგანიზაცია), თბ., ცოდნა, 1963.

[55] დონაძე ვ., მნიშვნელოვანი შენაძენი, გაზ., „თბილისი" 1964 წლის 7 თებერვალი; ანთაძე კ., სასარგებლო ნაშრომი, გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი", 1964 წლის 25 იანვარი.

[56] თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქივი, სამეცნიერო ნაწილი, ისტორიის ფაკულტეტის ფონდი I, ანაწერი I, შესანახი ერთეული 1029, ფურცელი 46.

[57] Кигурадзе Г. Ш., Проблема армии в период Великой французской буржуазной революции (1789-1794 гг.), Автореф. докт. дис. Тб., 1967.

გ. კიღურაძის სადისერტაციო ნაშრომი შედგება შესავლისა და ხუთი თავისაგან: პირველი თავი – წყაროებისა და ლიტერატურის მიმოხილვა; პრობლემის პერიოდიზაციის ზოგიერთი საკითხი, მეორე თავი – არმია რევოლუციის დასაწყისში; მღელვარება არმიაში, მესამე თავი – არმიის პრობლემა დამფუძნებელი კრების საქმიანობაში, მეოთხე თავი – არმიის პრობლემა 1792-1793 წლებში იაკობინების ხელისუფლების სათავეში ჩადგომამდე, მეხუთე თავი – არმიის პრობლემა იაკობინთა დიქტატურის პერიოდში. პირველი თავის თორმეტგვერდიან დამატებაში, რომელიც არ შედის საერთო პაგინაციაში, ჩამოთვლილია ლიტერატურა და წყაროები.

გ. კიღურაძის მონოგრაფიაში საფრანგეთის დიდი რევოლუციის არმია შესწავლილია სამოქალაქო ისტორიის ასპექტში, საფრანგეთის რევოლუციის შინაგანი ისტორიის ფარგლებში. ავტორმა მიზნად დაისახა ისტორიული მეცნიერების კონკრეტული ამოცანების გადაწყვეტა, კერძოდ, საფრანგეთის არმიისა, როგორც პოლიტიკურ-რევოლუციური ძალის ადგილის დადგენა დიდი ბურჟუაზიული რევოლუციის ისტორიაში, იმის გარკვევა, თუ რა როლი შეასრულა არმიამ საფრანგეთის რევოლუციის წარმატების საქმეში. ნაშრომში გ. კიღურაძემ განიხილა რევოლუციური მასებისა და ბელადების მიერ განხორციელებული ღონისძიებანი ახალი არმიის შექმნისა და ქვეყნის თავდაცვის ორგანიზების საქმეში, წარმოაჩინა ის სოციალ-ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარება, რამაც განაპირობა ახალი არმიის შექმნა და ქვეყნის თავდაცვაში მნიშვნელოვანი წარმატებები, ნათელყო საფრანგეთის არმიის „სასწაულებრივი“ წარმატებების ჭეშმარიტი მიზეზები.

გ. კიღურაძის სადოქტორო დისერტაციის ბოლო, თავის უკანასკნელ პარაგრაფში მოცემულია საფრანგეთის დიდი ბურჟუაზიული რევოლუციის ეპოქაში შეიარაღებული ძალების ისტორიისა და მათი პოლიტიკურ დაჯგუფებებთან ურ-

თიერთდამოკიდებულების საინტერესო და საგულისხმო განზოგადოებული სურათი.

რევოლუციის მსვლელობის დროს ურთიერთდაპირისპირებული ძალები: მეფე და თავადაზნაურობა, კონსერვატორული თუ ლიბერალური ბურჟუაზია, რევოლუციური დემოკრატია და შესაბამისად მათი ინტერესების გამომხატველი პოლიტიკური ჯგუფები („პარტიები") მონარქისტებისა, კონსტიტუციონალისტ-მონარქისტებისა (ფეიანები), ჟირონდისტებისა, იაკობინებისა, ცდილობდნენ გამოეყენებინათ არმია, როგორც პოლიტიკური წარმატებების ერთ-ერთი ძირითადი საშუალება. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ მიზანს ისახავდნენ აგრეთვე ულარიბესი საფრანგეთის ინტერესების გამომხატველი უკიდურესი მემარცხენე პოლიტიკური ჯგუფები: „ცოფიანები" და მემარცხენე იაკობინები – შომეტისტები, ებერტისტები და სხვ.

მას შემდეგ, რაც მეფე და ფეოდალურ-კონტრრევოლუციური ძალები საბოლოოდ დარწმუნდნენ იმაში, რომ მათ არმია დაჰკარგეს, შეეცადნენ მდგომარეობა ნაწილობრივ მაინც გამოესწორებინათ ერთგული შენაერთების შეკოწიწებით. მეფე უკანასკნელ იმედებს პირად მცველ გვარდიაზე ამყარებდა. ყოველნაირად მფარველობდა მას, ზრუნავდა მისი განმტკიცებისათვის. მონარქისტებმა მიაღწიეს აგრეთვე იმას, რომ მეფემ პირადი მცველის როლში შეინარჩუნა აგრეთვე შვეიცარული ლეგიონი.

მემარჯვენეებმა ვერ იხსნეს მეფის გვარდია, სახალხო აზრმა გაიმარჯვა, საკანონმდებლო კრებამ 1792 წლის 29 მაისის დეკრეტით იგი დაშალა, მაგრამ მეფე ფარულად მაინც ინახავდა გვარდიას და 1792 წლის 10 აგვისტოს მის ნარჩენებს შვეიცარულ ლეგიონთან ერთად მოუხმო ტიუილრის დასაცავად. მონარქიის დამხობის დროს მთლიანად მოისპო როიალისტთა ეს უკანასკნელი შეიარაღებული დასაყრდენი პარიზში.

მესაკუთრულმა საფრანგეთმა ეროვნული გვარდია შექმნა უპირატესად შიდაპოლიტიკური მიზნებისათვის. ბრძოლა ერ-

ოვნული გვარდიისათვის, ბოლოს და ბოლოს, საფრანგეთის ფართო დემოკრატიული ძალების გამარჯვებით დამთავრდა. მემარჯვენეებმა ვერ შეძლეს გვარდიის დემოკრატიზაციის შეჩერება. მისი დემოკრატიზაციის პროცესი ფაქტობრივად დამთავრებული იყო, როცა საკანონმდებლო კრებამ, 1792 წლის 10 აგვისტოს შემდეგ, საფრანგეთის „აქტიურებად“ და „პასიურებად“ დაყოფა გააუქმა.

კონსერვატორული მემარჯვენე საფრანგეთი, რომელიც მონარქისტთა დამარცხების შემდეგ ფეიანების სახით მოქმედებდა, ეხლა არმიაზე დაყრდნობით ცდილობდა რევოლუციის შეჩერებას. ფეიანთა ლიდერის – ლაფაიეტის ეს ცდა სრული კრახით დამთავრდა, არმია ისევ და ისევ რევოლუციის ერთგული დარჩა.

ფეიანთა დამარცხების შემდეგ მემარჯვენე საფრანგეთის მესვეურის როლში, როგორც ცნობილია, ჟირონდა გამოდის. ჟირონდა ვერ აბრკოლებს არმიის დემოკრატიზაციას: ჟირონდა იძულებულია შეურიგდეს დემოკრატიზირებულ ეროვნულ გვარდიას, რომელიც ამიერიდან მხოლოდ ბურჟუაზიული საფრანგეთის იარაღი აღარაა. საყოველთაო აღტკინების, მდიდართა და ღარიბთა შორის მწვავე სოციალური ბრძოლის პირობებში ჟირონდა ეძიებს საშუალებებს შექმნას შეიარაღებული ძალების ისეთი ვარიანტი, რომელიც მისთვის შიდაპოლიტიკურ ამოცანათა გადაწყვეტის საშუალება უნდა ყოფილიყო. ამ ასპექტში უნდა იქნეს განხილული ჟირონდისტთა საყოველთაოდ ცნობილი ცდა – ე. წ. სადეპარტამენტო გვარდიის შექმნისა.

ჟირონდისტთა გეგმა გასაგები იყო. მათ სურდა სადეპარტამენტო გვარდიის სახით შეექმნათ მესაკუთრე – „წესიერი“ საფრანგეთის შეიარაღებული ძალა, რომელიც დაუპირისპირდებოდა სანკიულოტურ – „უწესო“ საფრანგეს, უპირველეს ყოვლისა კი, რევოლუციურ პარიზს. ჟირონდას სურდა საფრანგეთის 83 დეპარტამენტის ბურჟაზიული ელე-

მენტები რევოლუციური პარიზის სექციებისა და კომუნისათვის დაეპირისპირებინა. დემოკრატიული ძალების მხრივ მძაფრი წინააღმდეგობის შედეგად ჟირონდისტებმა ბოლომდე ვერ განახორციელეს ჩანაფიქრი, ხოლო მალე საერთოდ დათმეს პოლიტიკური სარბიელის სადავეები იაკობითა სასარგებლოდ.

იაკობინური დიქტატურის დროს შეიარაღებული ძალების პოლიტიკური მიზნებისათვის გამოყენების აუცილებლობამ კვლავ იჩინა თავი. უპირატესად ამ მიზნებისათვის შეიქმნა 1793 წლის სექტემბერში თავისებური პლებეურ-სანკიულოტური „პრეტორიანული გვარდია“ ე. წ. „რევოლუციური არმიის“ სახით. „რევოლუციური არმია“ ეს იყო სპეციალური დანიშნულების სამხედრო რაზმი, რომელიც უმთავრესად წარმოადგენდა პოლიტიკურ ძალას. მისი ძირითადი ფუნქცია იყო რევოლუციური მთავრობის მიერ გამიზნული შიდაპოლიტიკური ხასიათის ღონისძიებათა გატარების უზრუნველყოფა – სასურსათო გაწერა, რეკვიზიციები, მდიდართა დაბეგვრა, ბრძოლა სპეკულაციის წინააღმდეგ მაქსიმუმის კანონის ცხოვრებაში განსახორციელებლად, საყოველთაო გაწვევის უზრუნველყოფა, ტერორის გატარება, ბრძოლა შინაგანი კონტრრევოლუციის წინააღმდეგ და სხვ.

„რევოლუციური არმიის“ 1793 წლის სექტემბრის ვარიანტი ბოლომდე როდი აწყობდა რობესპიერსა და დანტონს. ამჯერად წვილმესაკუთრული გვარდიის ნაცვლად ყალიბდებოდა საგანგებო რაზმი, რომელშიც თავს იყრიდა უღარიბესი, პლებეური, ნახევრადპროლეტარული ელემენტები, ანუ „სანკიულოტები“ მემარცხენე იაკობინების, ებერტისტების და თვით „ცოფიანების“ გაგებითაც კი. მაგრამ საფრანგეთის დიდი ბურჟუაზიალი რევოლუციის მაქსიმალური აღმავლობის ეტაპზე რობესპიერმა და დანტონმა მხარი დაუჭირეს აღნიშნულ ღონისძიებას. ბუნებრივია მესაკუთრული, მათ შორის წვრილბურჟუაზიული საფრანგეთი პლებეურ-ღარიბი საფრანგეთის ხარჯზე შექმნილ „პრეტორიანულ გვარდიას“ უარყოფითად გამოეხმაურა.

საყოველთაო-რევოლუციური აღტკინების პირობებში, თავდაპირველად ამ ღონისძიების ჩაშლა შეუძლებელი აღმოჩნდა; მაგრამ ამ არმიის არსებობა შედარებით ხანმოკლე იყო. სულ მალე „ციფიანების“, „ებერტისტებისა“ და „შომეტისტების“ განადგურების შემდეგ „რევოლუციურმა არმიამ“ კონვენტის დეკრეტის საფუძვლეზე 1794 წლის მარტში შეწყვიტა არსებობა.

საფრანგეთის რევოლუციის ახალი არმიის რევოლუციისადმი ერთგულების საუკეთესო დადასტურებას წარმოადგენს. არმიის აქტიური მონაწილეობა შინაგანი კონტრრევოლუციური გამოსვლების ლიკვიდაციის საქმეში. საყოველთაოდ ცნობილია არმიის როლი ტულონის, ლიონის, ბრეტონისა და ვანდეის კონტრრევოლუციური აჯანყებების განადგურების დროს. საინტერესოა ისიც, რომ შინაგანი კონტრრევოლუციის წინააღმდეგ ბრძოლისას არმია ავლენდა შესანიშნავ დისციპლინას და მოქალაქეობრივ შემართებას. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის, რომ ფრონტზე მებრძოლი ჯარები ქვეყნის შიგნით შექმნილ სიძნელეთა დაძლევის მიმართ დიდ დაინტერესებას იჩენდნენ. არმიას საგარეო მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში აღაფრთოვანებდა ზურგში მყოფი არმიის შენაერთების წარმატება შინაგან მტერთან ბრძოლაში. იმ დროს, როცა საფრანგეთის ახალი არმიის ნაწილები „სამოქალაქო წესრიგს“ ამყარებდნენ ქვეყნის შიგნით, მათი იარაღის ძმები იგივეს ახორციელებდნენ ქვეყნის გარეთ, მოწინააღმდეგის ტერიტორიაზე.

რევოლუციურმა მთავრობამ შეძლო სამოქალაქო ომის სულ მოკლე ხანში ლიკვიდაცია. კონტრრევოლუციური – უკვე კოალიციური ძალების (მონარქისტთა ნარჩენები, ფეიანები, ჟირონდისტები) ეს საშიში ამოძრავება დაძლეულ იქნა. ამ საქმეში საფრანგეთის რევოლუციურმა არმიამ უდიდესი როლი შეასრულა. მან კიდევ ერთხელ იხსნა რევოლუცია და სამშობლო. შინაგანი მტრების ლიკვიდაციის შემდეგ გარეშე მტრის

ძლევა უფრო ადვილი გახდა. ასე იცავდა არმია რევოლუციას შინ და გარეთ.

ყოველივე ზემოთქმული, რასაკვირველია, არ ცვლის არმიის ძირითად დანიშნულებას, რომელიც, უპირველეს ყოვლისა, საგარეო მტრის წინააღმდეგ საბრძოლველადაა გამიზნული. სამოქალაქო ომის ლიკვიდაციაში უმთავრეს როლს, რასაკვირველია, რევოლუციური ფრანგი ხალხი ასრულებდ, არმია იყო ერთ-ერთი მძლავრი ბერკეტი ამ ბრძოლის წარმატებით დაგვირგვინებისა.

იაკობინთა მიერ ქვეყნის თავდაცვისა და ახალი არმიის ორგანიზაციის საქმეში გატარებულმა ღონისძიებებმა მალე სათანადო ნაყოფი გამოიღო. რევოლუციურმა არმიამ შეასრულა თავისი ისტორიული მისია – რევოლუცია გადარჩა.

9 თერმიდორის კონტრრევოლუციური გადატრიალების შემდეგ დამთავრდა საფრანგეთის დიდი ბურჟუაზიული რევოლუციის განვითარება აღმავალი ხაზით. მიიწურა აგრეთვე რევოლუციური არმიისა და სამართლიანი ომების ეპოქაც. 9 თერმიდორის შემდეგ გამარჯვებულმა მსხვილმა ბურჟუაზიამ საფრანგეთი ახალი ომების ქარცეცხლში გაახვია. ამიერიდან ომები საფრანგეთის ბურჟუაზიის დიდმპყრობელურ ინტერესებს ემსახურება. თანდათან სახე იცვალა არმიამაც, ვინაიდან იგი გამარჯვებული ბურჟუაზიის კლასობრივი ბატონობისა და მისი დიდმპყრობელური დაპყრობითი პოლიტიკის იარაღი გახდა.

ასეთია საფრანგეთის დიდი ბურჟუაზიული რევოლუციის პოლიტიკური და სოციალური ისტორიის ფონზე შეიარაღებული ძალების განვითარებისა და ცვლილებების ის ზოგადი მონახაზი, რომელზედაც აგებულია სადოქტორო დისერტაციად წარმოდგენლი გ. კიღურაძის ფუნდამენტური მონოგრაფია.

გ. კიღურაძის სადოქტორო დისერტაციის ღირსება სათანადოდ იქნა შეფასებული ოფიციალური ოპონენტებისა და წამყვანი დაწესებულების მიერ.

პროფ. ბ. თ. პორშნევი მიუთითებდა, რომ გ. კიღურაძე საკვლევ თემას მიუდგა არსებითად ახალ და ძალზე პროდუქტიული რაკურსით, როდესაც ყურადღების ცენტრში მოაქცია არა ომების ისტორია და საერთაშორისო ვითარება, არამედ რევოლუციის სხვადასხვა ეტაპზე არმიისა და სამხედრო ორგანიზაციების როლის გარკვევა, როგორც რევოლუციური ბრძოლის ფაქტორის. ამგვარი თვალთახედვით ეს თემა სპეციალურად არასოდეს არ განხილულა და ეს უაღრესად საინტერესო სიახლე საშუალებას იძლევა საფრანგეთის დიდი ბურჟუაზიული რევოლუციის ისტორიის უჩვეულო და ძალზე მნიშვნელოვან ასპექტში გააზრებისა. ბ. თ. პორშნევს ავტორის დიდ დამსახურებად მიაჩნია შეიარაღებული ძალების ოთხი სახის ისტორიის საფუძვლიანი გადმოცემა და ანალიზი, რამაც გაამდიდრა საფრანგეთის რევოლუციის მარქსისტულ-ლენინური გაგება (იხილეთ დანართი).

პროფ. დ. ს. ზავრიევი აღნიშნავდა, რომ დისერტანმა სკრუპულოზურად შეისწავლა თემასთან დაკავშირებული ყველა საკითხი, არ გამოუტოვებია პრობლემის გარკვევისათვის საჭირო თითქმის არც ერთი მომენტი, თავისი მონოგრაფიით გაამდიდრა საბჭოთა და მსოფლიო ისტორიოგრაფია[58].

პროფ. გ. ტივაძე იზიარებდა საერთო აზრს, რომ გ. კიღურაძემ შექმნა მნიშვნელოვანი მონოგრაფია, რომელშიაც მარქსისტულადაა დამუშავებული საფრანგეთის დიდი ბურჟუაზიული რევოლუციის ერთ-ერთი შეუსწავლელი პრობლემა[59].

---

[58] Завриев Д. С., Отзыв на диссертационную работу Г. Ш. Кигурадзе, представленню на соискание ученой степени доктора истрических наук на тему „Проблема армии в период Великой французскойбуржуазной революции (1789-1794 гг.)“, პროფ. გ. კიღურაძის პირადი არქივი.

[59] ტივაძე გ., რეცენზია გ. კიღურაძის მიერ ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილ სადისერტაციო შრომაზე – „არმიის პრობლემა საფრანგეთის დიდი ბურჟუაზიული რევოლუციის დროს (1789-1794 წწ.)“, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქივი, სამეცნიერო ნაწილი, ისტორიის ფაკულტეტი, ფონდი I, ანაწერი I, შესანახი ერთეული 1029, ფურცელი 53-66.

გ. კიღურაძის სადოქტორო დისერტაციის ავტორეფერატზე მოსკოვის მ. ვ. ლომონოსოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ევროპისა და ამერიკის ქვეყნების ახალი და უახლესი ისტორიის კათედრიდან მოვიდა ა. ვ. ადოს დადებითი რეცენზია[60].

1967 წლის 1 ნოემბერს სააქტო დარბაზში გ. კიღურაძემ ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დაიცვა დისერტაცია თემაზე: „არმიის პრობლემა საფრანგეთის დიდი ბურჟუაზიული რევოლუციის დროს (1789-1794 წწ.)“. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭომ დააკმაყოფილა ოფიციალური ოპონენტების, პროფესორების – ბ. თ. პორშნევის, დ. ს. ზავრიევისა და გ. კ. ტივაძის შუამდგომლობა გ. შ. კიღურაძისათვის ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მინიჭების შესახებ. ისტორიის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილება დაამტკიცა უმაღლესმა საატესტაციო კომისიამ.

გ. კიღურაძეს მიენიჭა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი და ახალი ისტორიის კათედრის პროფესორის სამეცნიერო წოდება.

გ. კიღურაძეს განზრახული ჰქონდა მთლიანად გამოეცა თავისი სადოქტორო დისერტაცია ორ წიგნად – „საფრანგეთის არმია დიდი რევოლუციის პირველ ეტაპზე (1789-1792 წწ.)“ და „საფრანგეთის არმია დიდი რევოლუციის მეორე ეტაპზე (1792-1794 წწ.)“. გ. კიღურაძის გარდაცვალების შემდეგ გამოვიდა პირველი წიგნი[61].

გამოჩენილ საბჭოთა მეცნიერს, ისტორიისა და ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ ბორის თევდორეს ძე პორშნევს აუცილებლად მიაჩნდა გ. კიღურაძის სადოქ-

[60] Адо А. В., Отзыв на автореферат докторской диссертации Г. Ш. Кигурадзе „Проблема армии в период Великой французской буржуазной революции (1789-1794 гг.)“, პროფ. გ. კიღურაძის პირადი არქივი.

[61] კიღურაძე გ., საფრანგეთის არმია დიდი რევოლუციის პირველ ეტაპზე (1789-1792 წწ.), თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 1982.

ტორო მონოგრაფიის რუსულ და ფრანგულ ენებზე გამოცემა (იხილეთ დანართი). ბ. თ. პორშნევის მიერ გამოთქმული მაღალი აზრი დისერტაციისა და დისერტანტის შესახებ იყო გამოხატულება იმ საყოველთაო აღიარებისა, რომელიც გ. კიღურაძემ მოიპოვა საბჭოთა ისტორიოგრაფიაში[62].

როდესაც 60-იან წლებში სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტი შეუდგა „XVIII საუკუნის საფრანგეთის დიდი ბურჟუაზიული რევოლუციის" სამტომიან წიგნზე მუშაობას, რომელსაც უნდა შეეჯამებინა საბჭოთა ისტორიოგრაფიის ხანგრძლივი კვლევის შედეგები, გამოცემის მაღალავტორიტეტულმა სარედაქციო კოლეგიამ გ. კიღურაძეს შესთავაზა თანაავტორობა. გ. კიღურაძე დასთანხმდა. მას გამოუგზავნეს პროსპექტი, რომლის შესახებ სთხოვეს გამოეთქვა თავისი შენიშვნები და მოსაზრებანი და დაავალეს პირველი ტომისათვის დაეწერა მეტად საპასუხისმგებლო განაკვეთი – „დამფუძნებელი კრების საკანონმდებლო საქმიანობა". სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის გეგმაში გაუთვალისწინებელი სასწრაფო დავალების ჩართვის გამო ინსტიტუტის დირექცია იძულებული გახდა განზრახულ სამტომიან ნაშრომზე მუშაობა გადაეტანა 80-იანი წლებისათვის, დაეკავშირებინა იგი საფრანგეთის დიდი ბურჟაზიული რევოლუციის 200 წლისთავის იუბილესათვის[63].

პროფ. გ. კიღურაძეს, სხვა მრავალ შემოქმედებით ჩანაფიქრთან ერთად, ეს სამუშაოც შეუსრულებელი დარჩა. 1978 წელს იგი მოულოდნელად გამოეთხოვა სიცოცხლეს 57 წლის ასაკში.

---

[62] Манфред А. З., Адо А. В., Французская буржуазная революция конца XVIII века (Историографиа), в кн: Советская иторическая энциклопедия, т. 15, 1974, გვ. 382.

[63] კოლექტიური შრომის პროსპექტი „XVIII საუკუნის საფრანგეთის დიდი ბურჟუაზიული რევოლუცია" და ამ საკითხის შესახებ გ. შ. კიღურაძის, ი. ი. ჟიგალოვის, ა. ზ. მამფრედის, ე. ვ. ადოს, ბ. გ. ვებერის და გ. ს. ჩერტკოვის მიმოწერა ინახება პროფ. გ. კიღურაძის პირად არქივში.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ევროპისა და ამერიკის ქვეყნების ახალი და უახლესი ისტორიის კათედრის 1982 წლის სამეცნიერო სესიაზე, რომელიც პროფ. გივი კილურაძის დაბადების სამოც წლისთავს მიეძღვნა, მისი კოლეგები – ნოდარ კიკვაძე, გერმან სიმონიძე, გივი ბოლოთაშვილი მოგონებებით გამოვიდნენ უდროოდ წასულ უფროს მეგობარზე.

სესიაზე აღინიშნა, რომ გივი კილურაძის მეგობრებს ხიბლავდა მისი მრავალმხრივობა, ვაჟკაცური შემართება, მკვლევრის სიდინჯე და წერის თავისუფალი, დახვეწილი სტილი, მჭევრმეტყველება და ფართო ერუდიცია, თავდადება მეგობრისათვის და უნაპირო სიძულვილი უკაცურთა.

გივი კილურაძე ხაზს უსვამდა საზოგადოების ისტორიის როგორც რთული დიალექტიკური მოვლენის გაგების აუცილებლობას და უარყოფითად ეკიდებოდა წვრილმან ფაქტოლოგიას, რომელიც მხოლოდ სხვადასხვა ფაქტისა და მოვლენის აღნუსხვით შემოიფარგლება და არ ცდილობს აქედან რაიმე დასკვნების გაკეთებას, განზოგადოებას. პროფ. გ. კილურაძესთან კონტაქტი მის კოლეგებს სტიმულს აძლევდა უფრო საფუძვლიანად შეესწავლათ ისტორიის მოვლენების ესა თუ ის პრობლემა, რათა მეტი სარგებლობა მოეტანათ მშობლიური მეცნიერებისათვის, აგრეთვე სტუდენტი ახალგაზრდობისათვის, რომლის აღზრდა სპეციალისტებად და მოქალაქეებად ერმა ანდო.

გივი კილურაძემ თავისი მასწავლებლისაგან – პროფესორ ალექსანდრე ნამორაძისაგან კარგად იცოდა, თუ რა მრავალფეროვანია იმ ნიღაბთა კოლექცია, რომელიც ისტორის მუზას – „კლიოს“ გააჩნია და რომელთა მიღმაც საჭიროა მისი ნამდვილი სახის ამოცნობა, რადგან მიზეზები, რომლებიც საზოგადოებრივ ცხოვრებას განსაზღვრავენ, უმეტესად მოვლენათა შიგნითაა დამალული.

გივი კილურაძე, როგორც ჭეშმარიტი მეცნიერი და მკვლევარი, მუდამ მიისწრაფოდა რაც შეიძლება ღრმად ჩასწვდომოდა იმ საკვანძო პრობლემებს, რომელთაც იგი შეისწავლიდა. ამიტომაც გვიყვარდა იგი ყველას...

## გ. კილურაძის გამოქვეყნებული მეცნიერული შრომების სია

### წიგნები

1. კილურაძე გ., ახალი ისტორია, წიგნი I, თბ., თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1970, 478 გვ.

2. კილურაძე გ., XVII საუკუნის ინგლისის ბურჟუაზიული რევოლუცია, წიგნი I, (1603-1642 წწ.) თბ., საბჭოთა საქართველო, 1979, 504 გვ.

3. კილურაძე გ., XVII საუკუნის ინგლისის ბურჟუაზიული რევოლუცია, წიგნი II (1642-1693 წწ.), თბ., საბჭოთა საქართველო, 1983, 470 გვ.

4. კილურაძე გ., ნარკვევები პირველი მსოფლიო ომის მომზადების ისტორიიდან (მაროკოს პირველი კრიზისი), თბ., თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1960, 266 გვ.

5. კილურაძე გ., საფრანგეთის არმია დიდი რევოლუციის პირველ ეტაპზე (1789-1792 წწ.), თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1982, 389 გვ.

6. კილურაძე გ., საფრანგეთის დიდი ბურჟუაზიული რევოლუციის ისტორიიდან (ახალი არმიის ორგანიზაცია), თბ., ცოდნა, 1963, 392 გვ.

### სახელმძღვანელოები თანაავტორობით

1. ახალი ისტორია, მეორე პერიოდი, წიგნი I, 1870-1900 წწ., თბ., თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1973, 449 გვ.

2. ახალი ისტორია, მეორე პერიოდი, წიგნი II, 1900-1918 წწ., თბ., თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1975, 583 გვ.

**სტატიები**

1. კილურაძე გ., ბურების პრობლემა და გერმანია, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, 1952, ტ. 47, გვ. 201-227.

2. კილურაძე გ., ევროპის სახელმწიფოთა დამოკიდებულება რუსეთის 1905-1907 წწ. რევოლუციასთან, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, 1955, ტ. 57, გვ. 278-315.

3. კილურაძე გ., „ვანტოზის დეკრეტები" (იაკობინთა დიქტატურის ისტორიიდან), თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, 1958, ტ. 69, გვ. 351-384.

4. კილურაძე გ., ინგლისი და საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუცია, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, 1955, ტ. 55, გვ. 139-160.

5. კილურაძე გ., ინგლისის საგარეო პოლიტიკის ისტორიიდან (1904-1906 წწ.), თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 41, 1950, გვ. 111-118.

6. კილურაძე გ., საფრანგეთ-საქართველოს ისტორიული და კულტურული ურთიერთობანი, მნათობი, 1971, 1, გვ. 105-123.

7. კილურაძე გ., საფრანგეთის დიდი ბურჟუაზიული რევოლუციის გამოძახილი გერმანიაში (რევოლუციური გამოსვლები რაინის ოლქში 1789-1793 წწ.), თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, 1959, ტ. 77, გვ. 261-282.

8. კილურაძე გ., საქართველო-იტალიის ურთიერთობანი, მნათობი, 1961, 9, გვ. 144-153.

9. კილურაძე გ., 9 თერმიდორის გადატრიალების შესახებ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, 1964, ტ. 107, გვ. 191-227.

10. კილურაძე გ., წინააღმდეგობის გამწვავება იაკობინურ ბლოკს შიგნით (დანტონისტები), თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, 1960, ტ. 87, გვ. 189-215.

11. დონაძე ვ., კიღურაძე გ., პარიზის კომუნა და იმდროინდელი ქართული საზოგადოებრიობა, მნათობი, 1972, 5, გვ. 144-155.

12. Донадзе В. Б., Кигурадзе Г. Ш., Парижская коммуна и грузинская общественная мысль второй половины XIX века, Литературная Грузия, 1971, №3, გვ. 76-82.

13. Донадзе В. Б., Кигурадзе Г. Ш., Парижская коммуна и передовая грузинская общественная мысль второй половины XIX в. Французский ежегодник, 1971, Ь., Наука, 1973, გვ. 70-82.

14. კიღურაძე გ., ჟირონდისტები და „პროვანდისტული ომი" ლოზუნგი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, 1972, ტ. B 5(148), გვ. 117-125.

## თეზისები

1. კიღურაძე გ., საგლეხო მიწათმფლობელობა საფრანგეთში 1789 წ. რევოლუციის წინ, ხელმძღვანელი პროფ. ალ. ნამორაძე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტთა 1946 წლის სამეცნიერო კონფერენცია (24-27 აპრილი), მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 1946, გვ. 11-13.

## ავტორეფერატები

1.Кигурадзе Г. Ш., Марокканская прблема в политике Германского империализма 1904-1906 гг. Автореф. кандидатской дис... Тб., 1949, 16 გვ.

2. Кигурадзе Г. Ш., Проблема армии в период Великой французской буржуазной революции (1789-1794 гг.), Автореф. докт. дис. Тб., 1967, 100 გვ.

დანართი 1

Предварительный отзыв

о докторской диссертации Г. Ш. Кигурадзе „Проблема армии в период Великой французцкой буржуазной революции (1789-1794 гг.)“

Представленная на соискание степени доктора исторических наук диссертация Г. Ш. Кигурадзе о роли армии в истории Великой французской революции являеется плодом многих лет добросовестного научно-исследовательского труда. Она посвящена теме очень интересной и еще достаточно девственной: не истории войн французской революции, и истории революционной армии как компонента самой революции, как общественно-политической силы. Эта тема хронологически взята как сквозная, т. е. последовательно рассматривается в четырех частях диссертации применительно к сменяющим друг друга этапам революции. Автор использовал очень широкий круг источников: издания времени самой революции и позднейшие, а также, что следует особо подчеркнуть, интересный и ценный архивный еще почти не использованный фонд Архива Института Марксизма-Ленинизма при ЦК КПСС. Историографическая и источниковедческая база исследования вполне солидна. Исследование отличается тщательностью, полнотой. Основные результаты и выводы исследования представляются мне доказанными, не вызывают принципиальных возражений. Труд Г. Ш. Кигурадзе служит новым вкладом в признанные достижения советской научной исторической школы в изучении этой классической и неисчерпаемой проблемы всеобщей истории – Великой французской буржуазной революции.

На основании отмеченных достоинств считаю что диссертация Г. Ш Кигурадзе может быть представлена к защите и автор заслуживает искомой степени доктора исторических наук.

Б. Ф. Поршнев

профессор, доктор историчсеких наук, доктор философских наук, лауреат Государственной премии СССР

19 сентября 1967 г.

## დანართი 2

Отзыв

о докторской диссертации Г. Ш. Кигурадзе „Проблема армии в период Великой французской буржуазной революции (1789-1794 гг.)“

Прежде всего я должен поблагодарить автора диссертации за то, что специально для меня был сделан перевод всего текста диссертации с грузинского языка на русский, без чего, разумеется, я не мог бы взять на себя функцию оппонента. Однако я надеюсь, что рукопись перевода еще пригодится при подготовке издания книги Г. Ш. Кигурадзе на русском языке.

Отрадно отметить сохранение и возрастание традиций изучения истории Франции целой школой грузинских историков. Только за последние годы это уже третья докторская диссертация, защищаемая в Тбилиси по вопросам истории Франции, в частности XVII-XVIII веков. Грузинские историки успешно участвуют в развитии научных связей между советскими и французскими историками.

Отрадно также, что перед нами еще одно крупное исследование по истории Великой французской революции, интерес к которой в нашей науке не только не падает, но в последнее время снова явно возрастает. Достаточно упомянуть вышедшие в последнее время публикации А. З. Манфреда, книги А. Р. Иоаниисияна и Г. Ревуненкова, а также тот факт, что на конец этого года падает защита трех докторнских диссертаций, относящихся к проблематике Великой французской буржуазной революции (Г. Ш. Кигурадзе, Л. С. Гордон, А. В. Адор). Предполагается, что проблемы истории этой революции будут внесены и в повестку ближайшего коллоквиума советских и французских историков.

Выбор темы для исследования Г. Ш. Кигурадзе мне представляется в высшей степени удачным. Тема эта была рекомендована автору покойным профессором А. Г. Наморадзе и с полным основанием поддержана кафедрой новой истории Тбилисского университета. Действительно, вопросы, относящиеся к истории армии и ее роли на разных этапах революции, остаются далеко недостаточно изученными. Конечно, у Г. Ш. Кигурадзе есть немало предшественников, без чего его обобщающий труд был бы невозможен. Однако все они изучали историю армии преимущественно в связи с историей войн Великой французской революции. Впрочем и ее внутреннее социально-политической значение в той или иной мере находилось в поле их зрения. В СССР этот цикл работ начинается с книг А. К. Дживелегова и, особенно, Н. М. Лукина, представлен также трудами А. Л. Нарочницкого, М. А. Буковецкой и других авторов. Во Франции серьезное изучение проблемы ведет свое начало с Жана Жореса и продолжается по наши дни, В особенности трудами Мраселя Рейнара и Ричарда Кобба. Однако автор рецензируемой диссертации взял эту тему в существенно новом и очень продуктивном

раккурсе. Он принципиально отличается от историографических предшественников тем, что почти полностью отвлекся от истории войн и международной обстановки, а сосредоточил все свое внимание на вскрытии роли армии и военных организаций как фактора самой революционной борьбы на разных этапах истории революции. Так эта тема еще никогда специально не ставилась.

Достаточна-ли источниковедческая база для углубленной разработки этой обширной темы? Да, автору удалось мобилизовать весьма обширный круг источников. Не входя здесь в их характеристику, отмечу лишь, что в их число входят материаль и печатные, и рукописные. В числе первых, т. е. печатных источников, мы находим очень многое из того, что в разные времена публиковалось в русских переводах или в русских изданиях но, разумеется, особенно большое внимание Г. Ш. Кигурадзе уделил сбору печатных изданий времен Французской революции, имеющихся в книгохранилищах СССР (следуя в этом бесценному каталогу Р. М. Тонковой-Яковкиной). В числе архивных рукописных фондов, использованных диссертантом, находится и широко известный фонд донесений русского посла Симолина и некоторые другие, но особенно ценен был хранящийся в Архиве Института Марксизма-Ленинизма фонд французского военно-политического деятеля времен революции и первой империи Эммери, широко и удачно использованный главным образом во второй и третьей главах диссертации. Мое единственное пожелание автору в части источника ведческой: проверить, не опубликованы ли полностью в Италии или во Франции те донесения венецианских резидентов из Парижа, которые он цитирует по публикации М. М. Ковалевского в русском переводе 1892 г.

Обилие и разнообразие исторических источников определили весь стиль сочинения Г. Ш. Кигурадзе: оно

буквально насыщено материалом. Местами остается даже впечатление, что материал подавляет автора. Но в целом он хорошо подчинен общей исследовательской задаче и ходу аналитической мысли.

Указанный выше подход к проблеме армии и ее роли на разных этапах революции, не как к вопросам военно-политической истории, а как к вопросам внутренней, социально-политической историии революции оказался тем самым новым аспектом прочтения самой истории Великой французской буржуазной революции. Мы ее как бы увидели вновь под непривычным и очень выжным углов зрения. Теоретическое значение этого аспекта велико. Мы все согласны в том, что революцию делал народ, но мы еще недостаточно знаем, как именно смог революционный народ одолеть и идейно-психологические преграды, и вооруженную силу государственного аппарата старого порядка. Г. Ш. Кигурадзе совершенно прав, когда он утверждает (ссылаясь и на мнение современников), что весь революционный натиск в июне-июле 1789 г. закончился бы неудачей и революции по-просту не было бы, если бы королевская армия подавила ее силой оружия. Армия отказалась выполнить врутриполитическую функцию и тем самым восходящая линия революции стала возможной. Кстати, лучше было бы говорить не о `разложении~ армии, ибо здесь не было обстановки, похожей на наш 1917 год, а о `неповиновении~, `неподчинении~ армии приказам монархии. Точно также и на последующих этапах развития революции та или иная позиция арми в огромной степени определяла ход событий: армия не поддержала короля во время бегства в Варенн, в революции 10 августа 1792 г. и т. д.

В своем исследовании Г. Ш. Кигурадзе широко знакомит читателя с историей четырех видов вооруженных сил, четырех видов `армий~, существовавших и, можно сказать, сосуще-

ствовавших друг с другом в ходе революции. В именно: 1) регулярная армия, перешедшая на сторону революции самим фактом своего бездействия, но подвергавшаяся затем неоднократным реорганизациям; 2) национальная гвардия; 3) добровольческая, или волонтерская армия; 4) вооруженные силы особого назначения периода якобинской диктатуры, именуемые часто `революционной армией~. Все четыре находились в сложном взаимодействии, в той или иной мере противопоставлялись друг другу, влияли друг на друга, то существовали параллельно, то подвергались `амальгаме~ – слиянию. Это и составляет основной костяк исследования Г. Ш. Кигурадзе. Он прослеживает судьбу этих образований и преобразований на протяжении всей революции от ее начала до конца `восходящей линии~ революции – до переворота 9 термидора.

Но задача исследователя состояла не в констатации этих фактов, а в из объяснении. Только благодаря тому, что в труде Г. Ш. Кигурадзе проведена последовательная марксистско-ленинская концепция истории Великой французской буржуазной революции, ему удалось правильно объяснить трансформации и роль вооруженных сил в истории революции, как и пролить новый свет на саму историю революции, следовательно, обогатить наше марксистско-ленинское ее понимание. В частности, с самого начала, уже в связи с вопросами возникновения национальной гвардии, Г. Ш. Кигурадзе в центре внимания ставит объективно сложившуюся альтернативу: вооруженный народ или вооруженная буржуазия. Желание французской буржуазии решить вопрос по второму пути, борьба крестьянских и плебейских масс за его решение по первому пути – вот красная нить изложения и анализа фактов. Это отвечает глубочайшему внутреннему противоречию всякой буржуазной революции, в том числе самой великой и демократической из них. Автор дает не упрошенную, не схематическую

постановку этого вопроса. Он показывает наличие общего демократического фрпонта в начале революции, этапы раскола этого единого фронта, последовательный отход от революции разных фракций буржуазии. С другой стороны, понятие народ берется не глобально: автор отдельно рассматривает воздействие на историю армии плебейских элементов городов, крестьянской бедноты, зажиточного крестьянства. В частности, большое достоинство диссертации я вижу в том, что автору удалось связать проблемы армии с проблемами аграрной революции, сэтапами ее развития. В этом же классовом, социальном аспекте весьма углубленно и удачно освещены проблемы формирования, положения и политических тенденции офицерства на разных этапах революции.

Специальный и высокий интерес представляет пятая глава диссертации `Проблема армии в период диктатуры якобинцев~. Общеизвестно, что некоторые аспекты понимания якобинской диктатуры остаются до сих пор дискуссионными стерди историков-марксистов как в нашей стране, так и за рубежом. Диссертация Г. Ш. Кигурадзе вносит своей ценный вклад в эти дискуссии. Если историками хорошо показана постепенная утеря робеспьеристами поддержки революционных секций Парижа, то только Р. Кобб поставил вопрос о взаимоотношениях робеспьеристского правительства с такой левой революционной силой, как `революционная армия~. Следуя за ним, Г. Ш. Кигурадзе вноситъ много нового в оценку этой вооруженной силы как опоры якобинской диктатуры и в объяснение причин социального порядка, наступившего к концу раскола и роспуска этой армии. `В провинциальных соединениях `армии~, – пишет он, – деревенские бедняки сражались против сельских собственников. Эта борьба имела социальную окраску и вмещалась в рамки `аграрного закона~. Все это делает понятным отношение собственнической Франции к этой Армии~ (Афтореферат, стр. 95).

Мои критические замечания можно свести к следующим двум главным пунктам.

Во-первых, я не нахожу правильным механическое отсечение вопросов возникновения национальной гвардии от предшествовавшей истории буржуазной милиции в городах Франции XVII-XVIII веков. Национальная гвардия не упала с неба в начале революции, а была использованием давнеы традиции поголовного вооружения зажиточных горожан для охраны общественного порядка, для социальной борьбы имущих горожан (`порядочных людей~) против неимущих (`canaille~). Г. Ш. Кигурадзе не прав, соотнося и эти социальные понятия, и эти военно-административные институты только со временем революции. Новшеством было лишь преобразование `буржуазной гвардии~ в `национальную гвардию~. Словом, кое в чем автору недостает историзма в смысле увязки изученных фактов с предысторией французской революции – с институтами старого порядка.

Во-вторых, само достоинство замысла отчасти превращается в недостаток: автор уже слишком отсек внутриполитическую историю армии от международной обстановки Великой французской революции. Читателю следовало хотя бы вкратце напоминать, какая внешнеполитическая ситуация, например, освобождала армию от международной напряженности, как было в особенности в первые месяцы революции, какая военно-дипломатическая обстановка соответствовала тому или иному этапу политической роли армии во внутреннем развитии революции.

Я не буду говорить о редакционных недостатках русского перевода диссертации, ибо он пока не предназначен для читателей и представлен мне в сыром виде. Но отмечу, что в автореферате есть места, вызывающие редакционные возражения, так например, на стр. 7 явно неосторожна

формулировка: `... главной движущей силой в революции выступает армия нового типа~. Я рекомендую автору улучшить редакционную форму того места, где говорится о революционном терроре на стр. 83-84.

Считаю необздимым рекомендовать издание диссертации Г. Ш. Кигурадзе в возможно более полном виде на русском языке, так как ее первоначальный вариант, изданный на грузинском, доступен лишь узкому кругу историков, да и отстал от современного уровня данного исследования. Полагаю, что в дальнейшем было бы желательно видеть появление этого ценного исследования и во французском переводе.

Серьезные научно-исследовательские достоинства труда Г. Ш. Кигурадзе, составляющего вклад в советскую историческую науку, дают полное основание для присвоения автору ученой степени доктора исторических наук.

**Б. Ф. Поршнев**

შინაარსი

1. გივი კიღურაძე – ცხოვრება და მოღვაწეობა
2. გ. კიღურაძის გამოქვეყნებული მეცნიერული შრომების სია
3. დანართი 1
4. დანართი 2

შინაარსი

1. გივი კიღურაძე – ცხოვრება და მოღვაწეობა
2. გ. კიღურაძის გამოქვეყნებული მეცნიერული შრომების სია
3. დანართი 1
4. დანართი 2

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნი-ვერსიტეტის შრომები

Труды Тбилисского Государственного Университета им. Ив. Джавахишвили
Proceedings of I. Javakhishvili Tbilisi State University
359, 2005

მერაბ კალანდაძე

# პროფესორი გივი კილურაძე*

საქართველოში დასავლეთ ევროპის და ამერიკის ისტორიის მეცნიერულ კვლევას თავისი ტრადიციები გააჩნია. სავსებით კანონზომიერი უნდა იყოს, რომ მას საფუძველი ჩაეყარა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების და ახალი ისტორიის მეცნიერული შესწავლის და სწავლების ფუძემდებლებად გვევლინებიან შესანიშნავი ისტორიკოსები გრიგოლ ნათაძე (1878-1951), ნიკოლოზ დუბროვსკი (1874-1943) და ალექსანდრე ნამორაძე (1890-1958) [1]. მათი დაწყებული საქმე შემდეგში გააგრძელეს მათმა მოწაფეებმა, ხოლო დღეს ამ საქმეს აკეთებენ უკვე მათი მოწაფეების მოწაფეები.

* წაკითხულ იქნა გივი კილურაძის დაბადებიდან 90 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2002 წლის 25 ოქტომბერს.

დასავლეთ ევროპის ისტორიის ქართველ მკვლევართა მეორე თაობის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი, უდავოდ, იყო პროფესორი გივი კილურაძე (1922-1978). მან ღირსეულად გააგრძელა თავისი მასწავლებლის პროფესორ ალექსანდრე ნამორაძის მიერ დაწყებული საქმე და თავისი მოკრძალებული წვლილი შეიტანა საქართველოში დასავლეთ ევროპის და ამერიკის ახალი ისტორიის და ისტორიოგრაფიის პრობლემების მეცნიერული კვლევისა და პოპულარიზაციის საქმეში.

კოლეგებს და მოწაფეებს არ დავიწყებიათ მისი ხსოვნა და მას რამდენიმე ნაშრომი [2] და სტატია [24] მიუძღვნეს.

გივი კილურაძე დაიბადა 1922 წლის 12 თებერვალს თბილისში. დედა იყო თამარ მუჯირი. მამა – შალვა კილურაძე. ბ-ნი გივი ძალიან ადრე დაობლდა. სულ პატარა იყო, როდესაც დედა დაკარგა. ცოტა ხნის შემდეგ რეპრესირებული იყო მამა. გივი კილურაძემ მთლიანად გაიზიარა 30-იანი წლების ბავშვების მძიმე ხვედრი. მისი აღზრდა იტვირთა მამიდამ ქსენია (ქსონდა) კილურაძემ. 1929 წელს გივი კილურაძე შედის სკოლაში, რომლის დამთავრების შემდეგ 1939 წელს შეაქვს საბუთები თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტზე. აქ მან ძალიან ცოტა ხანი დაჰყო და სექტემბრის შუა რიცხვებში თავისი განუყრელი მეგობრის და თანაკლასელის, შემდგომში ჩინებული ისტორიკოსისი, პროფესორ გიორგი ფუთურიძის თხოვნით, გადმოვიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე, რომელიც წარმატებით დასრულა 1943 წელს.

უკვე სტუდენტობის წლებში ნიჭიერ და მუყაით ყმაწვილს თვალი დაადგა ღვაწლმოსილმა მეცნიერმა ალექსანდრე ნამორაძემ და რამდენიმე თემა მისცა დასამუშავებლად. ამ მისიას გივი კილურაძემ კარგად გაართვა თავი და წარმოადგინა ორი შინაარსიანი, ღრმად არგუმენტირებული მოხსენება.

1943 წლის შემოდგომაზე მან წარმატებით ჩააბარა მისაღები გამოცდები ასპირანტურაში და ჩაირიცხა დასავლეთ ევროპის და ამერიკის ქვეყნების ახალი ისტორიის სპეციალობით. აქედან მოყოლებული გივი კიღურაძემ მთელი შემდეგი პროფესიული ცხოვრება მჭიდროდ დაუკავშირა ალ. ნამორაძეს, რომლის „ხელმძღვანელობითაც ჩამოყალიბდა ერუდირებულ ისტორიკოსად, შესანიშნავ ლექტორად და ნიჭიერ მკვლევრად" [2,5].

მან კათედრის მიერ შემუშავებული სამუშაო გეგმის მიხედვით ჩააბარა საკანდიდატო მინიმუმის ყველა საგანი და 1946 წელს დასრულა ასპირანტურის სრული კურსი.

უკვე ასპირანტურაში სწავლის პერიოდში დაიწყო გივი კიღურაძემ პედაგოგიური საქმიანობა. თავდაპირველად ის ასწავლიდა მსოფლიოს ისტორიას ზუგდიდის სამასწავლებლო ინსტიტუტში. 1946 წლიდან მოყოლებული სამ ათეულ წელზე მეტი მუშაობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ახალი ისტორიის კათედრაზე: ჯერ იყო კათედრის ასისტენტი, 1947 წელს – მასწავლებელი, 1947-50 წლებში – უფროსი მასწავლებელი. 1950-1969 წლებში – დოცენტი. 1969 წლიდან – პროფესორი და ახალი ისტორიის კათედრის გამგე [2].

1978 წლის 6 აგვისტოს მოულოდნელად, გულის შეტევით, გარდაიცვალა.

პროფესორ გივი კიღურაძის მეცნიერულ მემკვიდრეობაში რამდენიმე მიმართულება შეიძლება გამოვყოთ: 1. საერთაშორისო ურთიერთობები ისტორიის შესწავლა XX საუკუნის დასაწყისში. 2. საფრანგეთის დიდი რევოლუციის პრობლემების მეცნიერული კვლევა და პოპულარიზაცია. 3. საქართველოს და ევროპის ქვეყნების ურთიერთობის საკითხების შესწავლა. 4. ევროპის და ამერიკის ქვეყნების ახალი ისტორიის და ისტორიოგრაფიის საკითხების პოპულარიზაცია. სახელმძღვანელოების გამოცემა, სამეცნიერო-პოპულარული მონოგრაფიების დაწერა. ახალი ისტორიის ქრესტომათიის შედგენა.

დავიწყოთ საკანდიდატო დისერტაციით, თავის დროზე მეცნიერ-ხელმძღვანელმა პროფესორმა ალ. ნამორაძემ გივი კილურაძეს სამი თემა შესთავაზა: „ერეკლე II-ის ურთიერთობა ევროპის სახელმწიფოებთან“, „ილია ჭავჭავაძე ევროპის ისტორიის შესახებ“, „გერმანიისა და საფრანგეთის წინააღმდეგობა პირველი იმპერიალისტური ომის წინ მაროკოს საკითხში“. პირველი ორი თემის დამუშავება გაცილებით უფრო მომგებიანი ჩანდა და საქართველოს ისტორიასთანაა დაკავშირებული, მაგრამ აქ არის ერთი სირთულე, რომელიც აუცილებლად გასათვალისწინებელია. ცხადია, ვგულისხმობთ იმას, რომ მკვლევარი შეიძლება აღმოჩნდეს ინფორმაციული ვაკუუმის წინაშე. ამიტომ საბოლოო არჩევანი მესამე თემაზე შეჩერდა. ეს ნაბიჯი სავსებით გამართლებული იყო. იმ დროისათვის ეს საკითხი შედარებით ნაკლებად იყო დამუშავებული გერმანულ და საერთოდ ევროპულ ისტორიოგრაფიაში, ხოლო საბჭოთა ისტორიოგრაფიაში იგი თითქმის შეუსწავლელი იყო და გივი კილურაძის ნაშრომი წარმოადგენდა ამ თემის დამუშავების ერთ-ერთ პირველ სერიოზულ მცდელობას საბჭოთა მეცნიერებაში.

1949 წელს გივი კილურაძემ წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „მაროკოს პრობლემა გერმანიის იმპერიალიზმის პოლიტიკაში 1904-1906 წლებში“. დისერტაციის ოპონენტებად გამოყვეს პროფესორი გ. გოზალიშვილი და დოცენტი ს. ბოკუჩავა.

უპირველეს ყოფლისა, ხაზგასმული იყო, რომ ნაშრომში გამოყენებულ იქნა როგორც რუსულ, ისე უცხო ენებზე არსებული პირველწყაროები და კვლევითი ლიტერატურა. აქვე ითქვა ისიც, რომ დისერტანტმა ზოგიერთი წყარო პირველად შემოიტანა სამეცნიერო მიმოქცევაში. საყოველთაო მოწონება დაიმსახურა ნაშრომის ისტორიოგრაფიულმა ნაწილმა, სადაც დამაჯერებლადაა ნაჩვენები აღნიშნული საკითხის განხილვის დროს გერმანული ისტორიოგრაფიის ტენდენციურობა და

სუბიექტურობა. ორივე ოპონენტმა ერთსულოვნად აღნიშნა, რომ გივი კილურაძის „სადისერტაციო ნაშრომი სავსებით აკმაყოფილებს საკანდიდატო ნაშრომის ყველა მოთხოვნას, რის გამოც შესაძლებლად მიგვაჩნია შრომის ავტორისათვის ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მინიჭება“ [2,3].

გივი კილურაძის ნაშრომში მთავარი აქცენტი გაკეთებულია მაროკოს საკითხში გერმანიის პოლიტიკაზე, რაც ადვილი გასაგებიცაა, რადგან სწორედ გერმანიამ შეასრულა უდიდესი როლი კრიზისის გაღრმავების საქმეში.

გივი კილურაძემ ხაზგასმით მიუთითა, რომ გერმანიას მაროკოს პირველი კრიზისის დროს ომი გაჩაღებაში, რომელიც შემდგომ გადაიზრდებოდა გლობალურ, მსოფლიო მასშტაბის, ომში, დაბრკოლება შეუქმნა რამდენიმე გარემოებამ.

1. გერმანიას ჯერ არ ჰყავდა საკმაოდ ძლიერი ფლოტი და ამიტომ არ ძალუძდა გამკლავებოდა ზღვაზე ინგლისს.

2. გერმანიაში ადგილი ჰქონდა მუშათა რევოლუციური მოძრაობის აღმავლობას, სოციალისტური მოძრაობის გამოცოცხლებას, რაც რუსეთის 1905 წლის რევოლუციის შედეგი იყო. გერმანიის მთავრობა, პირველ რიგში, მუშათა მოძრაობის ჩახშობას ითვალისწინებდა და მხოლოდ ამის შემდეგ მიაჩნდა შესაძლებლად ომის გაჩაღება.

3. გერმანიის მოკავშირე ავსტრია-უნგრეთი ომისათვის მოუმზადებელი იყო.

4. პორტსმუტის ზავის შემდეგ რუსეთს კვლავ შეეძლო ევროპის საქმეებში ჩარევა [4, 266-267; 2, 17].

დაბოლოს დავძენთ, რომ დისერტანტმა საკმაოდ დამაჯერებელი პასუხი გასცა ოფიციალური ოპონენტების შენიშვნებს. მან, უპირველეს ყოვლისა, მიუთითა, რომ ეს შენიშვნები „ჩვენს მიერ წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომის გულისხმიერი და მეცნიერული კეთილსინდისიერებით გაცნობის შედეგია; ეს შენიშვნები დისერტაციის ავტორს დიდ დახმარებას გაუწევს

მომავალ მუშაობაში, ეს შენიშვნები გარკვეულად დაეხმარება დისერტანტს გააასკეცოს ერთგულება მეცნიერებისადმი, კიდევ უფრო დააფასოს მასწავლებელთა როლი ახალგაზრდა მკვლევარის აღზრდის საქმეში ... შენიშვნები პრინციპულად არ უარყოფს დისერტაციაში წამოყენებულ რომელიმე ძირითად დებულებას, ეს შენიშვნები გამიზნულია ნაშრომში წამოყენებული დებულების შემდგომ გამდიდრებისა და დაზუსტებისათვის“ [2,8].

1960 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობამ გივი კილურაძის საკანდიდატო დისერტაცია ცალკე წიგნად დასტამბა: „ნარკვევები პირველი მსოფლიო ომის მომზადების ისტორიიდან (მაროკოს პირველი კრიზისი)“.

XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე საერთაშორისო ურთიერთობების ისტორიით გივი კილურაძის დაინტერესება ამით არ ამოიწურებოდა და მან ამ თემას კიდევ რამდენიმე საინტერესო ნაშრომი მიუძღვნა, რომლებიც უნივერსიტეტის შრომებშია დაბეჭდილი [5].

გივი კილურაძის საკანდიდატო დისერტაციის თემატურ გაგრძელებად შეიძლება მივიჩნიოთ მისი ნაშრომი „ინგლისის საგარეო პოლიტიკის ისტორიიდან (1904-1906 წწ.)“. ცხადია, ნაშრომის ყურადღების ცენტრშია ინგლისის საგარეო პოლიტიკა მაროკოს პირველი კრიზისის პერიოდში. აქ მაროკოს პირველი კრიზისი დანახულია ინგლისის დიპლომატიის პრიზმაში.

მაროკოს პირველი კრიზისის დროს ინგლისი, იაპონიასთან ომში დამარცხებულ, რუსეთთან ერთდ, უმალ ამოუდგა გვერდში საფრანგეთს, რამაც მნიშვნელოვანწილად გამოიწვია გერმანიის იზოლაცია ალხესირასის კონფერენციის დროს. გერმანელი დიპლომატი ეკშტეინი გერმანიას სავსებით სამართლიანად საყვედურობდა ამ კონფერენციაში მონაწილეობას.

ინგლისელი ისტორიკოსების მრავალი თაობა ძალისხმევას არ იშურებენ, რათა მოხსნან ინგლისის მთავრობას პირველი მსოფლიო ომის გაჩაღების ბრალდება. გ. კილურაძის ნაშრომ-

ში „ინგლისის საგარეო პოლიტიკის ისტორიიდან (1904-1906 წწ.)“ მდიდარ პირველწყაროებზე და კვლევით ლიტერატურაზე დაყრდნობით გამოთქმულია მოსაზრება, რომ „ბრიტანეთის ვერაგულმა პოლიტიკამ, ცხადია, დიდი როლი ითამაშა ამ ომის აღმოცენების დაჩქარების საქმეში“ [5, 111-118].

XIX საუკუნის მიწურულს ევროპის დიდი სახელმწიფოების ყურადღების ცენტრში მოექცა ბურების რესპუბლიკა. ამას ჰქონდა თავისი ახსნა. ამ დაინტერესებას ახალი მძლავრი სტიმული მისცა ბურების რესპუბლიკაში ალმასის და ოქროს საბადოების აღმოჩენამ, გამართლდა ბურები სახელმწიფო მოღვაწის, პეტერ ჟუბერის წინასწარმეტყველება, რომ „ეს ოქრო შეიქმნება იმის მიზეზი, რომ ჩვენი ქვეყანა სისხლით გაიჟღინთებაო“. აქედან იწყება ინგლის-გერმანიის უმწვავესი დაპირისპირება „გემრიელი ლუკმის“ – ბურების რესპუბლიკის ხელში ჩაგდების მიზნით. აი ამ აქტუალურ თემას ეხება გივი კიღურაძის ნაშრომი „ბურების პრობლემა და გერმანია“ [5, 201-227]. აქ წინა პლანზე წამოწეული გერმანია-ინგლისის დაპირისპირების ჩასახვა-განვითარება, რომელმაც დიდად შეუწყო ხელი პირველი მსოფლიო ომის გაჩაღებას და სამხედრო კოალიციათა ჩამოყალიბებას. ბურების რესპუბლიკა იქცა ინგლისსა და გერმანიას შორის ურთიერთობაში „შავ წერტილად“. ისტორიკოს ა. იერუსალიმსკის თქმით, „შავი წერტილი იზრდებოდა და შავ ღრუბლად ეფინებოდა ევროპას“.

ამ ციკლს ასრულებს გივი კიღურაძის ნაშრომი, „ევროპის სახელმწიფოთა დამოკიდებულება რუსეთის 1905-1907 წწ. რევოლუციასთან“. ავტორის ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა ორი საინტერესო საკითხი:

1. როგორი გამოხმაურება ხვდა წილად 1905-1907 წლების რევოლუციას დასავლეთ ევროპის ქვეყნებში. 2. როგორი იყო ევროპის მმართველი წრეების რეაქცია რუსეთის 1905-1907 წლების რევოლუციაზე. ორივე ამ თემის გაშუქების დროს

მოხმობილია მეტად მრავალფეროვანი და მდიდარი კონკრეტ-ული მასალა [5, 278-315].

ვაჯამებთ რა ამ სფეროში პროფესორ გივი კიღურაძის წვლილს შეიძლება ითქვას, რომ მისი შრომები წარმოადგენდა სერიოზულ წინ გადადგმულ ნაბიჯს იმდროინდელი საბჭოთა ისტორიოგრაფიის ფონზე და იგი ზოგიერთი პრინციპული საკითხის ახლებურად გადაწყვეტის ინიციატორად მოგვევლინა [2,17-18].

საყოველთაოდაა ცნობილი პროფესორ გივი კიღურაძის გატაცება საფრანგეთის დიდი რევოლუციის თემატიკით. ეს დაინტერესება, რა თქმა უნდა, შემთხვევით არ ყოფილა და, პირველ ყოვლისა, მისი მეცნიერ-ხელმძღვანელის პროფესორ ალექსანდრე ნამორაძის კეთილისმყოფელი გავლენის ლოგი-კური შედეგია. ამ სფეროში მათი თანამშრომლობა უკვე ას-პირანტურის წლებში იწყება. აქ, ცხადია, ვგულისხმობთ 1946 წელს ალ. ნამორაძის დავალებით, ასპირანტთა სამეცნიერო კონფერენციაზე გივი კიღურაძის მიერ წაკითხულ მოხსენე-ბას – „საგლეხო მიწათმფლობელობა საფრანგეთში 1789 წლის რევოლუციის წინ“ [9]. თავად ალ. ნამორაძე საქართველოში ამ საკითხის ერთ-ერთი ყველაზე კომპეტენტური სპეციალისტი იყო და ახალგაზრდა მკვლევარს თემაც თავადვე შეურჩია. აი როგორ შეაფასა ახალგაზრდა გივი კიღურაძის ამ ნაშრომის მნიშვნელობა პროფესორმა ა. ნამორაძემ: „მოხსენება შინაარ-სიანი იყო. მასში ჩანდა, რომ ასპირანტი გ. კიღურაძე კარგად იცნობს საგნის სპეციალურ მონოგრაფიულ ლიტერატურას, ნათლად აქვს გათვალისწინებული, თუ როგორ დგას აღნიშნუ-ლი საკითხი არსებულ საისტორიო ლიტერატურაში და თუ როგორ უნდა იქნეს იგი დაყენებული მარქსისტული მეთოდ-ოლოგიის მიხედვით“ (2, 21-22; 7, 7-8).

ცხადია, მოულოდნელი არავისათვის არ ყოფილა, რომ გივი კიღურაძემ თავის სადოქტორო დისერტაციად „მსოფლიო ისტორიოგრაფიის კლასიკური თემა“ საფრანგეთის რევოლუ-

ციის ისტორიიდან აირჩია – „არმიის პრობლემა საფრანგეთის დიდი რევოლუციის დროს“. ასეთი არჩევანი თავისთავად მრავლისმეტყველი იყო და იმაზე მიგვანიშნებდა, რომ მას მეცნიერებაში იოლი გზით სიარული კი არ სურდა, არამედ არ გაურბოდა სიძნელეებს. უნებლიედ გვახსენდება ცნობილი ინგლისელი ისტორიკოსის ედუარდ ფრიმენის სიტყვები „ისტორიკოსის სამუშაო შეუძლია შეასრულოს, მხოლოდ იმან, ვისაც მძიმე შრომის არ ეშინია“.

საქართველოში დასავლეთ ევროპის ისტორიის შესწავლა სირთულეებთან იყო დაკავშირებული რაც, უპირველეს ყოვლისა, იმით იყო გამოწვეული, რომ ქართველი ისტორიკოსები ევროპის წიგნთსაცავებსა და არქივებში ინტენსიური მუშაობის საშუალებას არსებითად მოკლებულნი იყვნენ. ამიტომ წმინდა დასავლეთ ევროპის ისტორიაში საქართველოში სადოქტორო დისერტაციის დაცვა მეცნიერების ერთგვარ ნაკრძალად მიგვაჩნია, ხოლო ამ ნაკრძალში შესვლა რჩეულთ ხვედრია. გული მტკივა, რომ დღეს ამ ნაკრძალის დანაგვიანება ხდება, რაშიც, პირველ ყოვლისა, იმ განუკითხაობის ანარეკლს ვხედავთ, რომელიც თანამედროვე საქართველოში სუფევს. მეცნიერება ოაზისი არაა და გარე სამყაროსთან მჭიდროდაა დაკავშირებული.

პროფესორ გივი კილურაძის მიერ სადოქტორო დისერტაციის დაცვა „არმიის პრობლემა საფრანგეთის დიდი რევოლუციის დროს“ დასავლეთ ევროპის ისტორიის შესწავლის სფეროში ქართული ისტორიოგრაფიის ერთ-ერთი თვალსაჩინო მიღწევაა, მწვერვალია. ეს არის ფრიად სოლიდური 1086 გვერდიანი ნაშრომი, რომლის საერთო არქიტექტონიკა ასე გამოიყურება: პირველი თავი – წყაროებისა და ლიტერატურის მიმოხილვა; პრობლემების პერიოდიზაციის ზოგიერთი საკითხი. მეორე თავი – არმია რევოლუციის დასაწყისში; მღელვარება არმიაში. მესამე თავი – არმიის პრობლემა დაფუძნებული კრების საქმიანობაში, მეოთხე თავი – არმიის

პრობლემა 1792-1793 წლებში იაკობინების ხელისუფლების სათავეში ჩადგომამდე, მეხუთე თავი – არმიის პრობლემა იაკობინთა დიქტატურის პერიოდში.

პროფ. ბ. პორშნევის გამოთქმა რომ ვიხმაროთ, „ამ ქალწულებრივი თემის“ დამუშავებას დიდად შეუწყო ხელი რევოლუციის თანამედროვის ემერის არქივის მასალებმა, რომლის მიკვლევაში გ. კიღურაძეს დაეხმარა ცნობილი რუსი ისტორიკოსი ვ. დალინი. მკვლევრის ხელში აღმოჩნდა პირველხარისხოვანი წყაროები, რომელთა ერთი ნაწილი მან პირველად შემოიტანა სამეცნიერო მიმოქცევაში.

თანამედროვე ფრანგი ისტორიკოსის სორბონის უნივერსიტეტის პროფესორის მარსელ რეინარის თქმით, საფრანგეთის რევოლუციის დროს არმიის როლი შესწავლილი იყო უპირატესად სამხედრო ასპექტში. პრობლემისადმი გ. კიღურაძის ახლებური მიდგომა იმით გამოიხატებოდა, რომ მან თავის სადოქტორო დისერტაციაში რევოლუციის არმია წარმოაჩინა სამოქალაქო ასპექტში. ამით მან სცადა საფრანგეთის არმიის როგორც პოლიტიკურ-რევოლუციური ძალის ადგილის განსაზღვრა საფრანგეთის დიდი რევოლუციის ისტორიაში. ხაზგასმულია არმიის როლი საფრანგეთის რევოლუციის წარმატებებში. ვრცლადაა განხილული ის სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ფაქტორები, რომელმაც დიდად შეუწყო ხელი საფრანგეთის არმიის „სასწაულებრივ გამარჯვებებს“.

პროფესორ გივი კიღურაძის ნაშრომის დადებით მხარეებზე პირველად ოფიციალური ოპონენტები ალაპარაკდნენ. ერთ-ერთი მათგანი პროფესორი დ. ზავრიევი შენიშნავდა, რომ „დისერტანტმა სკრუპულოზურად შეისწავლა თემასთან დაკავშირებული ყველა საკითხი, არ გამოუტოვებია პრობლემის გარკვევისათვის საჭირო თითქმის არც ერთი მომენტი. თავისი მონოგრაფიით გაამდიდრა საბჭოთა და მსოფლიო ისტორიოგრაფია“.

გივი კილურაძის სადოქტორო დისერტაციაზე მაღალი აზრის იყო მეორე ოფიციალური ოპონენტი პროფესორი გ. ტივაძე და დასძენდა, რომ „დისერტანტმა საფუძვლიანად დაამუშავა საფრანგეთის დიდი რევოლუციის ერთ-ერთი შეუსწავლელი პრობლემა“ [2. 33].

და მაინც ყველაზე უფრო ღირებული გამოჩენილი რუსი ისტორიკოსის მსოფლიოში ცნობილი მეცნიერის, ბორის პორშნევის დადებითი რეცენზია იყო. უპირველეს ყოვლისა უნდა ითქვას, რომ ბ. პორშნევს მიზანშეზონილად მიაჩნდა გ. კილურაძის მონოგრაფიის რუსულ და ფრანგულ ენაზე გამოცემა. იგი ხაზს უსვამს თემისადმი დისერტანტის ნოვატორულ მიდგომას, რაც, მისი აზრით, იმით გამოიხატება რომ ავტორი ყურადღებას ამახვილებს არა ომებზე და საერთაშორისო ურთიერთობების ისტორიაზე, არამედ არმიას განიხილავს სამოქალაქო ისტორიის ასპექტში, როგორც რევოლუციური ბრძოლის ფაქტორს, რევოლუციის სხვადასხვა ეტაპზე. ეს სიახლე საშუალებას იძლევა საფრანგეთის რევოლუციის ისტორიის მთელი რიგი კარდინალური საკითხების საინტერესო გააზრებისათვის.

ბ. პორშნევს განსაკუთრებით მოეწონა დისერტაციაში შეიარაღებული ძალების ოთხი ტიპის საფუძვლიანი განხილვა და ანალიზი. ამით დისერტანტმა თავისი სიტყვა თქვა საკითხის ისტორიოგრაფიაში [2, 32-33].

საინტერესო პოლემიკა გაჩაღდა პროფესორ ბორის პორშნევსა და დისერტანტს შორის, რომელსაც, ფრანგი ისტორიკოსის ანრი სეს სიტყვებით რომ ვთქვათ, საფუძვლად ედო „ჭეშმარიტების ძიების დაუცხრომელი სურვილი“.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ გ. კილურაძის სადოქტორო დისერტაციის ავტორეფერატზე დადებითი აზრი გამოთქვა ბ. პორშნევის ერთ-ერთმა საუკეთესო მოწაფემ პროფესორმა ა. ადომ [2,33].

საერთოდ უნდა ითქვას, რომ ამ სფეროში გ. კილურაძე საბჭოთა ისტორიოგრაფიაში ერთ-ერთ ყველაზე კომპეტენტურ მკვლევრად იქნა აღიარებული, რაც, სხვათა შორის, საკმაოდ მაღალ დონეზეც იქნა სათანადოდ დაფიქსირებული [8, 382]. ყველაფერი ეს პროფესორ გ. კილურაძის დისერტაციის საერთაშორისო აღიარებად უნდა მივიჩნიოთ.

50-60-იანი წლები საფრანგეთის რევოლუციის შესწავლის საქმეში ყველაზე უფრო ნაყოფიერ ხანად გვევლინება. სწორედ, ამ პერიოდში დაიცვა მან სადოქტორო დისერტაცია და დაწერა ძირითადი შრომები საფრანგეთის დიდ რევოლუციაზე. ჯერ კიდევ 1963 წელს პროფესორ გ. კილურაძემ ფართო საზოგადოებას გააცნო თავისი კვლევის შედეგები და გამოაქვეყნა წიგნი „საფრანგეთის დიდი ბურუაზიული რევოლუციის ისტორიიდან“ (ახალი არმიის ორგანიზება) [10], რომელსაც სპეციალისტებმა მაშინვე მიუძღვნეს მეტად თბილი რეცენზიები [13].

გივი კილურაძეს უნდოდა თავისი სადოქტორო დისერტაციის ორ წიგნად გამოცემა, მაგრამ ამ სურვილის განხორციელება მან ვერ მოასწრო. 1982 წელს მისი გარდაცვალების შემდეგ გამოვიდა პირველი წიგნი „საფრანგეთის არმია დიდი რევოლუციის პირველ ეტაპზე (1789-1792)“ [11]. მეორე წიგნის „საფრანგეთის არმია დიდი რევოლუციის მეორე ეტაპზე (1792-1794)“ გამოქვეყნება მიზანშეწონილად მიგვაჩნია.

საფრანგეთის დიდი რევოლუციის პრობლემატიკას პროფესორმა გივი კილურაძემ კიდევ რამდენიმე საინტერესო გამოკვლევა მიუძღვნა, რომლებიც XX საუკუნის ქართული ისტორიოგრაფიის მნიშვნელოვანი შენაძენია. ეს შრომებია: „ინგლისი და საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუცია“, „ვანტოზის დეკრეტები“ (იაკობინთა დიქტატურის ისტორიიდან), „საფრანგეთის დიდი ბურჟუაზიული რევოლუციის გამოძახილი გერმანიაში (რევოლუციური გამოსვლები რაინის ოლქში 1789-1793)“, „წინააღმდეგობის გამწვავება იაკობინურ ბლოკს

შიგნით (დანტონისტები)“, „9 თერმიდორის გადატრიალების შესახებ“, „ჟირონდისტები და „პროვანდისტური ომის“ ლოზუნგი“, „ცოფიანთა“ მოძრაობის შეფასებისათვის: „Пробуждение армии“ [6]. ცხადია, აქ ჩამოთვლილ შრომებს უნდა დავუმატოთ ჯერ კიდევ ასპირანტურის წლებში დაწერილი პირველი ნაშრომი „საგლეხო მიწათმფლობელობა საფრანგეთში 1789 წლის რევოლუციის წინ“.

აქ გვინდა გავაკეთოთ მცირე განმარტება. გივი კილურაძის ნაშრომი „ცოფიანებზე“ მისი შრომების ნუსხაში არ გვხვდება და ბუნებრივია, სათანადოდ არაა განხილული იქ, სადაც საუბარია გივი კილურაძის შრომებზე საფრანგეთის რევოლუციის შესახებ [2, 38, 22-26]. როგორც ჩანს, ბროშურის ავტორს გივი კილურაძის ნაშრომი უნებლიედ გაეპარა მხედველობიდან და იგი გათვალისწინებულ უნდა იქნეს. ცხადია, პროფ. კ. ანთაძის ბროშურაში მოხსენიებული ვერ იქნებოდა გივი კილურაძის ნაშრომი „არმიის გამოღვიძება“, რომელიც ამ ბროშურის გამოსვლის შემდეგ გამოვიდა. ამიტომ ეს ნაშრომი უნდა დაემატოს გივი კილურაძის შრომების სიას და ეს ნუსხა ახლა უკვე საბოლოოდ მიიღებს დასრულებულ სახეს.

ამ შრომებში პროფესორმა გივი კილურაძემ მრავალი საინტერესო საკითხი დასვა. გამოამჟღავნა საფრანგეთის რევოლუციის ისტორიისა და ისტორიოგრაფიის პრობლემებში ღრმა ჩახედულობა და თავისი მოკრძალებული წვლილი შეიტანა აღნიშნული თემატიკის დამუშავების საქმეში. გ. კილურაძე საქართველოში საფრანგეთის რევოლუციის ისტორიის ერთ-ერთი საუკეთესო სპეციალისტია [14].

საფრანგეთის დიდი რევოლუციის ისტორიით მისი დაინტერესება ამით არ ამოიწურება. მას განზრახული ჰქონდა დაეწერა ვრცელი, სამეცნიერო-პოპულარული ხასიათის ნაშრომი საფრანგეთის დიდ რევოლუციაზე, ისეთი როგორის დაწერაც მან მოასწრო ინგლისის რევოლუციაზე, მაგრამ ამ ჩანაფიქრის განხორციელება მას არ დასცალდა.

ცხადია, ადვილი გასაგებია, რომ გივი კიღურაძე დაინტერესებას იჩენდა საქართველოს და დასავლეთ ევროპის ქვეყნების ისტორიული და კულტურული ურთიერთობის საკითხებისადმი. ამ თვალსაზრისით საგულისხმოა მისი შრომები „საქართველო-იტალიის ურთიერთობანი“ და „საფრანგეთ-საქართველოს ისტორიული და კულტურული ურთიერთობანი“ [15].

პარიზის კომუნის ასი წლისთავს ეძღვნება პროფესორ გივი კიღურაძის და პროფესორ ვარლამ დონაძის ნაშრომი – „პარიზის კომუნა და იმდროინდელი ქართული საზოგადოებრივი აზრი“. ეს ნაშრომი გამოქვეყნდა როგორც ქართულ, ისე რუსულ ენაზე. იგი რუს მკითხველს წარმოდგენას უქმნის პარიზის კომუნაზე ქართული პროგრესული პუბლიცისტიკის შეხედულებებზე. ნაშრომში დამაჯერებლადაა ნაჩვენები პარიზის კომუნის შესახებ მოწინავე ქართული საზოგადოებრივი აზრის დამოკიდებულების ღირსებები და ნაკლი, ახსნილია მათი გამომწვევი მიზეზები [16].

სადოქტორო დისერტაციის დაცვის შემდეგ პროფესორ გივი კიღურაძემ თავისი ძალისხმევა ახალი ისტორიის უმაღლესი სკოლის სახელმძღვანელოების შექმნას მოახმარა. მივყვეთ თანმიმდევრულად. ამ რიგითობის მიხედვით, პირველია 1970 წელს გამოქვეყნებული ახალი ისტორიის პირველი წიგნი, რომელიც წყაროთმცოდნეობითი და ისტორიოგრაფიული ხასიათისაა [17]. მანამდე ქართულ ენაზე ასეთი შინაარსის ნაშრომი დაწერილი არ ყოფილა და ამიტომ გივი კიღურაძის ეს წიგნი მსოფლიო ისტორიის შესწავლის და პოპულარიზაციის საქმეში ქართული ისტორიოგრაფიის მნიშვნელოვან შესაძენად გვევლინება. ამ წიგნში გივი კიღურაძე წარმოგვიდგება როგორც ახალი დროის დასავლეთ ევროპის ისტორიოგრაფიაში ჩახედული მეცნიერი, რომელიც გააცნობს ქართველ მკითხველს დასავლეთ ევროპის ისტორიული აზროვნების წარმატებებს და პრობლემებს. „მან საბჭოთა ისტორიოგრაფიის მიღწევების საფუძველზე შეძლო ერთიან, მწყობრ სისტე-

მად ჩამოყალიბებული სახით პირველად მიეწოდებინა ქართველი მკითხველისათვის, ისტორიკოს სტუდენტისთვის რთული კალეიდოსკოპი იმ მრავალრიცხოვანი მიმართულებების, სკოლებისა და ცალკეულ ისტორიკოსთა კონცეფციებისა, რომლებიც წარმოიშვა ახალი ისტორიის შესწავლისას ევროპის და ამერიკის ისტორიოგრაფიაში" [2, 14]. ამიტომ შემთხვევითი არ ყოფილა, რომ მას ამ წიგნისათვის 1971 წელს მიენიჭა საუნივერსიტეტო პრემია.

პროფესორ გივი კიღურაძის თაოსნობით ახალი ისტორიის კათედრამ პირველად ქართულ ისტორიოგრაფიაში დაწერა ახალი ისტორიის (1870-1918 წწ.) საუნივერსიტეტო სახელმძღვანელო [18]. აქ მის კალამს ეკუთვნის შემდეგი მონაკვეთები. ამერიკის შეერთებული შტატები – 1870-1918 წლებში, საერთაშორისო ურთიერთობანი – 1871-1914 წლებში და პირველი მსოფლიო ომი [18]. შეიძლება ითქვას, რომ ეს არის ამ პრობლემაზე დაწერილი ცალკე საინტერესო ნარკვევი, საიდანაც კარგად ჩანს, მისი დიდი ერუდიცია, ნიჭი, მდიდარი პედაგოგიური გამოცდილება, რთული თემების უბრალოდ გადმოცემის უნარი" [2, 7].

დასავლეთ ევროპის და ამერიკის ახალ ისტორიაზე ქართულ ენაზე არსებული პირველწყაროებით განებივრებული არ ვართ. ამიტომ, უდავოდ, მისასალმებელი იყო, რომ პროფესორ გივი კიღურაძის ინიციატივით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი ისტორიის კათედრამ გამოსცა ახალი ისტორიის ქრესტომათიის პირველი მონაკვეთი (1640-1789 წწ.). ამავე დროს მან, დოცენტ ელენე მეძმარიაშვილთან ერთად, შეადგინა შემდეგი მონაკვეთები: პრუსია XVII საუკუნის მეორე ნახევარში და XVIII საუკუნეში. ავსტრია XVII საუკუნის მეორე ნახევარში და XVIII საუკუნეში, დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა ამერიკის ინგლისურ ახალშენებში და ამერიკის შეერთებული შტატების შექმნა. საერთაშორისო ურთიერთობანი – 1640-1789 წლებში [19]. ამით მან ფაქტობრივად არსე-

ბული პოლიტიკური ვითარების პირობებში ფრთები შეასხა იმ განზრახვას, რაზეც ოცნებობდნენ მისი წინამორბედები, მასწავლებლები, პირველ რიგში გრიგოლ ნათაძე და ალექსანდრე ნამორაძე.

აქვე გვინდა შევეხოთ ერთ საკითხს, პროფესორ კოტე ანთაძის ბროშურაში ახალი ისტორიის ქრესტომათია მოხსენებულია [2, 14], მაგრამ თანაავტორობით გამოცემულ სახელმძღვანელოთა ნუსხაში მას ვერ ვხედავთ [2. 37], ვფიქრობთ, ეს შეუსაბამობა უნდა გასწორდეს და ქრესტომათია, აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული თანაავტორობით შესრულებული სახელმძღვანელოების ჩამონათვალში.

პროფესორი გივი კილურაძე ისე გაიტაცა ახალი ისტორიის სახელმძღვანელოზე მუშაობამ, რომ საფუძვლიანად ჩაუღრმავდა ამ ეპოქის დიდმნიშვნელოვან მოვლენებს და განიზრახა პირველად ქართულ ისტორიოგრაფიაში შეექმნა სამეცნიერო-პოპულარული მონოგრაფიები ახალი ისტორიის კარდინალურ პრობლემებზე: XVII საუკუნის ინგლისის რევოლუციაზე, ჩრდილოეთ ამერიკის ინგლისური ახალშენების დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაზე, საფრანგეთის დიდ რევოლუციაზე, ნაპოლეონზე, 1848 წლის რევოლუციებზე ევროპაში. განსაკუთრებით მტკივნეულად მიგვაჩნია ის გარემოება, რომ მან ამ ჩანაფიქრის განხორციელება ვერ შეძლო და მხოლოდ XVII საუკუნის შუა ხანების ინგლისის რევოლუციაზე სამეცნიერო-პოპულარული მონოგრაფიის დაწერა მოასწრო.

პროფესორ გივი კილურაძის დამსახურებას წარმოადგენს ის ფაქტორი, რომ მან პირველად ქართულ იტორიოგრაფიაში დაწერა სოლიდური, ფუნდამენტური სამეცნიერო-პოპულარული მონოგრაფია XVII საუკუნის ინგლისის რევოლუციაზე, რომელიც ეყრდნობოდა საკითხის შესახებ არსებულ მდიდარ პირველწყაროებს და უზარმაზარ კვლევით ლიტერატურას. სწორედ მისი შემეცნებითი მნიშვნელობა განაპირობებდა ამ წიგნის მეცნიერულ ღირებულებას [20].

აღსანიშნავია, რომ პირველ წიგნს 1981 წელს მიენიჭა საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს პრემია [2, 15].

ბუნებრივია, თანამედროვე ქართველ მკითხველს დაებადა კითხვა რამდენად აკმაყოფილებს გივი კილურაძის შრომები თანამედროვე მოთხოვნებს? ჩვენი აზრით, ეს შრომები სავსებით პასუხობს ყველაზე უფრო მკაცრ მეცნიერულ კრიტერიუმებს, უძლებს დროის გამოცდას და დღესაც საინტერესოა. თუ მას ჩამოვაშორებთ ძალად თავსმოხვეულ მარქსისტულ-ლენინურ იდეოლოგიას, მასში ჩადებული მდიდარი მეცნიერული ინფორმაცია, უხვი ფაქტობრივი მასალა, უდავოდ, ღირებული რჩება, რაც განაპირობებს მისი შრომების მეცნიერულ ფასეულობას.

დასასრულს, უნდა შევეხოთ ერთ მეტად მტკივნეულ საკითხს, რომელზეც თავისი აზრი ჯერ კიდევ გივი კილურაძემ გამოთქვა. აქ ვგულისმობთ, იმას, რომ იგი დიდი გულისტკივილით აღნიშნავს ინტელიგენციის რიგებში ე. წ. მეცნიერი საქმოსნების გამოჩენას [23]. ეს იყო საკმაოდ აქტუალური თემა. ვინაიდან პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ამ მეცნიერმა საქმოსნებმა დღეს წალეკეს მეცნიერება. მათ პირობით ბოლშევიკური ბალასტი უნდა ვუწოდოთ. ამ რანგის ადამიანების აღზევება, ცხადია, შემთხვევითი არ ყოფილა და მას ჰქონდა თავისი მიზეზები. საქმე ისაა, რომ ბოლშევიკურ ტოტალიტარული რეჟიმის პირობებში ისინი ისე სწრაფად მრავლდებოდნენ, როგორც წვიმის შემდეგ სოკოები. ამ ვაი-მეცნიერებისაგან ინტელიგენციის რიგების გაწმენდა მეცნიერების წინსვლის ერთ-ერთ გარანტიად გვესახება. „კეისარს კეისრის“.

* * *

ერთ ცნობილ მოაზროვნეს უთქვამს „მოგონებები ის ერთადერთი სამოთხეა, საიდანაც არ შეიძლება ჩვენ გამოძევებული ვიქნათ“. ჩემი მასწავლებლის პროფესორ გივი კილურაძის გახსენება ამ სამოთხის ერთი ტკბილად მოსაგონარი კუთხ-

ეა. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ჩემი, როგორც მომავალი ისტორიკოსის, ინტერესების განსაზღვრის საქმეში პროფესორ გივი კიღურაძემ ძალიან დიდი როლი შეასრულა. მაშინ სტუდენტობის დროს ამაზე აღარ მიფიქრია, ახლა კი დღევანდელი გადასახედიდან ისეთი შთაბეჭდილება მრჩება თითქოსდა ეს დაახლოვება შემთხვევითი არ ყოფილა. არადა ყველაფერი ძალზე ჩვეულებრივად დაიწყო.

1970 წლის შემოდგომაზე ჩავირიცხე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე. ისტორიისა და სპორტის განსაკუთრებით ფეხბურთისა და კალათბურთის, ინტერესი სკოლის მერხიდან გამომყვა და შეიძლება ითქვას, რომ დღემდე შემომრჩა. ცოდნის შეძენის სურვილით შეპყრობილნი ვესწრებოდით სხვადასხვა საგანში გამოჩენილ მეცნიერთა ლექციებს. პირველ კურსზე გადავწყვიტე დავსწრებოდი გივი კიღურაძის ლექციას. მე მაშინ უკვე ვიცნობდი მის წიგნს მაროკოს პირველ კრიზისზე, საფრანგეთის რევოლუციის დროს არმიის საკითხზე და ახალი ისტორიის პირველ ნაწილს. მაშინ ეს წიგნი კარგად ვერ გავიგე და აბა რას წარმოვიდგენდი, რომ შემდგომში ის წლების განმავლობაში ჩემს სამაგიდო წიგნად იქცეოდა, მაგრამ მაშინ 1970 წლის შემოდგომაზე ჩემი სურვილი ვერ ავისრულე, რადგან ბატონი გივი ავად ბრძანდებოდა. უნდა დამეცადა მის გამოჯანმრთელებამდე. ცდა დიდხანს არ დამჭირვებია. მეორე კურსზე გადასულმა ჩემი ჩანაფიქრი განვახორციელე. ზუსტად მახსოვს, ეს მოხდა პარასკევს 1972 წლის 31 მარტს 108-ე აუდიტორიაში. ლექცია ეხებოდა ახალი ისტორიის ერთ-ერთ საკვანძო საკითხს – ნაპოლეონ ბონაპარტს. ეს ჩემთვის კიდევ უფრო მიმზიდველს ხდიდა ლექციას, რადგან წაკითხული მქონდა და თითქმის ზეპირად ვიცოდი ე. ტარლეს შესანიშნავი წიგნი ნაპოლეონზე. ა. მანფრედის წიგნი ჯერ არ იყო გამოსული. ცხაიდია, გულმოდგინედ მოვემზადე ლექციის მოსასმენად. ლექციამ ჩემზე განუზომლად დიდი შთაბეჭდილება დატოვა. საქმე ისაა, რომ

ლექტორმა ისაუბრა არა ნაპოლეონის ეპოქის ემპირიულ ისტორიაზე, რასაც ჩვეულებრივ მოუთმენლად მოველოდი მე, არამედ ყურადღება გაამახვილა სულ სხვა საკითხზე და განიხილა ნაპოლეონის შესახებ არსებული ლიტერატურა. ე. ი. შეეხო საკითხის ისტორიოგრაფიას. ეს ჩემთვის სრულიად უცნობი, და როგორც შემდგომში გამოირკვა საინეტერესო თემა აღმოჩნდა. ლექციის მოსმენის დროს რამდენიმე კითხვა გამიჩნდა. ლექციის შემდეგ მივმართე პროფესორს. მან მომისმინა და მკითხა რომელი ვიწრო სპეციალობით ვიყავი. მე იძულებული გავხდი მეთქვა, რომ ჯერ II კურსელი ვარ მეთქი. მან უპასუხა ჩემს შეკითხვებს და მერე მითხრა ახალი ისტორია თუ გაინტერესებსო. მე მიუგე რომ ძალიან მაინტერესებდა შუა საუკუნეების ისტორია, ხოლო ახალი ისტორიიდან მიზიდავდა ნაპოლეონის პიროვნება. შემდეგ ჩვენ ხშირად ვხვდებოდით ერთმანეთს უნივერსიტეტის ფოიეში, ვესალმებოდით და თუ პროფესორს დრო ჰქონდა გამომელაპარაკებოდა ხოლმე. ჩვენს შორის უნებლიედ მეტად თბილი ურთიერთობა დამყარდა. დიდი ფიქრის შემდეგ III კურსზე ჩემი ვიწრო სპეციალიზაციის სფეროდ სწორედ ახალი ისტორია ავირჩიე.

ჩვენმა ურთიერთობამ სულ ექვს წელიწადს გასტანა და ის მოიცავს სტუდენტობის და ასპირანტურის პერიოდს. ვფიქრობთ, რომ გაციებით საინტერესო იქნებოდა მასთან შემდგომი ურთიერთობა, როგორც უფროსი კოლეგისა უმცროს კოლეგასთან. მისი მოულოდნელი გარდაცვალების გამო ჩვენი ურთიერთობები საწყის ეტაპზე გასრულდა.

ისტორიოგრაფიის პრობლემებით ჩემს დაინტერესებაში პროფესორ გივი კიღურაძეს „ლომის წილი" მიუძღვის. ისტორიოგრაფიულ საკითხებს ეხება ჩემი ორივე დისერტაცია: საკანდიდატოც და სადოქტოროც. საკანდიდატო დისერტაციის შერჩევაში ის როგორც მეცნიერ-ხელმძღვანელი, უშუალო მონაწილეობას ღებულობდა. პროფესორ კოტე ანთაძისა და პროფესორ გივი კიღურაძის რჩევით მე საკანდიდატო დის-

ერტაციის თემად ავირჩიე პრობლემა „ფრიდრიხ შილერის შეხედულებები ახალი ისტორიის პრობლემებზე“. მისი ხელმძღვანელობით დავიცავი სადიპლომო ნაშრომი. მე მეამაყება ამ ნაშრომზე მისი დადებითი აზრი. „იგი აკმაყოფილებს სადიპლომო ნარომისათვის წაყენებულ ყველა მოთხოვნას. დიპლომანტმა საკმაოდ დიდი შრომა გასწია, გაეცნო მრავალი სახის ლიტერატურას, პირველწყაროებს, აქვს საკუთარი მოსაზრებები, ზოგჯერ საკმაოდ დაფუძნებული. გამოავლინა მეცნიერული კვლევის უნარი“.

ის იყო საკმაოდ მომთხოვნი, მკაცრი, მაგრამ სამართლიანი მეცნიერ-ხელმძღვანელი. დღემდე მაქვს შემონახული ის ჩანაწერები და კონსპექტები, რომელიც ასპირანტურაში სწავლის პერიოდში გავაკეთე ახალი იტორიის პრობლემებზე – ინგლისის რევოლუციაზე, სამრეწველო გადატრიალებაზე ინგლისში, საფრანგეთის დიდ რევოლუციაზე, ნაპოლეონზე, 1848 წლის რევოლუციებზე, პირველ მსოფლიო ომზე. ის ჩვენგან ყოველთვის ითხოვდა წყაროების ზედმიწევნით ზუსტ ცოდნას და კვლევითი ლიტერატურის ფართოდ გაცნობას. მაშინ როგორც ახალგაზრდას ხშირად მეჩვენებოდა, რომ ცოტა გადაჭარბებული ხომ არ იყო ასე დეტალურად ისტორიული მოვლენების გარჩევა, მაგრამ ახლა დღევანდელი გადასახედიდან ეჭვი არ მეპარება, რომ ასე უნდა მოქცეულიყო. ხშირად ვკამათობდით, ვიღებდი შენიშვნებს, რომელიც მეჩვენებოდა, რომ ყოველთვის სამართლიანი როდი იყო, მაგრამ ეს იყო სწორი, ძნელი გზა, რომელიც დამწყებმა ახალგაზრდა მკვლევარმა აუცილებლად უნდა გაიაროს, თუ მას სურს რაიმე წარმატებს მიაღწიოს. ამიტომაც იხსენებენ მას მადლიერების გრძნობით თვისი მოწაფეები.

კოლეგებს – მის მოწაფეებს არასოდეს დაავიწყდებათ მისი სახელი და ყოველთვის თბილად გაიხსენებენ ნიჭიერ მკვლევარს და ჩინებულ ლექტორს გივი კიღურაძეს.

1982 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ევროპისა და ამერიკის ქვეყნების ახალი და უახლესი ისტორიის კათედრამ პროფესორ გივი კიღურაძის 60 წლისთავთან დაკავშირებით ჩაატარა საინტერესო სამეცნიერო სესია, რომლის დროსაც კოლეგებმა ნოდარ კიკვაძემ, გივი ბოლოთაშვილმა მრავალი ტკბილი სიტყვა თქვეს თავიანთ უფროს კოლეგაზე.

პროფესორ გივი კიღურაძის ხსოვნას მეტად თბილი მოგონება უძღვნა მისმა მეგობარმა და კოლეგამ პროფესორმა აკაკი სურგულაძემ [22].

მისი დაბადებიდან 70 წლისთავის აღნიშვნა 1992 წელს საქართველოში შექმნილი რთული პოლიტიკური ვითარების გამო სამწუხაროდ ვერ მოხერხდა და მაინც მიზანშეწონილად ვცანით და ამ თარიღთან დაკავშირებით პატარა მასალა გამოვაქვეყნეთ გაზეთ „თბილისში".

2002 წლის 25 ოქტომბერს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ევროპისა და ამერიკის ქვეყნების ახალი და უახლესი ისტორიის კათედრის ინიციატივით ჩატარდა დიდი სხდომა მიძღვნილი ღვაწლმოსილი მეცნიერის პროფესორ გივი კიღურაძის დაბადების 80 წლისთავისადმი. სხდომა შესავალი სიტყვით გახსნა უნივერსიტეტის რექტორმა – აკადემიკოსმა როინ მეტრეველმა. მან მეტად თბილად გაიხსენა აწ განსვენებული მეცნიერი და მოყვა რამდენიმე ეპიზოდი მათი თანამშრომლობისა ქართული ენციკლოპედიის შექმნის პერიოდში. სხდომას უძღვებოდა დასავლეთ ევროპისა და ამერიკის ქვეყნების ახალი და უახლესი ისტორიის კათედრის გამგე პროფესორი კოტე ანთაძე. გივი კიღურაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ დამსწრე საზოგადოებას ესაუბრა ამ სტრიქონების ავტორი. მოგონებებით გამოვიდნენ გივი კიღურაძის სიყრმის მეგობრები აკადემიკოსები: მარიამ ლორთქიფანიძე და ოთარ ჯაფარიძე, პროფესორი ნოდარ ლომოური, პროფესორი გურამ ყორანაშვილი, პროფესორი გურამ მანჯგალაძე, პროფესორი კარლო მეშველიანი, პროფესორი კოტე ანთაძე, პროფესორი ზოია ჩიმაკაძე.

## ლიტერატურა:

1. მ. კალანდაძე, დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების ახალი ისტორიის შესწავლა საქართველოში XX საუკუნის პირველ ნახევარში. თბ. 1998.
2. კ. ანთაძე, გივი კიღურაძე, ცხოვრება და მოღვაწეობა, თბ. 1983. M. Kalandadze, Die Anfänge das studium der mittelatterlichen und neueren Geschichte Weststeuropas in Georgien-Georgika, 23, 2000.
3. М. Каландадзе, Александр Георгиевич Наморадзе, новая и новеишая история, №4. 1998. М. Каландадзею У истоков изучения истории западной Европы в Грузии, в кн.: Н. Дубровский, Тб., 2004.
4. საქართველოს რესპუბლიკის უახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 471. ანაწერი 19, შესანახი ერთეული 1182.
5. გ. კიღურაძე, ნარკვევები პირველი მსოფლიო ომის მომზადების ისტორიიდან (მაროკოს პირველი კრიზისი), თბ., 1960.
6. გ. კიღურაძე, ბურების პრობლემა და გერმანია, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 47. 1952. გ. კიღურაძე, ევროპის სახელმწიფოთა დამოკიდებულება რუსეთის 1905-1907 წწ. რევოლუციასთან – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 57. 1955. გ. კიღურაძე, ინგლისის საგარეო პოლიტიკის ისტორიიდან (1904-1906 წწ.), თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 41. 1950.
6. გ. კიღურაძე, „ვანტოზის დეკრეტები“ (იაკობინთა დიქტატურის ისტორიიდან), თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 69, 1958, გ. კიღურაძე, ინგლისი და საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუცია – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 55.

1955. გ. კიღურაძე, საფრანგეთის დიდი ბურჟუაზიული რევოლუციის გამოძახილი გერმანიაში (რევოლუციური გამოსვლები რაინის ოლქში), თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 77. 1959. გ. კიღურაძე, წინააღმდეგობის გამწვავება იაკობინურ ბლოკს შიგნით (დანტონისტები), თბილისის სახელმწიფო უნივერსიტე-ტის შრომები, ტ. 87. 1960. გ. კიღურაძე, 9 თერმიდო-რის გადატრიალების შესახებ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 107. 1964. გ. კიღურაძე, ჟირონდისტები და „პროვანდისტული ომის ლოზუნგი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, 1972. გ. კიღურაძე, „ცოფიანთა“ მოძრაობის შეფასებისათვის, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის პროფ. ალ. ნა-მორაძის გარდაცვალების 5 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია, თბ. 1963, Г. Кигурадзе. Пробуждение армии. „Французский ежегодник, 1984“, М., 1986.

7. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქივი, ფონდი 1, ანაწერი 1, შესანახი ერთეული 723, ასპირანტურა, ახალი ისტორიის კათედრა, კიღურაძე გ. შ.
8. Манфред А., Адо А. Французская буржуазная революция XVIII века (историография). В кн.: Советская историческая энциклопедия, т. 15, М., 1957.
9. გ. კიღურაძე, საგლეხო მიწათმფლობელობა საფრანგეთ-ში 1789 წ. რევოლუციის წინ. ხელმძღვანელი პროფ. ალ. ნამორაძე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ას-პირანტთა 1946 წლის სამეცნიერო კონფერენცია (24-27 აპრილი, მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები. თბ., 1946.
10. გ. კიღურაძე, საფრანგეთის დიდი ბურჟუაზიული რევო-ლუციის ისტორიიდან (არმიის ორგანიზება), თბ., 1963.
11. გ. კიღურაძე, საფრანგეთის არმია დიდი რევოლუციის პირველ ეტაპზე (1789-1792), თბ., 1982.

12. მ. კალანდაძე, გამოკვლევა საფრანგეთის რევოლუციაზე, „სახალხო განათლება“, 1988 წ. 22 აპრილი.
13. კ. ანთაძე, სასარგებლო ნაშრომი, „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1964 წ. 25 იანვარი. ვ. დონაძე, მნიშვნელოვანი შენაძენი, „თბილისი“, 1964 წ. 7 თებერვალი.
14. მ. კალანდძე, საფრანგეთის დიდი რევოლუციის შესწავლა საქართველოში, „საქართველოს კომუნისტი“, 1989 წ. 7.
15. გ. კიღურაძე, საქართველო-იტალიის ურთიერთობანი, მნათობი, 1961 წ. 9. გ. კიღურაძე, საფრანგეთ-საქართველოს ისტორიული და კულტურული ურთიერთობანი, მნათობი, 1971. 1.
16. ვ. დონაძე, გ. კიღურაძე, პარიზის კომუნა და იმდროინდელი ქართული საზოგადოება, მნათობი, 1972. 5. Донадзе В., Кигурадзе Г. Парижская Коммуна и грузинская общественная мысль второй половины XIX века. Литературная Грузия, 1971, №3. Донадзе В., Кигурадзе Г. Парижская Коммуна и грузинская общественная мысль второй половины XIX века. Французский ежегодник, 1971, М., 1973.
17. გ. კიღურაძე, ახალი ისტორია, ნაწილი 1. თბ., 1970. ამ წიგნს გამოეხმაურა პროფ. ზ. შველიძის დადებითი რეცენზია. მნათობი, 1971, 5.
18. ახალი ისტორია, ნაწ. 1-2. თბ., 1973-1975.
19. ქრესტომათია ახალ ისტორიაში, ნაწილი 1. მ. მამფორიას და გ. კიღურაძის რედაქციით, თბ., 1979.
20. გ. კიღურაძე, XVII საუკუნის ინგლისის ბურჟუაზიული რევოლუცია. ნაწ. 1-2, თბ., 1979-1983.
21. ვ. დონაძე, საყურადღებო ნაშრომი, „თბილისი“, 1979, 26 ნოემბერი. მ. კალანდაძე, ახალ ამპლუაში, „რუბიკონი“, 1993, 30. მარტი.
22. აკ. სურგულაძე, არდავიწყება მოყვრისა, თბ., 1990.

23. გ. კილურაძე, სიახლეებით და იმედებით, „თბილისი“, 1974 წ. 31 იანვარი.
24. მ. კალანდაძე, პროფესორი გივი კილურაძე, კრებული მიძღვნილი გივი კილურაძის ხსოვნისადმი, თბ., 1998. მ. კალანდაძე, მეცნიერი და პედაგოგი – თბილისი, 1992, 14 თებერვალი. მ. კალანდაძე, ევროპის ისტორიის მკვლევარი (პროფესორი გივი კილურაძის დაბადების 80 წლისთავის გამო) – თბილისის უნივერსიტეტი, 27 აპრილი, 2002; გ. ყორანაშვილი, კლიოს უნილბო მსახური, თბილისი, 24 ოქტომბერი, 2002.

**МЕРАБ КАЛАНДАДЗЕ**

# ПРОФЕССОР ГИВИ КИГУРАДЗЕ

## РЕЗЮМЕ

Проф. Гиви Кигурадзе (1922-1978) был учеником известного грузинского ученого Александра Наморадзе.

Научно-исследовательскую работу Г. Кигурадзе вел в нескольких направлениях: 1) Международные отношения в начале XX века (эта проблема исследуется в его кандидатской диссертации и нескольких опубликованных трудах). 2) Изучение истории Французской революции (этой проблеме посвящены его докторская диссертация и несколько десятков научных работ). 3) Грузино-европейские отношения (этой проблемы касаются несколько статей). 4) Популяризация новой истории и историографии Западной Европы. Его книга „Новая история" носит чисто историографический характер, а вторая книга касается английской революции середины XVII века.

Под его редакцией и при соавторстве вышла также „Хрестоматия по новой истории". Он был одним из соавторов учебника по новой истории (1870-1918 гг.).

**MERAB KALANDADZE**

## PROFESSOR GIVI KIGHURADZE


SUMMARY

Professor Givi Kighuradze (1922-1978) studied under the guidance of the eminent Georgian scholar Alexandre Namoradze.

Kighuradze conducted his research in several directions:

1. International relations in the beginning of the 20$^{th}$ century. This is the topic of his thesis and also of several published works.

2. Givi Kighuradze was the best specialist in Georgia in the field of the French Revolution. His PhD dissertation and a large number of studies are devoted to this topic.

3. Givi Kighuradze researched Georgian-European relations and wrote several papers on this topic.

4. He paid great attention to the popularization of modern history and of West European historiography. His book "Modern History" is of purely historiograpic character and his second book researches the English Revolution of the mid-17$^{th}$ century.

He was the editor and co-author of the "Chrestomathy om Modern History". He was also one of the co-authors of the textbook on modern history (1870-1918).

MERAB KALANDADSE

# EIN GEORGISCHER ERFORSCHER DER NEUEN GESCHICHTE WESTEUROPAS

Die georgische Historiographie erlangte nicht nur in der Wissenschaftssphäre der Geschichte Georgiens große Erfolge, sondern brachte ihren bescheidenen Beitrag auch auf dem Gebiet der Erforschung und Popularisierung des Mittelalters und der neuen Geschichte Westeuropas ein. Diese Frage ist interessant und aktuell. Ihrer hat sich bis heute kein besonderes Lehrfach in der georgischen Historiographie angenommen. Die Erforschung ist eng mit einer solch aktuellen Frage wie dem Schicksal eines Wissenschaftlers unter den Bedingungen eines totalitären Regimes verbunden.

In Georgien verfügen die Erforschung des Mittelalters und der Neuen Geschichte Westeuropas und deren Popularisierung ihre Tradition. Auch die Tbilssier Staatliche Universität schuf ihr eine Grundlage. Die Stammväter der wissenschaftlichen Erforschung und Lehre des Mittelalters und Neuen Geschichte Westeuropas sind die Historiker Grigol Nataze (1878-1951), Nikoloz Dubrovski (1874-1943) und Aleksandre Namoraze (1890-1958). Ihre begonnene Arbeit führten im Weiteren ihre Schüler fort, und heute sind wiederum deren Schüler tätig.

Einer der besonderen Vertreter der zweiten Generation von georgischen Erforschern der Geschichte Westeuropas war Professor Givi Kiguraze (1922-1978). Er setzte das begonnene Wirkungsfeld seines Lehrers, Professor Aleksandre Namorazes, würdig fort und brachte seinen bescheidenen Beitrag in die wissenschaftlichen Erforschung

und Popularisierung von Problemen der Neuen Geschichte Westeuropas und Amerikas und der Historiographie ein.

Givi Kiguraze wurde am 12. Februar 1922 in Tbilisi geboren. Seine Mutter – Tamar Mujiri, Vater – Šalva Kiguraze. Sehr bald verwaiste er: er war noch sehr klein, als er die Mutter verlor. Kurze Zeit später wurde der Vater verfolgt. Givi Kigurage teilte das schwere Los von Kindern der 1930er Jahre. Die Tante Ksenia (Ksonda) Kiguraze nahm sich seiner an. Im Jahre 1929 wurde Givi Kiguraze eingeschult.

Nach Beendigung der Schule im Jahre 1939 reichte er seine Papiere an der Historischen Fakultät der Tbilisier Staatlichen Universität ein, die er im Jahre 1943 mit Erfolg beendete.

Schon in den Studienjahren hatte der Wissenschaftler Aleksandre Namoraze ein Auge auf den begabten und strebsamen jungen Mann geworfen. Er gab ihm mehrere Themen zur Bearbeitung. Givi Kiguraze nahm sich diesen an und hielt zwei inhaltsreiche, mit Argumenten angereicherte Vorträge.

Im Herbst 1943 legte er mit Erfolg die Aufnahmeprüfungen in die Aspirantur ab und wurde im Fach Neue Geschichte der Länder Westeuropas und Amerikas aufgenommen. Ab nun verband Givi Kiguraze sein ganzes nachfolgendes Berufsleben mit Al. Namoraze, „unter dessen Leitung er sich zu einem gelehrten Historiker, wunderbaren Hochschullehrer und begabten Forscher entwickelte”. Er lege jedes Fach des Kandidatenminimums entsprechend des ausgearbeiteten Arbeitsplanes des Lehrstuhls ab und beendete im Jahre 1946 den vollen Kurs der Aspirantur.

Bereits in der Aspirantur begann Givi Ķiguraze seine pädagogische Tätigkeit. Zum ersten Mal lehrte er Weltgeschichte am Zugdidier Lehrinstitut. Vom Jahre 1946 an arbeitete er im Verlaufe von drei Jahrzehnten an der Tbilisier Universität am Lehrstuhl für Neue Geschichte: zunächst war er Assistent des Lehrstuhls, im Jahre 1947 Lehrer, in den Jahren 1947 bis 1950 – Oberlehrer. In den Jahren

1950-1969 Dozent. Vom Jahre 1969 an Professor und Leiter des Lehrstuhls für Neue Geschichte.[2]

Am 6. August 1978 verstarb Professor Givi Kiguraze unerwartet an einer Herzattacke.

* * *

In der wissenschaftlichen Tätigkeit von Professor Givi Kiguraze kann man einige Richtungen benennen: 1. die Erforschung der Geschichte der internationalen Beziehungen am Beginn des XX. Jahrhunderts; 2. die wissenschaftliche Erforschung und Popularisierung von Problemen der großen Revolution Frankreichs; 3. die Erforschung der Frage der Beziehungen zwischen Georgien und den Ländern Europas; 4. die Popularisierung der Fragen der Neuen Geschichte und Historiographie, die Herausgabe von Lehrbüchern, das Schreiben von wissenschaftlich populärwissenschaftlichen Monographien, das Zusammenstellen einer Chrestomathie der neuen Geschichte.

Zunächst die Kandidatendissertation (Doktorarbeit). Der damalige Leiter, Professor Al. Namoraze schlug Givi Kiguraze mehrere Themen vor. Die endgültige Auswahl fiel auf den „Germaniisa da saprangetis çinaaymdegoba pirveli imperialisțuri omis in marokos sakitcši/ Der Gegensatz von Deutschland und Frankreich vor dem ersten Imperialistischen Kri in der Frage Marokkos“. Eine solche Auswahl schien sehr berechtigt, war doch dieses Problem in dieser Zeit verhältnismäßig wenig erforscht.

Im Jahre 1949 verteidigte Givi Kiguraze mit Erfolg seine Kandidatendissertation zum Thema ,,Marokos problema germaniis imperialiszmis politikaši 1904-1906 clebši/ Das Problem Marokko in der Politik des Imperialismus Deutschlands in den Jahren 1904 bis 1906”. Als Opponenten fungierten Professor G. Gozališvili und der Dozent S. Boķučava.

6 გ. კიღურაძე. ამერიკის შეერთებული შტატები მე-19 საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში (1870-1898). – ახალი ისტორია. წიგნი I. (1870-1900). თბ., 1973, გვ. 199-240; გ. კიღურაძე . ამერიკის შეერთებული შტატები 1898-1914 წლებში. – ახალი ისტორია. წიგნი მეორე, 1900-1918. თბ., 1975, გვ. 112-151; გ. კიღურაძე. ამერიკის შეერთებული შტატები პირველი მსოფლიო ომის წლებში. – ახალი ისტორია. წიგნი მეორე, 1900-1918. თბ., 1975, გვ. 426-447.

7 ახალი ისტორია. წიგნი პირველი. თბ., 1973, გვ. 240; მ. კალანდაძე. ამერიკის შეერთებული შტატების ისტორიის პერიოდიზაცია. – კლიო, 25. თბ., 2005.

დროს 1914-1918 წლებში. ომის დასაწყისში ამერიკის შეერთებული შტატების ნეიტრალიტეტი მხოლოდ მოჩვენებითი იყო და რეალურად ის ანტანტას ემხრობოდა. ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. აშშ-ს მოკავშირეობა ანტანტის წარმატების საიმედო საწინდარი გახლდათ. ეს ალიანსი, ცხადია, ცარიელ ნიადაგზე არ აღმოცენებულა და მრავალი გარემოებით იყო გამოწვეული. მათ შორის პოლიტიკური და ეკონომიკური ფაქტორებით. ის ფინანსურად და ეკონომიკურად ინგლისთან მჭიდროდ იყო დაკავშირებული. გერმანიის გამარჯვების პერსპექტივა ამერიკის შეერთებული შტატებისთვის ნაკლებად ხელსაყრელი იყო და მის გეგმაში არ შედიოდა. ერთი ქვეყნის გამარჯვება მათ არ აწყობდა, რადგან აშშ-ს საგარეო პოლიტიკა დიდ სახელმწიფოთა შორის წინააღმდეგობებზე გახლდათ გათვლილი.[8] ის ამოცანები, რომლებიც ომში ჩაბმით, აშშ-მ დაისახა, გეგმაზომიერად სრულდებოდა. 1918 წელმა კიდევ უფრო განამტკიცა აშშ-ს პოზიციები, ხოლო ომის დამთავრებისას იგი აღწევს მიზანს. აშშ მთავარი არბიტრის როლში გამოდის და მსოფლიოს თავის სურვილებს უკარნახებს.[9]

თუ ამ თემებზე მსჯელობას ძალად თავსმოხვეულ მარქსისტულ-ლენინურ გარესამოსს ჩამოვაცლით, მაშინ რეალურად ხელში შეგვრჩება საინტერესო ისტორიული ნარკვევი ამერიკის შეერთებული შტატების ახალ ისტორიაზე 1870-1918 წლებში, რომელიც ქართულ საზოგადოებას, პირველ რიგში კი სტუდენტებს შეძლებისდაგვარად დაეხმარება საერთო წარმოდგენა შეიქმნან ამერიკის შეერთებული შტატების ახალი ისტორიის ამ მონაკვეთზე. მისი შემეცნებითი მნიშვნელობა, სწორედ, ამაში უნდა მდგომარეობდეს.

მაშ ასე, პროფ. გივი კილურაძემ თავისი წვლილი შეიტანა ამერიკის შეერთებული შტატების ახალი ისტორიის პოპულარიზაციის საქმეში. ამ დარგში პროფ. გ. კილურაძის ღვაწლზე

---

8 ახალი ისტორიია. წიგნი მეორე. თბ., 1975, გვ. 437-439.

9 ახალი ისტორია. წიგნი მეორე. თბ., 1975, გვ. 446.

სრულყოფილი, ამომწურავი, წარმოდგენა რომ შეგვექმნას, აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ არა მარტო ის, რაც მან დაწერა, არამედ ის, რისი გაკეთება მას განზრახული, ჩაფიქრებული, ჰქონდა. ეს ასპექტი, ვფიქრობთ, საინტერესოა და ამ სფეროში მის მიერ გაწეული შრომის ადეკვატური სურათის შექმნაში დაგვეხმარებოდა. განსაკუთრებით მტკივნეულად მიგვაჩნია, რომ მან ვერ მოასწრო დაეწერა ჩაფიქრებული სამეცნიერო-პოპულარული მონოგრაფია დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ისტორიაზე. ეს შეავსებდა იმ თეთრ ლაქას, რომელიც ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებობს. ხელსაყრელი შანსი დაიკარგა. დაწერა საინტერესო ისტორიული ნარკვევი ამერიკის შეერთებული შტატების ახალ ისტორიაზე 1870-1918 წლებში. ეს იმდროინდელი ქართული ისტორიოგრაფიის შენაძენი იყო. მან აიღო სერიოზული მეცნიერული საკითხი და მარქსისტული პოზიციებიდან დაამუშავა. „ეს იყო ჩვენი უბედურება და არა დანაშაული“.

ამ თემაზე საუბარს, ალბათ, ამით დავასრულებდით, რომ არა ერთი გარემოება, რომელსაც, ჩვენი აზრით, თავისი მნიშვნელობა აქვს. პროფ. გივი კიღურაძის წვლილი ამერიკის შეერთებული შტატების ისტორიის პოპულარიზაციის და შესწავლის საქმეში ამით არ ამოიწურება და აქ წერტილის დასმა ნაადრევი იქნებოდა. აი, რა გვაქვს მხედველობაში. პროფ. გივი კიღურაძე მოგვევლინა ამერიკის შეერთებული შტატების ისტორიის შესწავლის მეცნიერულ რელსებზე გადაყვანის მთავარ მოთავედ. კათედრას არ ყავდა კვალიფიცირებული ამერიკანისტი. ამიტომ მან 1976 წელს მოსკოვში მიავლინა ახალგაზრდა ისტორიკოსი ვასილ კაჭარავა, რომელიც პროფ. ნიკოლოზ სივაჩოვის ხელმძღვანელობით, დასპეციალდა ამერიკის შეერთებული შტატების უახლეს ისტორიაში. დღეს უკვე უნივერსიტეტში გვაქვს ამერიკის შესწავლის ცენტრი, რომელიც ფართო მეცნიერულ და შემეცნებით საქმიანობას ეწევა და პოპულარობას უწევს არა მარტო ამერიკის შეერთებული

შტატების ახალი და უახლესი ისტორიის შესწავლას, არამედ სხვა დარგებსაც. მთლიანად ამერიკანისტიკას. არადა ყველაფერი ასე უბრალოდ იწყებოდა. პროფ. გ. კიღურაძის ეს ნაბიჯი, ჩვენი აზრით, ამ სფეროში მის კიდევ ერთ დამსახურებადშეიძლება მივიჩნიოთ.

ამრიგად, პროფ. გივი კიღურაძემ თავისი წვლილი შეიტანა საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ახალი ისტორიის პოპულარიზაციის საქმეში, რაც უმთავრესად ასახვას პოვებს ახალი ისტორიის ქრესტომათიაში და სახელძღვანელოებში. ეს იმჟამინდელი ქართული ისტორიოგრაფიის ფონზე გარკვეული წინგადადგმული ნაბიჯი იყო. მის მეცნიერულ მნიშვნელობას განაპირობებდა მისი შემეცნებითი დატვირთვა. ამ საკითხზე მშობლიურ ენაზე არსებული ლიტერატურით არათუ მაშინ, დღესაც არა ვართ განებივრებული.

საქართველოში დიდი ხნის მანძილზე არ გვყავდა ამერიკის შეერთებული შტატების ახალი ისტორიის კვალიფიცირებული სპეციალისტი, ამერიკანისტი. ამიტომ ამ ვაკუუმს ხშირად ახალი ისტორიის სპეციალისტები ავსებდნენ. პროფ. ალექსანდრე ნამორაძის და პროფ. გივი კიღურაძის მეცნიერული მემკვიდრეობა, ვფიქრობთ, ამის ერთ-ერთი კარგი ნიმუშია. რა თქმა უნდა, ეს არ იყო კარგი ცხოვრებით გამოწვეული და მეტად ნიშანდობლივი გახლდათ ისეთი პატარა ქვეყნისათვის, როგორიც საქართველოა.

პროფ. გივი კიღურაძის მთავარ დამსახურებად ამერიკის შეერთებული შტატების ახალი ისტორიის პოპულარიზაციის რამდენიმე მიმართულებით წარმართვა მიგვაჩნია. ასეთი მრავალფეროვნება, ცხადია, შემთხვევითი არ ყოფილა და კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს მის ერუდიციას, ფართო განათლებას.

1. პროფ. გივი კიღურაძემ თავისი წვლილი შეიტანა დამოუკიდებულებისათვის ბრძოლის, წყაროთმცოდნეობის პოპულარიზაციის საქმეში. ეს კარგად აისახა ახალი ისტორიის ქრესტომათიაში.

2. განსაკუთრებით მისასალმებელი უნდა იყოს პროფ. გივი კილურაძის დაინტერესება ამერიკის შეერთებული შტატების ახალი ისტორიის ისტორიოგრაფიის საკითხებით. ამ თემის განხილვას დიდი ადგილი აქვს დათმობილი მის სახელმძღვანელოს „ახალი ისტორიის" პირველ ნაწილში. ამერიკის შეერთებული შტატების ისტორიის თეორიულ საკითხებზე ქართულ ენაზე თითქმის არაფერი არ იწერებოდა და თუ დღეს ჩვენ მშობლიურ ენაზე აშშ-ს ისტორიის წყაროთმცოდნეობაზე და ისტორიოგრაფიაზე რაიმე გაგვაჩნია, ამაში თავისი წვლილი, სწორედ, პროფ. გივი კილურაძეს მიუძღვის. ქართულ რეალობაში ამ მიმართულებით პირველი ნაბიჯი მან გადადგა.

3. პროფ. გ. კილურაძემ თავისი სიტყვა თქვა ამერიკის შეერთებული შტატების ახალი ისტორიის ემპირიული, ფაქტოლოგიური, ისტორიის პოპულარიზაციის საქმეში. ამ მხრივ ყურადღებას იპყრობს მისი დაინტერესება დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ისტორიით. ეს ჩანაფიქრი მხოლოდ ნაწილობრივ იქნა განხორციელებული. ახალი ისტორიის ქრესტომათიაში გამოქვეყნდა დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ამსახველი მასალა, წყაროები, მაგრამ დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაზე ჩაფიქრებული სამეცნიერო-პოპულარული ნაშრომის დაწერა ვერ მოასწრო. მან ახალი ისტორიის მეორე პერიოდის სახელმძღვანელოში დაწერა საინტერესო ისტორიული ნარკვევი ამერიკის შეერთებული შტატების ისტორიაზე 1870-1918 წლებში.

4. და ბოლოს, აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ სწორედ პროფ. გივი კილურაძე მოგვევლინა ამერიკის შეერთებული შტატების ახალი და უახლესი ისტორიის შესწავლის მეცნიერულ რელსებზე გადაყვანის მთავარ მოთავედ და ინიციატორად, რაც, ჩვენი აზრით, ამ დარგში მის კიდევ ერთ დამსახურებად უნდა მივიჩნიოთ. აქ, ცხადია, პირველ ყოვლისა, ახალგაზრდა, დამწყები ისტორიკოსის, ვასილ კაჭარავას თანადგომა გვაქვს მხედველობაში.

**MERAB KALANDADZE**

## PROFESSOR GIVI KIGHURALZE ON THE ISSUES OF THE U.S. HISTORY

Prof. Givi Kiguradze has made his contribution in the popularization of the US history in Georgia. He was working in several directions. Prof. Givi Kiguradze did not confine himself to the popularization of empirical history, and he paid attention issues of source studies and historiography of the USA. It is most significant that he was interested in the theoretical issues, which practically are not covered in Georgia even today. It was Prof. Givi Kiguradze, who made the first steps in that direction. He chose significant problem and studied it from the Marxist viewpoint. The popularization of the US history became scholarly issue, but this process was one-sided and proceeded exclusively in the ideology of Marxism-Leninism. “This was our misfortune, not our crime.”

**МЕРАБ КАЛАНДАДЗЕ**

## ПРОФЕССОР ГИВИ КИГУРАДЗЕ О ВОПРОСАХ НОВОЙ ИСТОРИИ США

Проф. Гиви Кигурадзе внёс свой вклад в дело популяризации новой истории Соединенных Штатов Америки. Он работал в нескольких направлениях. Проф. Гиви Кигурадзе не ограничился популяризацией только эмпирической историей и большое внимание уделил вопросам источниковедения и историографии истории США. Особенно важным является его заинтересованность теоретическими вопросами, которых в Грузии сегодня почти никто не касается. Именно проф. Гиви Кигурадзе сделал первые шаги в этом направлении. Он выбрал важную проблему и изучил её с марксисткой точки зрения. Популяризация истории США приобрела научный характер, но этот процесс оказался однобоким и протекал исключительно в русле идеологии марксизма-ленинизма. «Это было нашим несчастьем, а не преступлением».

## მერაბ კალანდაძე

## პროფესორი გივი კიღურაძე

საქართველოში დასავლეთ ევროპისა და ამერიკის ქვეყნების ახალი ისტორიისა და ისტორიოგრაფიის შესწავლის საქმეში თავისი სიტყვა თქვა გივი შალვას ძე კიღურაძემ. იგი პროფესორ ალექსანდრე ნამორაძის მოწაფეებს შორის, უთუ-ოდ ერთ-ერთი კოლორიტული ფიგურა იყო.

გივი კიღურაძე დაიბადა 1922 წლის 12 თებერვალს. იგი ადრე დაობლდა და მისი აღზრდა იკისრა მამიდამ ქსენია პავ-ლეს ასულმა კიღურაძემ.

გივი კიღურაძემ 1943 წელს წარჩინებით დაამთავრა უნი-ვერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი და იმავე წელს ჩაირიცხა ასპირანტურაში ევროპის ქვეყნების ახალი ისტორიის სპე-ციალობით. ნიჭიერ ახალგაზრდას ჯერ კიდევ სტუდენტობის წლებში ყურადღება მიაქცია ღვაწლმოსილმა მეცნიერმა პროფ. ალექსანდრე ნამორაძემ. მათი თანამშრომლობის ლოგიკუ-რი დაგვირგვინება იყო საკანდიდატო დისერტაციის დაცვა. ალ. ნამორაძემ თავის მოსწავლეს სამი თემა შესთავაზა: ერ-ეკლე II-ის ურთიერთობა ევროპის სახელმწიფოსთან, ილია ჭავჭავაძე ევროპის ისტორიის შესახებ და გერმანიასა და სა-ფრანგეთის წინააღმდეგობა პირველი იმპერიალისტური ომის წინ მოროკოს საკითხში. საბოლოო არჩევანი ამ უკანასკნელ თემაზე შეჩერდა. ასეთი გადაწყვეტილება მრავლისმეტყვე-ლია, ვინაიდან საზღვარგარეთისს ისტორიის კვლევა მოითხ-ოვდა დიდი შრომატევადი საკვლევი სამუშაოს ჩატარებას და

იმაზე მიუთითებდა, რომ ახალგაზრდა ისტორიკოსი იოლი გზით სიარულს არ აპირებდა.

1949 წელს გივი კილურაძემ წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე – „მაროკოს პრობლემა გერმანიის იმპერიალიზმის პოლიტიკაში 1904-1906 წწ“. ოფიციალურმა ოპონენტმა პროფ: გ. გოზალიშვილმა და დოც. ს. ბოკუჩავამ სადისერტაციო ნაშრომს მაღალი შეფასება მისცეს. ეს იყო მსოფლიოს ისტორის კვლევის სფეროში ქართული ისტორიოგრაფიის მორიგი წარმატება, ამიტომ გასაკვირი არ იყო, რომ რამდენიმე ხნის შემდეგ უნივერსიტეტის გამომცემლობამ გივი კილურაძის საკანდიდატო დისერტაცვია ცალკე მონოგრაფიად გამოსცა. სოლიდარობით გამოირჩევა მონოგრაფიის ისტორიოგრაგიული ნაწილი. გ. კილურაძემ უამრავ ფაქტსა და მრავალფეროვან წყაროებზე დაყრდნობით დამაჯერებლად ცხადყო, თუ რატომ არ გადაიზარდა მაროკოს 1904-1906 წლების კრიზისი პირველ მსოფლიო ომში.

1946 წლიდან გივი კილურაძემ დაიწყო მუშაობა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ახალი ისტორიის კათედრაზე. 1969 წელს ის აირჩიეს ახალი და უახლესი ისტორიის კათედრის გამგედ. ოცდათორმეტი წელი ილვაწა მან მშობლიურ უნივერსიტეტში.

გივი კილურაძემ სადოქტორო დისერტაცია მიუძღვნა „მსოფლიოს ისტორიოგრაფიის კლასიკურ თემას“, „მარად უკვდავ პრობლემას“ საფრანგეთის დიდი რევოლუციას – „არმიის პრობლემა საფრანგეთის დიდი ბურჟუაზიაული რევოლუციის დროს (1789-1794). პროფ. ბ. პორშნევის გამოთქმა რომ ვიხმაროთ „ამ ქალწულებრივი თემის დამუშავებას“ დიდად შეუწყო ხელი რევოლუციის თანამედროვის ემერის არქივის მასალებმა, რომლის მიკვლევაში გივი კილურაძეს დაეხმარა ცნობილი ისტორიკოსი ვ. დალინი. მკვლევარის ხელში აღმოჩნდა პირველხარისხოვანი წყაროები. როგორ სამართლიანად შენიშნავდა თანამედროვე ფრანგი ისტორიკოსის მარსელ რეინარი, საფრანგეთის რევოლუციის დროს არმიის როლი შესწავლილი იყო

უპირატესად სამხედრო თვალსაზრისით. პრობლემისადმი გივი კილურაძის ორიგინალური მიდგომა იმით გამოიხატა, რომ მან თავის დისერტაციაში რევოლუციის ეპოქის არმია წარმოაჩინა. სამოქალაქო ისტორიის ასპექტში. გივი კილურაძის გამოკვლევას მაღალ შეფასებას აძლევდნენ არა მარტო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში (პროფ: გ. ტივაძე, პროფ. ს. ზავრიევი), არამედ მის ფარგლებს გარეთაც. ცნობილ ისტორიკოსს ბორის პირშნევს საჭიროდ მიაჩნდა გივი კილურაძის გამოკვლევის რუსულ და ფრანგულ ენებზე გამოცემა. სადისერტაციო ნაშრომს დადებითი რეცენზიით გამოეხმაურა საფრანგეთის დიდი რევოლუციის კომპეტენტური მკვლევარი პროფ. ა. ვ. ადო. ამ მონოგრაფიამ მნიშვნელოვანწილად განსაზღვრა პროფ. გივი კილურაძის უდიდესი წვლილი ისტორიულ მეცნიერებაში.

გივი კილურაძისათვის ნიშანდობლივი განსაკუთრებული ინტერესი საფრანგეთის დიდი რევოლუციის ისტორიისადმი, რაც მნიშვნელოვანწილად მისი მასწავლებლის ალ. ნამორაძის კეთილისმყოფელი გავლენით იყო განპირობებული. მან აღნიშნულ პრობლემას არაერთი საინტერესო ნაშრომი უძღვნა: „ვანტოზის დეკრეტები“ (იაკობინთა დიქტატურის ისტორიიდან), „ინგლისის და საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუცია“, „წინააღმდეგების გამწვავება იაკობინელთა ბლოკს შიგნით“ (დანტონისტები), „9 თერმიდორის გადატრიალების შესახებ“, „ჟირონდისტები და „პროვანდისტიული ომის“ ლოზუნგი“, „საფრანგეთი დიდი ბურზუაზიული რევოლუციის ისტორიიდან“ (ახალი არმიის ორგანიზაცია), „საფრანგეთის რევოლუციის გამოძახილი გერმანიაში“, „ცოფიანთა მოძრაობის შეფასებისათვის“. ეს ბოლო ნაშრომი გივი კილურაძის შრომების ჩამონათვალში რატომღაც გამოტოვებულია და მისი გათვალისწინება, ვფიქრობთ, მიზანშეწონილი იქნებოდა. გივი კილურაძე საქართველოში საფრანგეთის დიდი რევოლუციის ერთ-ერთი საუკეთესო სპეციალისტია.

პროფ. გივი კილურაძის ლექციები ყოველთვის იყო შინაარსიანი, გამოირჩეოდა კვალიფიკაცია და პროფესიონალიზმით.

ჯერ კიდევ პროფ. ალ. ნამორაძე მიუთითებდა იმ დიდი ყურადღებაზე, რომელსაც ახალგაზრდა ლექტორი გივი კილურაძე იჩენდა ისტორიოგრაფიის პრობლემებისადმი. სალექციო კურსში ამ საკითხების გაშუქება საინტერესო იყო გივი კილურაძის ლექციები არ ატარებდა შიშველი ფაქტოგრაფიისა და ემპირიზმის ხასიათს, რაც მისი ერთ-ერთი მთავარი ღირსება იყო.

გივი კილურაძე დიდ ყურადღებას იჩენდა ახალი და უახლესი ისტორიის ისტორიოგრაფიის საკითხებისადმი. ეს ინტერესი კარგად აისახა ახალი ისტორიის პირველ ტომში, რომელიც ძირითადად ისტორიოგრაფიული ხასიათისაა. ამ ნაშრომში გ. კილურაძე ფაქტობრივად ახალი და უახლესი ისტორიის ისტორიოგრაფიის შესწავლის პიონერად მოგვევლინა ქართულ სინამდვილეში. ეს იყო ისტორიოული მეცნიერების წინაშე მისი კიდევ ერთი დამსახურება.

რა თქმა უნდა, ვერავინ ვერ აუვლის გვერდს გივი კილურაძის წვლილს მშობლიურ ენაზე სახელმძღვანელოების შექმნის საქმეში, რომლის დეფიციტსაც სტუდენტობა დღესაც მტკივნეულად განიცდის. მან აქტიური მონაწილეობა მიიღო ახალი ისტორიის მეორე პერიოდის (1870-1918 წწ.) სახელმძღვანელოს შექმნის საქმეში. მის კალამს ეკუთვნის მონაკვეთი ამერიკის შეერთებული შტატების, საერთაშორისო ურთიერთობებისა და პირველი მსოფლიო ომის ისტორიაზე, თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ ეს არის აღნიშნული პრობლემისადმი მიძღვნილი საინტერესო ცალკე ნარკვევები. გივი კილურაძის ინიციატივით გამოვიდა ახალი ისტორიის ქრესტომათიის პირველი ნაკვეთი (1640-1789), ამით სასარგებლო საქმე გაკეთდა, რადგან ევროპის და ამერიკის ისტორიის შესახებ მშობლიურ ენაზე არსებული წყაროებით განებივრებული არ ვართ. გივი კილურაძის კალამს ეკუთვის ამ ნაშრომის დიდი მონაკვეთი: პრუსია XVII საუკუნის მეორე ნახევარში და XVIII საუკუნეში, ავსტრია XVII საუკუნის მეორე ნახევარში და XVIII საუკუნეში, დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა ამერიკის ინგლისურ ახალშენებში და აშშ-ის შექმნა, საერთაშო-

რისო ურთიერთობები – 1640-1789 წწ. აღნიშნული პერიოდის უმნიშვნელოვანესი დოკუმენტების გამოქვეყნებას, უდავოდ, დიდი შემეცნებითი მნიშვნელობა ჰქონდა. გივი კიღურაძის გატაცება საერთაშორისო ურთიერთობების პრობლემებით ორი საუკუნის მიჯნაზე მის საკანდიდატო დისერტაციაში იგრძნობოდა. ამ სიუჟეტის გაგრძელებას წარმოადგენდა შრომები: „ინგლისის საგარეო პოლიტიკის ისტორიიდან (1904-1906 წწ.)“, „ბურების პრობლემა და გერმანია“, „ევროპის სახელმწიფოების დამოკიდებულება რუსეთის 1905-1907 წწ. რევოლუციასთან“.

გივი კიღურაძე ინტერესს იჩენს საქართველოს და დასავლეთ ევროპის ისტორიული და კულტურული ურთიერთობის საკითხებისადმი. ამ მხრივ ნიშანდობლივია მისი გამოკვლევები: „საქართველო-იტალიის ურთიერთობანი“. „საფრანგეთ-საქართველოს ისტორიულ და კულტურული ურთიერთობანი“, „პარიზის კომუნა და იმდროინდელი ქართული საზოგადოება“.

თავის მოღვაწეობის დასასრულს გივი კიღურაძე ახალ ამპლუაში მოგვევლინა. საფრანგეთის რევოლუციის ცნობილმა მკვლევარმა მშვენიერი წიგნი შექმნა ინგლისის რევოლუციაზე. პირველ ყოვლისა, ხაზი უნდა გავუსვათ ამ წიგნის შეემცნებით ღირებულებას, ვინაიდან აქამდე ინგლისის რევოლუციის შესახებ ქართულ ენაზე თითქმის არაფერი მოგვეპოვებოდა. გივი კიღურაძის მონოგრაფია სწორედ ამ ხარვეზის შევსებას ისახავდა მიზნად. მისი წიგნი ინგლისის რევოლუციაზე ქართულ მკითხველს მდიდარ ინფორმაცია აწვდის აღნიშნულ თემაზე და კარგად აცნობს მსოფლიოს ისტორიის ამ ღირსშესანიშნავ მოვლენას.

პროფესორ გივი კიღურაძის წვლილი ქართული ისტორიოგრაფიის წინაშე ამით არ ამოიწურება. მან აღზარდა ევროპასა და ამერიკის ქვეყნების ახალი და უახლესი ისტორიის ახალგაზრდა მკვლევარები. რომლებიც აგრძელებენ იმ გზას, რომელსაც საფუძველი ჩაუყარეს ალექსანდრე ნამორაძემ და გივი კიღურაძემ.

## თამარ ანთაძე

## ღირსეულად დაფასებული მეცნიერი

საქართველოში ასეთი შემთხვევები უფრო იშვიათობას წარმოადგენს, მაგრამ, როგორც ჩანს, მაინც არსებობს. საპირისპირო მაგალითები ძალიან ბევრია, უმადურობა უფრო მეტია მადლიერების გამოხატვაზე. პროფ. გივი კილურაძის ცხოვრების და მიღვაწეობის შესწავლა, ამ ფონზე ერთგვარ ბედნიერ გამონაკლისად შეიძლება მივიჩნიოთ. უმცროსი კოლეგები, მოსწავლეები ხშირად ივიწყებენ თავიანთ წინამორბედებს, მასწავლებელს, ძალიან კარგია, რომ ამჯერად ასე არ მოხდა.

თბილისის სახელმწიფო უნივერისტეტის ახალი და უახლესი ისტორიის კათედრის საქმიანობაში ცენტრალური ადგილი უჭირავს წინამორბედების წვლილის ღირსეულად დაფასებას. ამ კარგ ტრადიციას თავისი ისტორია გააჩნია და მის მესაძირკვლედ კათედრის დამაარსებელი, ცნობილი ქართველის ისტორიკოსი, პროფესორი ალექსანდრე ნამორაძე გვევლინება. ამ თვალსაზრისით ყურადღებას იპყრობს მისი ორი საინტერესო ნაშრომი. პირველი ეხება ქართული მედიევისტიკის ფუძემდებელს პროფ. გრიგოლ ნათაძის ცხოვრებას და მოღვაწეობას და დაიბეჭდა 1959 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომების 77 ტომში, ხოლო მეორე – კიდევ ერთ ცნობილ ისტორიკოსს, პროფ. ნიკოლოზ დუბროვსკის მოღვაწეობას, ეტყობა, მას ამ ნაშრომის გამოქვეყნება ვერ მოუხერხებია. პროფ. მერაბ კალანდაძე მის კვალს არქივში გადააწყდა და პირველად შემოიტანა სამეცნიერო მიმოქცევაში. ამით პროფ.

ალექსანდრე ნამორაძემ, ფაქტობრივად. საძირკველი ჩაუყარა მათი ცხოვრების და მოღვაწეობის შესწავლას. ეს ამ გზაზე გადადგმული პირველი ნაბიჯი იყო. მისი მნიშვნელობა, სწორედ, ამაში მდგომარეობდა [4.2]. ეს კარგი ტრადიცია გააგრძელეს მისმა მოწაფეებმა პროფ. გივი კიღურაძემ და პროფ. კოტე ანთაძემ. ამ პრობლემატიკას დიდი ყურადღება ეთმობა დღესაც. მისი შესწავლის მთავარ ინიციატორად პროფ. მერაბ კალანდაძე გვევლინება. ფაქტობრივად, ის კათედრის მეისტორიედ მოგვევლინა [2] პროფ. გივი კიღურაძემ (1922-1978) ღრმა კვალი დატოვა XX საუკუნის ქართულ ისტორიოგრაფიაში. მან თავისი სიტყვა თქვა და შეძლებისდაგვარად შეეცადა, წინ წაეწია საქართველოში დასავლეთ ევროპაში და ამერიკის ახალი ისტორიის წყაროთმცოდნეობის, ისტორიოგრაფიის და ისტორიის სწავლება, პოპულარიზაცია და მეცნიერული კვლევა, შესწავლა. მან, პროფ. კოტე ანთაძესთან ერთად, ღირსეულად გააგრძელა ის კარგი ტრადიციები, რომლის სათავეებთან იდგა პროფ. ალექსანდრე ნამორაძე.

წინამდებარე ნაშრომი ისტორიოგრაფიულ ხასიათს ატარებს და მიზნად ისახავს იმ საკვლევი ლიტერატურის მოკლე მიმოხილვას, რომელიც ღვაწლმოსილი მეცნიერის ცხოვრებასა და მოღვაწეობას შეეხება. ამას აქვს მნიშვნელობა და საერთო წარმოდგენას შეგვიქმნის იმაზე თუ რა არის გაკეთებული ამ მიმართულებით და რა შეიძლება გაკეთდეს, ამ კუთხით ეს თემა სამეცნიერო ლიტერატურაში შესწავლილი არ ყოფილა და ამიტომ მიზანშეწონილად ვცანით, მასზე ორიოდე სიტყვით შევჩერებულიყავით.

წინამდებარე ნაშრომი ორ ნაწილად დაყოფილი. პირველი ნაწილი შეეხება თბილისის სახელმწიფოდ უნივერსიტეტის ღვაწლმოსილი მეცნიერი საიუბილეო საღამოების აღნიშვნას, ხოლო მეორე ნაწილში კი მოკლედ მიმოვიხალავდით იმ საკვლევ ლიტერატურას, რომელიც შეეხება მისი ცხოვრების და მოღვაწეობის შესწავლას.

* * *

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში არაერთხელ აღინიშნა ამაგდარი მეცნიერის საიუბილო თარიღები. ამას აქვს მნიშვნელობა და მისი სახელის არდავიწყების გზაზე გადაგმული პირველი ნაბიჯი იყო.

1982 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფართოდ აღინიშნა მისი 60 წლისთავი. ამასთან დაკავშირებით ფრიად ავტორიტეტულ სამეცნიერო კრებული „ფრანცუზსკი ეჟეგოდნიკში“ დაიბეჭდა მისი მოწაფის კონსტანტინე ბოჭორიშვილის ინფორმაცია [27. 259-260].

1992 წელს პროფ, გივი კიღურაძეს 70 წელი შეუსრულდა, მაგრამ გარკვეული სუბიექტურო თუ ობიექტური მიზეზების გამო, რომელსაც მკვეთრად გამოკვეთილი პოლიტიკური სარჩული გააჩნია და 1992 წლის ზამთარში თბილისში გაჩაღებულ სამოქალაქო ომთანაა დაკავშირებული, მისი ფართოდ აღნიშვნა ვერ მოხერხდა. ამ ფონზე ერთგვარი გამონაკლისად გვევლინება და ნაწილობრივ ამის კომპენსაციას წარმოადგენს მისი მოწაფის პროფ. მერაბ კალანდაძის მეტად თბილი წერილი მასწავლებელზე „მეცნიერი და პედაგოგი“, რომელიც გამოქვეყნდება გაზეთ „თბილისში“ [5].

2002 წლის 25 ოქტომბერს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფართოდ აღინიშნა პროფ. გივი კიღურაძის 80 წლის იუბილე. სხდომას უძღვებოდა ევროპის და ამერიკის ქვეყნების ახალი და უახლესი ისტორიის კათედრის გამგე პროფ. კ. ანთაძე. შესავალი სიტყვით გამოვიდა უნივერსიტეტის რექტორი აკად. როინ მეტრეველი. მან გაიხსენა მათი თანამშრომლობა ქართულ ენციკლოპედიაზე მუშაობის დროს. პროფ. გივი კიღურაძის შემოქმედებაზე ვრცლად ისაუბრა მისმა მოწაფემ პროფ. მერაბ კალანდაძემ. აღნიშნა, რომ

პროფ. გივი კილურაძე იყო ფართო პროფილი ისტორიკოსი, რომელიც ღრმა ჩახედულებას ამჟღავნებდა არა მარტო ახალ ისტორიაში, არამედ კარგად ერკვეოდა ახალი ისტორიის წყაროთმცოდნეობაში და ისტორიოგრაფიაში. ის არ იყო ვიწრო ემპირიკოსი, ფაქტოლოგი, ისტორიკოსი. მას იზიდავდა თეორიული საკითხები. ხაზი გაუსვა პროფ. გ. კილურაძის წვლილს საფრანგეთის დიდი რევოლუციის, XX საუკუნის დასაწყისში საერთაშორისო ურთიერთობების, ქართულ-ევროპული ურთიერთობების კვლევისა და ახალი ისტორიის წყაროთმცოდნეობის, ისტორიოგრაფიის და ისტორიის პოპულარიზაციის საქმეში. მოგონებებით გამოვიდნენ აკად. მარიკა ლორთქიფანიძე, აკად. ოთარ ჯაფარიძე, პროფ. კოტე ანთაძე, პროფ. ნოდარ ლომოური, პროფ. კარლო მეშველიანი, პროფ. გურამ ყორანაშვილი, პროფ. გურამ მანჯგალაძე. პრესაში დაიბეჭდა რამდენიმე საინტერესო სტატია [6. 23].

2012 წელს პროფ. გივი კილურაძის 90 წლის იუბილე ერთი და იგივე გამეორება რომ არ ყოფილიყო, სულ სხვა ფორმით ჩატარდა და ორი ნაწილისაგან შედგებოდა. პირველმა ნაწილმა მოგონების ფორმა მიიღო, ხოლო მეორე ნაწილი სამეცნიერო კონფერენციას წარმოადგენდა, სადაც მათთვის საინტერესო თემატიკას, ახალი ისტორიის ისტორიოგრაფიის საკითხებს სათანადო ყურადღება დაეთმო [3].

* * *

საიუბილეო საღამოები მისი გახსენების ერთი ფორმა იყო. მეორე ფორმაა მისი მეცნიერული მემკვიდრეობის შესწავლა, ·ვერ ვიტყვით თითქოს ამ მხრივ არაფერი არა იყოს გაკეთებული. რაღაც პოზიტიური ძვრები არსებობს და ამის გვერდის ავლა, წაყრუება, უმართებულო იქნებოდა, პირველ ყოვლისა, ყურადღებას იპყრობს მისი უმცროსი კოლეგის პროფ. კოტე ანთაძის ბროშურა „გივი კილურაძე. ცხოვრება და მოღვაწეო-

ბა“(1) ის მიზნად ისახავს უფროსი კოლეგის გახსენებას და მისი შემოქმედების შესწავლის პირველ მცდლეობას წარმოადგენს. ეს არის ისტორიოგრაფიული ხასიათის სამეცნიერო-პოპულარული ნაშრომი მის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე, რომელიც ქართულ საზოგადოებას ზოგად წარმოდგენას შეუქმნის გივი კიღურაძის წვლილზე ქართულ ისტორიოგრაფიაში. მისი მთავარი ამოცანა იყო პროფ, გივი კიღურაძის შემოქმედების გარეგანი ანალიზი, ნაშრომში დამაჯერებოლადაა ნაჩვენები ქართული ისტორიოგრაფიის წინაშე პროფ. გივი კიღურაძის დამსახურება, ფაქტობროვად პროფ. კ. ანთაძის საინტერესო ნაშრომმა საძირკველი ჩაუყარა პროფ. გივი კილირაძის ცხოვრების და მოღვაწოების შესწავლას. ამ ნაშრომის მნიშვნელობა, სწორედ, ამაში მდგომარეობდა (7, 128-130).

და ბოლოს დავძენთ, რომ 1998 წელს კიდევ ერთხელ გაიხსენეს ცნობილი მეცნიერი და ღირსეული პატივი მიაგეს მის ხსოვნას, რაც იმით გამოიხატა, რომ გამოვიდა ევროპის და ამერიკის ქვეყნები ახალი და უახლესი ისტორიის კათედრის სამეცნიერო კრებული, რომელიც პროფ. გივი კიღურაძის ხსოვნას მიეძღვნა [22. 4-8].

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ პროფ. გივი კიღურაძის ცხოვრების და მოღვაწეობის შესწავლის საქმეში დიდი წვლილი მიუძღვის მის უმცროს კოლეგას, პროფ. კოტე ანთაძეს და მის მოწაფეს – პროფ. მერაბ კალანდაძეს. მასწავლებლის მიერ დაწყებული საქმის გაგრძელება, სწორედ მან ითავა. ეს პროფ. კ. ანთაძის მიერ დაწყებული საქმის ლოგიკური გაგრძელება იყო. ორი მიმართულებით აწარმოვა მუშაობა, ის ზოგადიდან კონკრეტულისაკენ მიდის. ეს იყო სწორი მიდგომა.

თავდაპირველად მან ყურადღება გაამახვილა ქართულ ისტორიოგრაფიაში მის მიერ შეტენილ საერთო წვლილზე [8. 160-173; 22. 4-8; 24. 45-56]. ეს პირველი ნაბიჯი იყო. ამის შემდეგ მან კიდევ უფრო გააფართოვა კვლევის არეალი, რაც უმთავრესად იმით გამოიხატა, რომ დააკონკრეტა საკითხი და

ხაზი გაუსვა მის დამსახურებას დასავლეთ ევროპის ახალი ისტორიის საკვანძო საკითხების დამუშავების საქმეში.

პირველ ყოვლისა, მან აღნიშნა პროფ. გ. კიღურაძის დამსახურება საფრანგეთის დიდი რევოლუციის წყაროთმცოდნეობის და მეცნიერული კვლევის საქმეში. ამ დაინტერესების ლოგიკურ დაგვირგვინებად გვევლინება მისი სადოქტორი დისერტაცია „საფრანგეთის არმია დიდი რევოლუციის დროს (1789-1794 წწ.)“. ეს მისი საუკეთესო ნაშრომია, რომელმაც სავსებით სამართლიანად დაუმკვიდრა საფრანგეთის დიდი რევოლუციის ერთ-ერთი კომპეტენტური მკვლევარის სახელი როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ, ეს ამ დარგში ქართული ისტორიოგრაფიის დიდი აღიარება იყო [9.122-129; 10. 89-92; 11. 29-30; 12. 2-3]. პროფ. გ. კიღურაძის ფასდაუდებელი წვლილი მიუძღვის ახალი ისტორიის წყაროთმცოდნეობის ისტორიოგრაფიის და ისტორიის შესწავლის საქმეში [13. 423-445; 14. 232-265; 25. 93-109]. პირველ ყოვლისა, უნდა აღინიშნოს მისი დაინტერესება საერთაშორისო ურთიერთობების ისტორიით XX საუკუნის დასაწყისში. მისი ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა მაროკოს პირველი კრიზისი 1905-1906 წლები. ეს იყო მისი საკანდიდატო დისერტაცია, რომელიც 1960 წელს გამოაქვეყნა, როგორც მონოგრაფია. „ნარკვევები პირველი მსოფლიო ომის მომზადების ისტორიიდან (მაროკოს პირველი კრიზისი)“.

განსაკუთრებით ფასეულია პროფ. გ. კიღურაძის დაინტერესება თეორიული საკითხებით. ახალი ისტორიის წყაროთმცოდნეობა, ისტორიოგრაფია, ისტორიის ფილოსოფია, ისტორიის მეთოდოლოგია [14. 265-316; 15. 118-130; 16. 282-295; 17. 118-130; 26. 99-105].

პროფ. გ. კიღურაძის წვლილს ამერიკის შეერთებული შტატების ახალი ისტორიის წყაროთმცოდნეობის, ისტორიოგრაფიის და ისტორიის პოპულარიზაციის საქმეში ეძღვნება პროფ. მ. კალანდაძის საინტერესო ნარკვევი „გივი კიღუ-

რაძე და ამერიკის ახალი ისტორიის საკითხები“ [18. 298-309; 19. 239-253].

ძალზე მოკლედ, ლაკონურად, მაგრამ კომპაქტურადაა გაშუქებული პროფ. გივი კიღურაძის დამსახურება დასავლეთ ევროპის ახალი ისტორიის წყაროთმცოდნეობის, ისტორიოგრაფიის და ისტორიის შესწავლის საქმეში თ. ანთაძის და მ. კალანდაძის წიგნში „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი და უახლესი ისტორიის კათედრის ისტორია“ [2. 54-64].

გაკვრით ეხება ჩვენთვის საინტერესო საკითხს ლალი ფირცხალავა თავის მიმოხილვით ნარკვევში „ევროპის და ამერიკის ქვეყნების ახალი და უახლესი ისტორიის კათედრის ისტორია“. [22. 9-13]. ის ძალიან მოკლედ მოგვითხრობს კათედრის ისტორიას, ჩამოთვლის კათედრის გამგეებს და კათედრის წევრებს.

პროფ. კ. ანთაძის ბროშურის შემდეგ პროფ. მ. კალანდაძის შრომები წარმოადგენს წინგადადგმულ ნაბიჯს, როგორც თეორიული თვალსაზრისით, ისე კონკრეტიკაში. აქ აუცილებლად გასათვალისწინებელია ერთი გარემოება. ეს ორი ნაშრომი იწერებოდა ორ სხვადასხვა პერიოდში, რომელიც დიამეტრულად განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან. თუ პროფ. კ. ანთაძის ბროშურა დაიწერა საბჭოთა პერიოდის ბოლოს, პროფ. მ. კალანდაძის შრომები იწერებოდა პოსტსაბჭოთა პერიოდში, როდესაც მეტი აზროვნების თავისუფლება იყო, ამას აქვს მნიშვნელობა. ასეთი საინტერესო სურათი იკვეთება: 1. თუ პროფ. კ. ანთაძის ბროშურაში მარქსიზმისადმი დამოკიდებულება ლოალურად შეიძლება მივიჩნიოთ, პროფ. მ. კალანდაძე თავის შრომაში აშკარად ცდილობს, გათავისუფლდეს მარქსისტულ-ლენინურ იდეოლოგიის გავლენისაგან. ეს საკითხის თეორიული მხარე. 2. ახლა კონკრეტიკას მივხედოთ. არის კონკრეტული სიახლეები. როგორც პროფ. მ. კალანდაძე დასძენს, პროფ. კ. ანთაძეს როგორც ეტყობა, უნებლიეთ გამოეპარა მხედველობიდან

პროფ. გ. კილურაძის ნაშრომი „ცოფიანების მოძრაობის შე-ფასებებისათვის“, რომელიც მან წაიკითხა პროფ. ალ ნამორა-ძის გარდაცვალების 5 წლისთავისადმი მიძღვნილ სამეცნიერო სესიაზე და გამოქვეყნდა მისი თეზისები. პროფ. მ. კალანდაძემ გაასწორა ეს შეუსაბამობა და დააზუსტა პროფ. გ. კილურაძის შრომების სია; 3. მან ყურადღება მიაპყრო ერთ ნიუანსს. კ. ანთაძის ბროშურაში აღნიშნულია, რომ პროფ, გ. კილურაძის იყო ახალი ისტორიის ქრესტომათიის ერთ-ერთი თანაავტორი, მაგრამ თანაავტორობით გამოსული წიგნის ჩამონათვალში მას ვერ ვხედავთ. როგორც ჩანს, უნებლიეთ გამორჩა; 4. ბ-ნ კოტეს ბროშურაში, რომელიც 1983 წელს გამოვიდა, ბუნებრივია, ვერ მოხვდებოდა პროფ. გ. კილურაძის საინტერესო ნაშრომი „არმიის გამოღვიძება“. რომელიც დაიბეჭდა ავტორიტეტულ სამეცნიერო კრებულში „ფრანცუზსკი ეჟეგოდნიკში 1984“. ასე ამგვარად მისი შრომების ნუსხა კიდევ უფრო დაზუსტდა. ეს, ცხადია, წინგადადგმული ნაბიჯია [8. 129].

განსხვავებული კვლევის მეთოდი. პროფ. კ. ანთაძის ბრო-შურა პროფ. გ. კილურაძის შემოქმედების გარეგან გარჩევას ისახავდა მიზნად და ზოგად წარმოადგენას გვიქმნის ქართულ ისტორიოგრაფიაში დასავლეთ ევროპის ახალი ისტორიის წყა-როთმცოდნეობის, ისტორიოგრაფიის და ისტორიის შესწავლის საქმეში მის საერთო დამსახურებაზე. ეს, ცხადია, ძალიან კარ-გია. ეს პროფ. გ. კილურაძის შემოქმედების შესწავლის ერთი მნიშვნელოვანი საფეხური იყო. ამით დაიწყო ეს საქმე. ამას უნდა მოყოლოდა გაგრძელება. ეს მეორე საფეხური იქნებო-და. დაწყებული საქმის ლოგიკურ გაგრძელებად გვევლინება პროფ. მერაბ კალანდაძის შრომები. აქ უფრო მეტად აქცენ-ტი კეთდება. პროფ. გ. კილურაძის შემოქმედების შინაგან ანალიზზე. მან მისი შემოქმედების კვლევის არეალი კიდევ უფრო გააფართოვა და მისი შესწავლის მეთოდი მრავალ-ფეროვანი გახადა, ის იყენებდა მისი შემოქმედების როგორც გარეგანი, ისე შინაგანი გარჩევის მეთოდს. წინ წამოწია რო-

გორ კონკრეტული საკითხები. მან ქართული ისტორიოგრაფიის განვითარებაში მისი საერთო წვლილის გვერდით მიუთითა მის კონკრეტულ ღვაწლზე ამ დარგის განვითარების საქმეში. ეს იყო საკითხისადმი დედუქციური მიდგომა, საერთოდან გადადიხარ კონკრეტულზე.

მან სცადა ამ საკითხის განზოგადება. პროფ. გ. კიღურაძის შემოქმედების მაგალითზე შეეცადა, შეეფასებინა საბჭოთა ისტორიოგრაფია. ამგვარი მიდგომა საინტერესოა და აქტუალურად მიგვაჩნია.

საბჭოთა ისტორიოგრაფიის მიღწევების აპოლოგეტური შეფასება, რომელმაც ფართოდ მოიკიდა ფეხი საბჭოთა პერიოდში, დღეს უკვე მოძველებულია, ყავლი გაუვიდა, ისტორიოგრაფიის განვლილ ეტაპს წარმოადგენს. ეს იყო ერთი უკიდურესობა, ერთი უკიდურესობიდან მეორეში არ უნდა აღმოვჩნდეთ. საბჭოთა ისტორიოგრაფიის განქიქება, მიწასთან გასწორება, ადვილი გზითა სიარული იქნებოდა და, ალბათ მაინც დიდი სიფრთხილეს მოითხოვს. ორივე უკიდურესობა მიუღებელი უნდა იყოს. საკითხისადმი მიდგომა მეცნიერულია, ის ცდილობს, გამოძებნოს საშუალედო გზა, რომელიც საშუალებას მოგცემს, გამოკვეთოთ როგორც შუქი, ისე ჩრდილი და შევეცადოთ ავსხნათ, მისი გამომწვევი მიზეზები. მან აღნიშნა, რომ საბჭოთა ისტორიოგრაფიაში მსოფლიო ისტორიის შესწავლა მეცნიერულ ელფერს ატარებდა, მაგრამ ცალმხრივი ხასიათი მიიღო და ერთ მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის ჩარჩოებში აღმოჩნდა მოქცეული. მან ხაზი გაუსვა, რომ ემპირიის, ფაქტოლოგიის, დონეზე პროგრესი აშკარაა და ამის უგულებელყოფა მართებული არ იქნებოდა. ისტორიას არ ხელეწიფება ერთი ჭეშმარიტება. ამ გზას ჩიხში მივყავართ. საბჭოთა ისტორიოგრაფიის კრიზისის მიზეზი სწორედ აქ უნდა ვეძიოთ. მისი მკაცრი განსჯა მარქსიტული კლიშეების გამო ადვილი გზით სიარული იქნებოდა და სუპერკრიტიკულად მიაჩნდა. მას ძალიან მოსწონდა ირაკლი აბაშიძის სიტყვები: „ეს

იყო ჩვენი უბედურება და არა დანაშაული“. ეს იყო სწორი მიდგომა. პროფ. გ. კიღურაძემ აირჩია სერიოზული მეცნიერული პრობლემა და მარქსისტული პოზიციებიდან დაამუშავა. მაშინ ამ გზით ძალიან ბევრი მიდიოდა, ეს იმ რთული ვითარებიდან ერთ-ერთი რეალისტური გამოსავალი იყო. ამ კომპრომისის გამო მისი მკაცრად განსაჯა მიზანშეწონილად არ ესახება და მაშინ მშობლიური ენაზე, მსოფლიო ისტორიის საკვანძო საკითხებზე ის მწირი ინფორმაციაც არ გვექნებოდა, რომელიც გაგვაჩნდა. ასე, რომ ამ ნაბიჯს გააჩნდა თავისი პლუსები და მინუსები [20].

პროფ. გივი კიღურაძის შემოქმედების შესწავლის გარკვეული ტრადიცია ყალიბდება, რომელსაც შეიძლება ითქვას, რომ თავისებური ევოლუცია განიცადა და მას მკვეთრად გამოკვეთილი პოლიტიკური სარჩული უდევს საფუძვლად. მას მკვეთრად გამოკვეთილი ორი პერიოდი გააჩნია. ის დაიწყო საბჭოთა ეპოქაში და გაგრძელდა პოსტსაბჭოთა პერიოდში. ფაქტობრივად, ეს იყო ორი სრულიად განსხვავებული მიდგომა. ერთ შემთხვევაში საქმე გვაქვს მარქსიზმისადმი ლოიალურ დამოკიდებულებასთან, ხოლო მეორე შემთხვევაში – მარქსიზმისაგან სრული გათავისუფლების მცდელობასთან. მათ შორის არსებული განსხვავება ამის ლოგიკური შედეგია.

აღნიშნულ თემაზე საუბრის დროს გვერდს ვერ აუვლით მისი მეგობრის პროფ. აკაკი სურგულაძის ძალზე თბილ და საინტერესო მოგონებებს მეგობარზე და კოლეგაზე, პროფ. გივი კიღურაძეზე [21. 117-121]. აქვე დავძენთ იმას, რომ პროფ. გივი კიღურაძის სახე ქართულ სიტყვაკაზმულ მწერლობაში გვხვდება. აქ ვგულისხმობთ პოეტ თეიმურაზ ჩალაბაშვილის მეტად თბილ ლექსს, რომელიც პროფ. გ. კიღურაძის ხსოვნას ეძღვნება.

დასასრულს უნდა აღვნიშნოთ, რომ დიდი ყურადღება ეთმობა იმ საგნების და ეპოქების სწავლებას, რომელსაც ასწავლიდა და იკვლევდა პროფესორი გივი კიღურაძე: ახალი ისტო-

რია, საფრანგეთის დიდი რევოლუცია და ნაპოლეონის ეპოქა, ახალი ისტორიის ისტორიოგრაფია, ისტორიის მეთოდოლოგია, ისტორიის კვლევის მეთოდები, თანამედროვე დასავლური ისტორიული მეცნიერება. ყველაფერი ეს. ცხადია, ძალიან კარგია და ცნობილი ქართველი ისტორიკოსის პროფ. გივი კილურაძის შრომის ღირსეულ დაფასებად მიგვაჩნია.

* * *

ამრიგად, ჩვენ მიგვაჩნია, რომ პროფ. გივი კილურაძის ხსოვნას სათანადო პატივი მიაგეს, რაც, პირველ ყოვლისა, იმით გამოიხატება, რომ დაიწყო მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის სერიოზული შესწავლა. გადაიდგა პირველი ნაბიჯები ამ გზაზე. ამას აქვს მნიშვნელობა, საძირკველი ჩაეყარა მისი მემკვიდრეობის კვლევას. ეს ცხადია, ძალიან კარგია. ჩვენი აზრით, საჭიროა დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანა და მის ცხოვრებას და მოღვაწეობას ერთი საინტერესო მონოგრაფია უნდა მიეძღვნას. ქართულ ისტორიოგრაფიაში პროფ. გ. კილურაძის დამსახურებისადმი დამოკიდებულება წინამორბედების ღირსეული დაფასების ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუშია.

## ლიტერატურა – REFERENCES


1. ანთაძე კ., გივი კილურაძის ცხოვრება და მოღვაწეობა, თბ., 1983.
2. ანთაძე თ., კალანდაძე მ., თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი და უახლესი ისტორიის კათედრის ისტორია, თბ., 2014.
3. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, მსოფლიო ისტორიის ინსტიტუტი, ახალი და უახლესი ისტორიის დეპარტამენტის V ყოველწლიური კონფერენცია, მიძღვნილი პროფ. გ. კილურაძის დაბადების 90 წლისთავისადმი, დეკემბერი, 2012.
4. კალანდაძე მ., დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების და ახალი ისტორიის შესწავლა საქართველოში XX საუკუნის პირველ ნახევარში, თბ., 1999.
5. კალანდაძე მ., მეცნიერი და პედაგოგი, გაზ. „თბილისი“, 14 თებერვალი, 1992.
6. კალანდაძე მ., ევროპის ისტორიის მკვლევარი (პროფესორ გივი კილურაძის დაბადების 80 წლისთავის გამო), „თბილისის უნივერსიტეტი“, 27 აპრილი, 2002.
7. კალანდაძე მ., პროფესორი კოტე ანთაძე, თბ., 2014.
8. კალანდაძე მ., პროფესორი გივი კილურაძე, თბილისის უნივერსიტეტის შრომები, ტ. 359, თბ., 2005.
9. კალანდაძე მ., საფრანგეთის დიდი რევოლუციის აგრარული კანონმდებლობის შესწავლა საქართველოში, თბ., 2006.
10. კალანდაძე მ., საფრანგეთის დიდი რევოლუციის შესწავლა საქართველოში, საქართველოს კომუნისტი, 7, 1989.
11. კალანდაძე მ., საფრანგეთის დიდი რევოლუციის წყაროთმცოდნეობის შესწავლა ქართულ ისტორიოგრაფიაში, წყაროთმცოდნეობითი ისტორიოგრაფიული კვლევები

(რევაზ კიკნაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია, 2013 წლის 30-31 მაისი), თბ., 2013.
12. კალანდაძე მ., საფრანგეთის დიდი რევოლუციის ისტორიოგრაფიის შესწავლა საქართველოში, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, მსოფლიო ისტორიის ინსტიტუტი, ახალი და უახლესი ისტორიის დეპარტამენტის VI ყოველწლიური კონფერენცია, თბ., 2013.
13. კალანდაძე მ., დასავლეთ ევროპის ახალი ისტორიის საკითხები XX საუკუნის ქართულ ისტორიოგრაფიაში, „ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები", ნაკვეთი 7, თბ., 2010.
14. კალანდაძე მ., ისტორიოგრაფიული ეტიუდები, წიგნი I, თბ., 2011.
15. კალანდაძე მ., საქართველოში დასავლეთ ევროპის ახალი ისტორიის ისტორიოგრაფიის შესწავლა, ახალი და უახლესი ისტორიის საკითხი, ნაკვეთი 9, თბ., 2011.
16. კალანდაძე მ., ისტორიის თეორიული საკითხების დამუშავება XX საუკუნის ქართულ ისტორიოგრაფიაში, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები, VII, თბ., 2013.
17. კალანდაძე მ., დასავლეთ ევროპის და ამერიკის ახალი ისტორიის წყაროთმცოდნეობის საკითხები ქართულ ისტორიოგრაფიაში, მაცნე, ისტორიის სერია 2, 2014.
18. კალანდაძე მ., პროფესორი გივი კილურაძე და ამერიკის ახალი ისტორიის საკითხები, საისტორიო ძიებანი, XII, თბ., 2013-2015.
19. კალანდაძე მ., ამერიკის შეერთებული შტატების ახალი ისტორიის შესწავლა საქართველოში, თბ., 2015.

20. კალანდაძე მ., საბჭოთა პერიოდის ქართული ისტო-რიოგრაფიის შეფასებისათვის, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, მსოფლიო ისტორიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის კათედრა, VIII ყოველწლიური კონფერენცია, თბ., 2015.
21. სურგულაძე აკ., არდავიწყება მოყვასისა, თბ., 1986.
22. კრებული მიძღვნილი პროფ. გივი კიღურაძის ხსოვნისად-მი, რედაქტორი მ. კალანდაძე, თბ., 1998.
23. ყორანაშვილი გ., კლიოს უნიღბო მსახური, გაზ. „თბილი-სი", 24 ოქტომბერი, 2002.
24. Kalandadze M., Ein Georgischen Erforscher der Neuen Geschichte Westeuropa – "Georgica" 30. 2007.
25. Kalandadze M., Probleme der neuen Geschichte Westeuropas in der Georgischen Historigraphie des 20 Jahrhunderts – "Georgica", 32. 2009.
26. Kalandadze M., Die Releuchtund der Frage Pilosophie und Metogologie der Geschichte in der Georgischen Historiographie – "Georgica", 36. 2013.
27. Бочоришвили К., Научная сессия Тбилисском государственном университете – «Французский Ежегодник», 1982 г. Москва, 1984.

## AMAR ANTADZE

## DULY APPRECISTED


Summary

In georgian historiography, the study of the activities of Prof. Givi Kighuradze is one of the best examples of appreciation of his predaccessors' contribution.

The study of Prof. G. Kighuradze's life and work has a vivid political background. It is divided into two periods: the end of the Soviet epoch and the Post-Soviet era. The initial attitude to Marxism can be considered as loyal, however, in the post-Soviet era the situation changed radically. Georgian historiography tried to free itself from Marxism-Leninism.

The main initiator of Prof. G. Kighuradze's life and work was Prof. Kote Antadze, who wrote an interesting book "Givi Kighuradze's Life and Work", which was published by Tbilisi State University in 1983. The book provided external of Prof. G. Kighuradze's scientific heritage and introduced the Georgian society to Prof. G. Kighuradze's contribution in Georgian historiography. In fact, Prof. K. Antadze formed grounds for further scientifie study of Prof. G. Kighuradze's life and activities.

Further research in the given field was undertaken by his student Prof. M. Kalandadze, who attempted to implement internal analysis of Prof. G. Kighuradze's scientific heritage. This was an important step forward and consisted in concrete discussion of

Prof. G. Kighuradze's contribution to Georgian historiography.

Prof. G. Kighuradze largely contribuded to the of the source studies, historiography and history of Western Europe, especially the French Revolution. His most significant work was "The French Army During the Great Revolution". In Georgia, Prof. G. Kigu-radzewas one of the most prominent researchers of the French Revolution.

Prof. G. Kighuradze's works in the theory of history are especially valuable and embrace the source study of the new history, historiography, philosophy of history and methodology of history.

Prof. G. Kighuradze researched the history of international relations in the beginning of the 20$^{th}$ century, Georgian-European cultural and historical relations. He largely contributed to the promotion of the source stuty of new history, historiography and history in general.

The above-mentioned issues were also the focus of research of historians: A. Surguladze, G. Koranashvili and L. Pirtskhalava.

Thus, it is urgent task to fully accomplish the undertaken initiative and dedicate an interesting monograph to Prof. G. Kighu-radze's life and work.

## თამარ ანთიძე

# პროფესორი გივი კიღურაძე ახალგაზრდა მეცნიერთა გზამკვლევი

გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსი პროფესორი გივი კიღურაძე (1922-1978) ფართო საზოგადოებისათვის ცნობილი გახლდათ, როგორც ახალი ისტორიის და ისტორიოგრაფიის ჩინებული მკვლევარი და პოპულარიზატორი, მაგრამ მცირე ნაწილმა თუ იცოდა მისი მოღვაწეობის კიდევ ერთი საინტერესო ასპექტის შესახებ, რომელიც დაკავშირებულია ახალგაზრდა, ნიჭიერი მეცნიერების მოძიებაში, მათ წინსვლასა და ხელმძღვანელობაში. თუმცა ნაადრევი გარდაცვალების გამო (1978 წლის 5 აგვისტო) პროფესორმა გივი კიღურაძემ, ამ მიმართულებით მხოლოდ მცირედის გაკეთება მოასწრო.

პროფესორი გივი კიღურაძის ხელმძღვანელობით მეცნიერებაში პირველი ნაბიჯები გადადგეს, დღეს ქართულ ისტორიოგრაფიაში მოღვაწე ისტორიკოსების ერთმა ჯგუფმა: ისტორიკოსი კონსტანტინე (კოტე) ბოჭორიშვილი, პროფ. მერაბ კალანდაძე, პროფ. ნაირა მამუკელაშვილი, ისტორიკოსი გიორგი ბეჟუაშვილი, ისტორიკოსი პაატა ფირანიშვილი და პროფ. ვასილ კაჭარავა. მათ ისტორიულ მეცნიერებაში თავისი საქმიანობა პროფესორი გივი კიღურაძის ხელმძღვანელობით დაიწყეს, ხოლო მისი გარდაცვალების შემდეგ პროფესორი კოტე ანთაძის ხელმძღვანელობით გააგრძელეს და პირველ წარმატებებს მიაღწიეს. ეს პროფესორი გივი კიღურაძის როგორც მეცნიერ-ხელმძღვანელის წარმატება იყო.

შეიძლება ითქვას, რომ მეცნიერ-ხელმძღვანელობა არ იყო მისი მოწოდება, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას რომ იგი არ ზრუნავდა ნიჭიერი ახალგაზდების მოძიებაზე და მათ წინსვლაზე. ჩვენი აზრით, პროფესორი გივი კილურაძე არ შემცდარა არჩევანში.

იმ ექვსეულიდან, რომელმაც მეცნიერებაში თავისი საქმიანობა მისი ხელმძღვანელობით დაიწყო ორმა, პროფესორმა ნაირა მამუკელაშვილმა და მერაბ კალანდაძემ დაიცვეს სადოქტორო დისერტაცია, ხოლო დანარჩენმა ოთხმა: კონსტანტინე ბოჭოროშვილმა, გიორგი ბეჟუაშვილმა, პაატა ფირანიშვილმა და ვასილ კაჭარავამ, წარმატებით დაიცვეს საკანდიდატო დისერტაცია.

წინამდებარე ნაშრომში ისტორიოგრაფიულ ხასიათს ატარებს და მიზნად ისახავს ისაუბროს ისტორიულ მეცნიერებაში გივი კილურაძის გუნდის წევრების მიერ შეტანილ წვლილზე. ამ კუთხით საკითხის გაშუქება, საინტერესოა და ქართულ ისტორიოგრაფიაში მათი წვლილის განხილვის პირველი მცდელობაა. ეს მეცნიერის საქმიანობის საგულიხმო ასპექტია, რომელიც აქამდე, ფაქტიურად. არ გამხდარა საგანგებო მსჯელობის საგანი. ეს გამოკვლევა პროფესორი მერაბ კალანდაძის ნაშრომის „პროფესორი ალექსანდრე ნიორაძე და მისი გუნდი"-ს ლოგიკური გაგრძელებაა.

წელს ღვაწლმოსილ მეცნიერს 100 წელი შეუსრულდებოდა და გადავწყვიტეთ გაგვეშუქებინა მისი საქმიანობის ის მხარე, რომელიც ფართო საზოგადოებისათვის შედარებით ნაკლებად ცნობილი.

* * *

ამ თემაზე საუბარი ისტორიკოსის კონსტანტინე (კოტე) ბოჭორიშვილის მეცნიერული შემოქმედებით უნდა დავიწყოთ. მის შრომებს საკავშირო აღიარება ხვდა წილად, რაც იმ პერიოდის ქართველი ისტორიოგრაფიის წარმატება იყო.

აღსანიშნავია, რომ მას დისერტაციის თემა თავად პროფ. გივი კიღურაძემ შეურჩია „საფრანგეთის არმია, როგორც საზოგადოებრივ-პოლიტიკური ძალა კონსულების და იმპერიის პერიოდში (1799-1814 წლებში)". (1) ასეთი არჩევანი, შემთხვევითი არ არის და როგორც სპეციალისტები აღნიშნავდნენ, პროფესორი გივი კიღურაძის სადოქტორი დისერტაციასთან პირდაპირ კავშირშია (2.3).

კონსტანტინე ბოჭორიშვილის დასახელებული ნაშრომი საქართველოში დასავლეთ ევროპის ახალ ისტორიაში დაწერილი ერთ-ერთი საინტერესო დისერტაციაა. ამ ნაშრომმა მნიშვნელოვანწილად განსაზღვრა მისი წვლილი და ადგილი ქართულ ისტორიოგრაფიაში. ის იმ პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის მნიშვნელოვანი შენაძენია. განსაკუთრებით ფასეულია ის დადებითი შეფასება, რომელიც კონსტანტინე ბოჭორიშვილის ნაშრომს მისცეს ნაპოლეონის ეპოქის ცნობილმა მკვლევარმა პროფ. ჯუჩი ტუგან-ბარანოვსკიმ, პროფ. ვლადლენ სიროტკინმა და პროფ. ეფიმ ჩერნიაკმა. ეს იმ პერიოდის ისტორიოგრაფიის გადასახედიდან ქართული ისტორიოგრაფიის საკავშირო, ხოლო დღევანდელი გადასახედიდან კი, მისი საერთაშორისო აღიარებაა. სავსებით ვიზიარებთ სპეციალიტების მოსაზრებას, რომ ნაპოლეონის არმიის წარმატებების მთავარი მიზეზი მარტო მატერიალური წახალისება არ ყოფილა. ამ საკითხებზე საუბარს მეტს აღარ გავაგრძელებთ, რადგამ ის ვრცლად არის განხილული პროფ. მერაბ კალანდაძის ორ საინტერესო ნაშრომში, რომელიც კონსტანტინე ბოჭორიშვილის მეცნიერული მემკვიდრეობის გაშუქების პირველი მცდელობაა (4.5.). ამ საკითხთან დაკავშირებით უნდა გამოვთქვათ ერთი მოსაზრება. რომელიც კონსტანტინე ბოჭორიშვილის მიერ შეტანილ წვლილზე უფრო სრულყოფილ წარმოდგენას შეგვიქმნის. როგორც ეტყობა, პროფ. მერაბ კალანდაძეს უნებურად გამორჩა კონსტანტინე ბოჭორიშვილის რეცენზია პროფ. ჯუჩი ტუგან-ბარანოვსკის საინტერესო

წიგნზე „ბონაპარტიზმის სათავეებთან, ნაპოლეონის რეჟიმის წარმოშობა“ (6). სავარაუდოდ, მან ვერ მოასწრო მისთვის ეჩუქებინა ეს ნაშრომი, მაგრამ, ეს არ ამართლებს ამ ნაბიჯს (7), მისი საქმიანობის ყველაზე უფრო ნაყოფიერი ხანაა 80-იანი წლები. შემდგომში, ის რატომღაც, გარკვეული ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო, ჩამოშორდა ისტორიულ მეცნიერებას.

პროფესორი გივი კიღურაძის გუნდის კიდევ ერთი წევრია პროფ. მერაბ კალანდაძე. მისი მეცნიერული მემკვიდრეობა არის უაღრესად მრავალმხრივი და მრავალფეროვანი. წინამდებარე ნაშრომის ეს მონაკვეთის სწორედ მერაბ კალანდაძის მეცნიერული შემოქმედების გაშუქებას ეხება და აგრძელებს იმ ხაზს, რომელიც მოცემულია კათედრის ისტორიისადმი მიძღვნილ მონოგრაფიაში (8.96-99).

მან შეძლოა ისტორიულ მეცნიერებაში მოეძებნა თავისი ადგილი. რა თქმა უნდა, ეს არის „მსოფლიო ისტორიის შესწავლა საქართველოში“ და არა ერთი ნაშრომი მიუძღვნა აღნიშნულ პრობლემას. საკითხისადმი მსგავსი მიდგომა უცხო არ არის მსოფლიო ისტორიოგრაფიისათვის, აქედან გამომდინარე მერაბ კალანდაძე შეეცადა ეს კარგი ტრადიცია ქართულ ისტორიოგრაფიაში დაენერგა (9).

ქართული ისტორიოგრაფიის წინაშე მერაბ კალანდაძის დამსახურებად მიგვაჩნია:

1. მისი ყურადღება მიიპყრო ისეთმა საინტერესო მეცნიერულმა პრობლემამ, როგორიცაა „მსოფლიოს ისტორიის შესწავლა საქართველოში“. ეს იყო სიახლე, რომელსაც ქართული კონტექსტი გააჩნია და აღნიშნული პრობლემის გაშუქების პირველ მცდელობას წარმოადგენდა. მან მეცნიერული კვლევა რამდენიმე მიმართულებით აწარმოა: ა) ანტიკური ეპოქის ისტორიის, წყაროთმცოდნეობის და ისტორიოგრაფიის შესწავლა საქართველოში ფაქტობრივად, მერაბ კალანდაძემ, დაიწყო ქართული ანტიკოლოგიის ისტორიის შესწავლა. ბ) შუა საუკუ-

ნეების ისტორიის წყაროთმცოდნეობის, ისტორიოგრაფიის და ისტორიის შესწავლა საქართველოში. შეიძლება ითქვას, რომ საქმე გვაქვს ქართულ მედიევისტიკის ისტორიასთან. გ) ახალი ისტორიის წყაროთმცოდნეობის, ისტორიოგრაფიის და ისტორიის შესწავლა საქართველოში, პრაქტიკულად, მან დაიწყო ამ დარგის ისტორიის წერა. დ) კიდევ ერთ სიახლეს წარმოადგენს საქართველოში ისტორიის თეორიული საკითხების, ისტორიოგრაფიის, ისტორიის ფილოსოფიის და ისტორიის მეთოდოლოგიის საკითხების გაშუქება.

პროფ. მერაბ კალანდაძემ მოგვცა აღნიშნული საკითხის სრულიად განსხვავებული ხედვა, რომელიც მიზნად ისახავს ამ სფეროში საბჭოთა წარმოდგენის გადახედვას. მის მთავარ თეზად, ამ დარგში 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წვლილის რეაბილიტაცია გვევლინება, იგი საბჭოთა პერიოდში, სრულიად უსამართლოდ იქნა მივიწყებული. ასეთი იყო პოლიტიკური ნება. მან ხაზი გაუსვა, რომ „საბჭოთა მიდგომა იყო უაღრესად ცალმხრივი, მეტად ტენდენციური, ყოველგვარ მეცნიერულ საფუძველს მოკლებულია, ძირშივე მცდარია, ძალზე ხისტია, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ანტიეროვნული და არაპატრიოტულია“. მერაბ კალანდაძემ სცადა გაესწორებინა საქართველოში მსოფლიოს ისტორიის შესწავლის საერთო სურათი და პერიოდიზაცია, რომელიც, უმთავრესად, ტოტალიტარულ-ბოლშევიკური რეჟიმის ძალისხმევით, გამრუდებული იქნა. მერაბ კალანდაძემ ეს განსხვავებული მიდგომა განავრცო მსოფლიოს ისტორიის ცალკეულ კომპონენტებზე, ძველი მსოფლიოს, შუა საუკუნეების და ახალ ისტორიაზე, აგრეთვე მსოფლიო ისტორიის საკვანძო საკითხებზე და გამოჩენილ პიროვნებებზე. მან ცხადყო, რომ „ამ დარგში თავისი საქმიანობა საბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიას ცარიელ ნიადაგზე, ნულიდან კი არ დაუწყია, როგორც ამას დიდი ხნის განმავლობაში გვიმტ-

კიცებდნენ, არამედ კარგად მომზადებული ნიადაგი დახვდა, რის მიჩქმალვას მიჩუმათებას, ამაოდ ცდილობდნენ“.

შეიძლება ითქვას, რომ მერაბ კალანდაძე ახალ ამპლუაში გველინება, მან პირველი ნაბიჯი გადადგა და დაიწყო ქართული ანტიკოლოგიის ისტორიის შესწავლა. მერაბ კალანდაძემ შეიმუშავა ქართული ანტიკოლოგიის განვითარებისადმი სრულიად სხვაგვარი მიდგომა, რომელიც პრინციპულად განსხვავდებოდა საბჭოთა წარმოდგენისაგან. წინამორბედის წვლილის უარყოფის ხარჯზე ხდებოდა საბჭოთა რეალობის განდიდება (10.11). ქართული ანტიკოლოგიის აკვანი დაირწა ივანე ჯავახიშვილის მიერ დაარსებულ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში – გადაიდგა პირველი ნაბიჯები, დაიწყო მუშაობა, ძველი მსოფლიოს ისტორიის პირველ ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოებზე. მეტის გადაკეთება ვერ მოასწრეს.

ყურადღებას იპყრობს მისი საინტერესო შრომები პროფ. გრ. ნათაძეზე, პროფ. გივი გამრეკელზე, პროფ. დიმიტრი უზნაძეზე. მეტად თბილი მოგონება პროფ. ნოდარ ლომოურზე. მცირე მოცულობის სამეცნიერო-პოპულარული ნაშრომი „შილერი და პერიკლე“. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ის აგრძელებს ამ მიმართულებით მუშაობას.

პროფ. მერაბ კალანდაძის საქმიანობის მეორე მიმართულებას წარმოადგენს ქართული მედიევისტიკის ისტორია. ეს არის სრულიად ხელუხლებელი თემა, რომლის დამუშავებასაც იგი შეეცადა. დადო ამ დარგის ისტორიის სრულიად სხვა სურათი, რომელიც პრინციპულად განსხვავდებოდა საბჭოთა წარმოდგენებისაგან. მერაბ კალანდაძემ ცხადყო, რომ ქართულ მედიევისტიკას იმაზე ცოტათი უფრო ხანგრძლივი წარსული გააჩნია, ვიდრე ეს საბჭოთა წლებში ეგონათ. მისი ათვლა 1921 წელს საქართველოს გასაბჭოებით კი არ უნდა დავიწყოთ, როგორც ამას ადგილი ჰქონდა საბჭოთა რეალობაში,

არამედ ცოტა უფრო ადრიდან. ეს თვალსაზრისი შემთხვევითი არ არის და 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წარმატებისადმი ნეგატიური დამოკიდებულების გამოძახილია (12). ფაქტობრივად, მან მოგვცა ამ დარგის განვითარების სულ სხვა მიდგომა, გადასინჯა მისი საერთო სურათის და პერიოდიზაცია. მერაბ კალანდაძემ საგანგებოდ შეისწავლა არა მარტო ცალკეული ისტორიკოსების წვლილი ქართულ მედიევისტიკაში, არამედ დაინტერესდა ქართული მედიევისტიკის წარსულით, მისი ისტორიით და საქართველოში შუა საუკუნეების ისტორიის ისტორიოგრაფიის შესწავლით და პოპულარიზაციით.

კიდევ ერთ საყურადღებო თემას წარმოადგენს ახალი ისტორიის წყაროთმცოდნეობის, ისტორიოგრაფიის და ისტორიის შესწავლა საქართველოში. ამ მიმართულებით გადაგმულ პირველ ნაბიჯს წარმოადგენს მისი სოლიდარული მონოგრაფია – „დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების და ახალი ისტორიის პრობლემების შესწავლა საქართველოში XX საუკუნის პირველ ნახევარში“. ეს გახლავთ მისი მთავარი ნაშრომი, რომელიც წარმოადგენს პირველ სერიოზულ ნაბიჯს ცნობილი ისტორიკოსების პროფ. ნიკოლოზ დუბროვსკის (1874-1943), პროფ. გრიგოლ ნათაძის (1878-1951) და პროფ. ალექსანდრე ნამორაძის (1890-1958) სამეცნიერო შემოქმედების გაშუქების გზაზე. როგორც თავად აღნიშნავს, ის შეეცადა თავიდან აეცილებინა ორი უკიდურესობა, მათი სამეცნიერი შემოქმედების არც გადაჭარბებით დადებითი შეფასება, არც შეუფასებლობა და შესაბამისად საშუალედო გზის მოძიება. ამ წამოწყებას გააჩნია გაგრძელება, ის მოიაზრებდა შემდეგ ეტაპს მათი მოსწავლეების, რომლებიც მისი მასწავლებელი იყვნენ, შემოქმედების გაშუქებას, რომელსაც წმინდა მეცნიერულ მნიშვნელობასთან ერთად, თან ახლდა მადლიერების გრძობის გამოხატვა. ამ თვალსაზრისით პირველ ყოვლისა, ყურადღებას იპყრობს მისი გამოკვლევა, პროფესორ კოტე ანთაძეზე (14).

საინტერესოა მერაბ კალანდაძის შრომები გივი კიღურაძეზე, ვარლამ დონაძეზე, ილია ტაბაღუაზე, ნოდარ კიკვაძეზე, გერმან სიმონიძეზე, მიხეილ მამფორიაზე, ვლადიმერ (ვოვა) ივანოვზე, რევაზ ლასკარზე, ირინე ნოდიაზე, ნაადრევად გარდაცვლილ რამაზ ცუხიშვილზე მარიკა ლორთქიფანიძეზე და ნოდარ (ნუკრი) შოშიაშვილზე. ფაქტობრივად, ეს შრომები წარმოადგენს მათი შემოქმედების განხილვის პირველ მცდელობას.

კიდევ ერთი საინტერესო სიახლეს წარმოადგენს მისი გამოკვლევები საქართველოში ახალი ისტორიის ცალკეული საკვანძო საკითხების და გამოჩენილი პიროვნებების შესახებ. საფრანგეთის დიდი რევოლუციის და ნაპოლეონის მოღვაწეობის დამუშავება საქართველოში. მან საძირკველი ჩაუყარა ქართული ნაპოლეონიანას შესწავლას, ინგლისის რევოლუციის შესწავლას საქართველოში, ინგლისში სამრეწველო გადატრიალების შესწავლა საქართველოში. ამერიკის აღმოჩენის შესწავლა საქართველოში, 1861-1865 წლების აშშ-ში სამოქალაქო ომის გაშუქება საქართველოში. პარიზის კომუნის შესწავლა საქართველოში. ნიდერლანდების რევოლუციის შესწავლა საქართველოში. ორივე ამ მიმართულებით ის განაგრძობს თავის საქმიანობას.

მერაბ კალანდაძის შემდგომი სამეცნიერო კვლევის საინტერესო მიმართულებებია: საქართველოში ისტორიის თეორიული საკითხები, ისტორიოგრაფია, ისტორიის ფილოსოფია, აგრეთვე ისტორიის მეთოდოლოგიის, დამუშავება ქართულ ისტორიოგრაფიაში. იგი ფიქრობს, რომ საქართველოში ამ თემატიკის შესწავლა სულაც არ ასოცირდება საბჭოთა რეალობასთან, როგორც თავად აღნიშნავს, მას თავისი, ისტორია გააჩნია. პრობლემა თავის პირველ ნაბიჯებს უკვე XIX საუკუნეში დგამს. მისი ღრმა რწმენით, ეს ინფორმაცია არსებული თემატიკით დაინტერესების შესავალს წარმოადგენს, რომელ-

საც შემდეგში სულ სხვა გაგრძელება ჰქონდა. (15. 266-270) ამ თვალსაზრისით ყურადღებას იპყრობს ალექსანდრე ორბელიანის, ნიკო ნიკოლაძის, ვარლამ ჩერქეზიშვილის და ნოე რამიშვილის ნაწერები.

ამ პრობლემატიკასთან კავშირშია კიდევ ერთი საკითხი, რომელსაც გვერდს ვერ აუვლით. მისი დაინტერესება ამერიკის შეერთებული შტატების ახალი ისტორიის თემატიკით. ის წარმოადგენს ამ პრობლემის მეცნიერული შესწავლის და პოპულარიზაციის შერწყმას და შეხამებას. პირველს, ცხადია, ქართული კონტექსტი გააჩნია და მიზნად ისახავს საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ახალი ისტორიის საკითხების მეცნიერულ შესწავლას, მეორე ითვალისწინებს ამ თემატიკას პოპულარიზაციას, რომელსაც წმინდა შემეცნებითი ხასიათი გააჩნია და კომპილაციას წარმოადგენს.

ბოლოს უნდა აღვნიშნოთ, რომ პროფ. მერაბ კალანდაძე ინტერესდება საქართველოში სკანდინავიის ქვეყნების ისტორიის შესწავლით და რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია ამ თემაზე მონოგრაფიის დაწერა აქვს განზრახული.

მოკლე რეზიუმე: განსხვავებული მიდგომის მთავარ დედააზრად, რომელიც ლაიტმოტივად გასდევს პროფ. მერაბ კალანდაძის სამეცნიერო შემოქმედებას, გვევლინება დებულება: მან სიმძიმის ცენტრი საქართველოს გასაბჭოებიდან ამ დარგში 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წვლილზე გადაიტანა. მსოფლიო ისტორიის შესწავლის საქმეში მას ეტაპობრივ მოვლენად ესახება, არა საბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფია, არამედ 1918 წელს ივანე ჯავახიშვილის მიერ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გახსნა და 1918-1921 წლების საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნა. საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ თავისი მცირე წვლილი შეიტანა და შეძლებისდაგვარად შეეცადა წინ წაეწია საქართველოში მსოფლიო ისტორიის შესწავლა და პოპულარიზაცია.

რომელთაც, უმთავრესად, ასახვა ჰპოვეს მსოფლიო ისტორიის პირველ ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოებში. დროის იმ მცირე მონაკვეთში მეტის გაკეთება ვეღარ მოასწრეს. ეს არ იყო პატარა საქმე და იმჟამინდელი ქართული რეალობის ფონზე წინგადადგმული ნაბიჯი გახლდათ. ის ხაზს უსვამს, რომ გასაბჭოებამდე ქართული ისტორიოგრაფია სწორი გზით მიდიოდა და თუ არა პოლიტიკური ქარტეხილები, არსებობდა იმისი დიდი ალბათობა, რომ დაწყებულ საქმეს ბოლომდე მიიყვანდნენ. მერაბ კალანდაძეს მიაჩნია, რომ ამ სიახლეების მნიშვნელობის გადაჭარბება, ცხადია, არ ღირს, საქმე გვაქვს მის წანამძღვრებთან, კონტურებთან, სიმპტომებთნ, პირველ ნაბიჯებთან, იკვეთება საკითხისადმი მეცნიერული მიდგომის წინაპირობა. მაგრამ მოვლენები სულ სხვაგვარად წარიმართა, რომელსაც მერაბ კალანდაძე მიიჩნევს სწორი გზიდან გადახვევად. მან ხაზი გაუსვა, რომ საქართველოში მსოფლიო ისტორიის თემატიკით დაინტერესებამ საინტერესო გზა განვლო და სრულაც არ ატარებდა ისეთ სწორხაზოვან, ერთგვაროვან ხასიათს. როგორც ეს საბჭოთა წლებში, ეგონათ. მან ამ დარგის განვითარების სულ სხვა სურათი დადო, რომელიც განსხვავდებოდა საბჭოთა წარმოდგენისაგან. სიახლე სწორედ ამაში მდგომარეობდა. მას სხვა მეტი არაფერი, რომ არ გაეკეთებინა, ალბათ, ესეც იკმარებდა.

2. კიდევ ერთი კარგი წამოწყება, რომელიც მის სახელთანაა დაკავშირებული, მსოფლიო ისტორიის მარქსისტული პერიოდიზაციის გადასინჯვას ეხება.

იკვეთება რამდენიმე საინტერესო მიმართულება: თავდაპირველად მან პროფ. კოტე ანთაძესთან და პროფ. კარლო მეშველიანთან ერთად გადასინჯა მსოფლიო ისტორიის მარქსისტული პერიოდიზაცია და შეეცადა ის საერთაშორისო სტანდარტებთან შესატყვისობაში მოეყვანა (17). მან გააგრძელა დაწყებული საქმე. აქ, ცხადია, ვგულისხმობ იმას, რომ ის შეეცადა გადასინჯა ცალკეული ეპოქების, პირველ რიგში კი,

შუა საუკუნეების და ახალი ისტორიის მარქსისტული პერიოდ-იზაცია. მერაბ კალანდაძემ სცადა ეს მიდგომა გაევრცელე-ბინა მსოფლიოს ცალკეული დიდი ქვეყნების, საფრანგეთის, გერმანაიის, ინგლისის, ამერიკის შეერთებული შტატების, იტალიის, ესპანეთის, რუსეთის ისტორიის პერიოდიზაციაზე. კატეგორიულად უარყო ამ ქვეყნების ისტორიის მარქსიტული პერიოდიზაცია და სცადა ეს საკითხი ნორმალურ მეცნიერულ კალაპოტში დაებრუნებინა და ბოლოს დავძენთ, რომ მერ-აბ კალანდაძე კატეგორიულად უგულებელყოფს ისტორიული აზროვნების, საერთაშორისო ურთიერთობების და დიპლო-მატიის ისტორიის მარქსიტულ პერიოდიზაციას და ცდილობს დაუბრუნდეს საწყის ღირებულებებს. ის მსოფლიოს ისტორი-ის პერიოდიზაციასთან შესატყვისობაში მოიყვანოს. კარგია ამ კონტესტში საქართველოს ისტორიის პერიოდიზციის ჩართვა. (18. 35-44). მან ქართულ ისტორიოგრაფიაში პირველად და პოსტსაბჭოთა სივრცეში შეიძლება ერთ-ერთმა პირველმა, კატეგორიულად უგულებელყო მსოფლიოს ისტორიის მარქ-სისტული პერიოდიზაცია.

3. მესამე პრობლემა რომლის დამუშავებას ხელი მოკიდა მეცნიერმა გახლავთ ისტორიულ-ლიტერატურული თემატიკა, რომელიც ისტორიოგრაფიული ხასიათისაა. ამ დაინტერესების პიკს, წარმოადგენს მისი საკანდიდატო დისერტაცია. პროფ. გივი კიღურაძემ და პროფ. კოტე ანთაძემ თავის მოსწავლეს დისერტაციის თემად შეურჩიეს საინტერესო და აქტუალური საკითხი „ფრიდრიხ შილერი როგორც ისტორიკოსი“. მუშაობის პროცესში ეს არჩევანი კიდევ უფრო დაკონკრეტდა „ფრიდრიხ შილერი და ახალი ისტორიის პრობლემები“ (19). იმ პერიოდის გადასახედიდან ასეთი ნაბიჯი სავსებით გამართლებული იყო. საბჭოთა ისტორიოგრაფიაში ეს პრობლემა ნაკლებად არის შესწავლილი. სასურველი იყო მისი გერმანიაში მივლინება, როგორც ეს პროფ. გივი კიღურაძეს ჰქონდა ჩაფიქრებული, მა-გრამ ეს ასე არ მოხდა. ასეთი ნაბიჯი, უწინარესად, ნაშრომის

თვისებრივ, ხარისხობრივ, გარდაქმნასთან ასოცირდება.

მერაბ კალანდაძემ საბჭოთა ისტორიოგრაფიაში პირველად ხაზგასმით აღნიშნა, რომ შილერი მედიავისტი კი არ იყო, როგორც ეს მიღებული გახლდა საბჭოთა ისტორიოგრაფიაში, არამედ, პირველ ყოვლისა, ახალი ისტორიის მკვლევარია, როგორც ეს იყო გერმანულ ისტორიოგრაფიაში. ეს შრომები საბჭოთა რეალობაში შილერის როგორც ისტორიკოსის გაშუქების ნორმალურ მეცნიერულ კალაპოტში დაბრუნების გზაზე გადადგმული პირველი მოკრძალებული ნაბიჯია.

სპეციალიტების აზრით, აჯობებდა თუ ნაშრომის სტრუქტურა და არქიტექტონიკა დაიხვეწებოდა. მეორე თავში განხილული უნდა ყოფილიყო შილერის დამოკიდებულება საფრანგეთის დიდი რევოლუციის და ნაპოლეონისადმი. მესამე თავში კი დანარჩენი სხვა საკითხები. ამ პრობლემას მან კიდევ რამდენიმე საინტერესო ნაშრომი მიუძღვნა. ის არ შემოიფარგლა მარტო შილერის შემოქმედების გაშუქებით და ამ კონტექსტში სხვა მწერლები ჩართო. ესაა შრომები, მოლიერზე, ბაირონზე, შექსპირზე და დიუმაზე.

მისასალმებლად მიგვაჩია, ამ პრობლემატიკაში ქართული კონსტექსტის ჩართვა. ეს საშუალებას იძლევა ეს თემატიკა უფრო სიღრმე-სიფართოვეში გავაშუქოთ. ეს, ვფიქრობთ, საინტერესოა, ამ კუთხით აღსანიშნავია მაგრამ მერაბ კალანდაძის  საინტერესო გამოკვლევა „ნაპოლეონი ქართულ სიტყვაკაზმულ ლიტერატურაში“ (20). ეს ქართული ნაპოლეონიანას შესწავლის გზაზე პირველი წინ გადადგმული ნაბიჯი იყო. მის ერთ-ერთ შემადგენელ კომპონენტს წარმოადგენს. სავსებით მართლზომიერი უნდა იყოს, რომ ამ გამოკვლევამ სპეციალისტების მოწონება დაიმსახურა. (21) მივიღეთ საინტერესო სურათი. ჩვენი აზრით, ეს ამ პრობლემატიკის დამუშავების მეცნიერული კვლევის და პოპულარიზაციის შეხამების შერწყმის მცდელობად შეიძლება მივიჩნიოთ. მისი მნიშვნელობა სწორედ, ამაში უნდა მდგომარეობდეს.

4. კიდევ ერთი სერიოზული საკითხი, რომელიც პროფ. მერაბ კალანდაძეს აინტერესებდა და იტაცებდა ისტორიოგრაფიის პრობლემატიკასთან ასოცირდება, როგორც თავადვე უყვარს თქმა, ეს დაინტერესება პროფ. გივი კილურაძის გავლენის ლოგიკური შედეგია (15. 3). ყურადღებას იპყრობს ორი გარემოება. პირველი: უნდა აღინიშნოს, რომ მან თავისი მოკრძალებული წვლილი შეიტანა საქართველოში დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების და ახალი ისტორიის, ისტორიოგრაფიის პოპულარიზაციის საქმეში. ეს შრომები სამეცნიერო-პოპულარული ხასიათისაა, შემეცნებითი მნიშვნელობა გააჩნია და კომპილაციას წარმოადგენს. ამ თვალსაზრისით, საინტერესოა მისი შრომები მარკ ბლოკზე, ჟაკ ლე გოფზე, ფერნან ბროდელზე, პოერ შონიუზე, ანრი პირენზე, ფრიდრიხ მაინეკეზე, ფილიპ დე კომინიზე, ფრანჩესკო გვიჩარდინიზე, ნიკოლო მაკიაველზე, პავლე არდაშევლზე, ისტორიოგრაფიული მიმოხილვები საფრანგეთის დიდ რევოლუციაზე. ნაპოლეონზე, რობესპიერზე, სენ-ჟიუსტზე, კრომველზე, რიშელიეზე, ლუი XIV, შვედეთის მკეფე გუსტავ ადოლფზე.

მეორე, კვლავ ქართული კონტექსტის ჩართვის მცდელობასთანაა დაკავშირებული. ამ თვალსაზრისით, საინტერესოდ მიგვაჩნია მისი „ისტორიოგრაფიული ეტიუდების“ პირველი ნაწილის მესამე კარი, რომელიც სულ მთლიანად ამ თემატიკის განხილვას აქვს დათმობილი (15. 232-359), კვლავ საქმე გვაქვს აღნიშნული პრობლემატიკის მეცნიერული კვლევის და პოპულარიზაციის შეხამების, შერწყმის მორიგ მცდლეობასთან. ამ სფეროში მის მიერ შეტანილ წვლილზე სრულყოფილი ამომწურავი წარმოდგენა, რომ შევიქმნათ აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ერთი გარემოება. აღსანიშნავია, რომ ორივე ამ პრობლემის დამუშავებას ორი პერიოდი გააჩნია საბჭოთა და პოსტსაბჭოთა. ცხადია, პირველი ასოცირდება საკითხის მარქსისტულ გაშუქებასთან, მეორე კი პირიქით. ის

ცდილობს გათავისუფლდეს ვიწრო დოგმატურად გაგებული მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიისაგან.

5. აუცილებლად უნდა შევეხოთ პროფ. მერაბ კალანდაძის შრომებს საქართველოს ისტორიაზე. უწინარესად უნდა აღინიშნოს საქართველოს ისტორიის პერიოდიზაცია. მან კატეგორიულად უარყო საქართველოს ისტორიის მარქსისტული პერიოდიზაცია, რომელსაც საფუძვლად ედო ფორმაციული პრინციპი და მხარი დაუჭირა საქართელოს ისტორიის პერიოდიზაციის ევროპულ მოდელს, რომლის სათავეებთან დგას, ყველასაგან, სრულიად უსამართლოდ მივიწყებული ისტორიკოსი, სულხან ბარათაშვილი (ბარათოვი). ქართული დიპლომატიის მარქსისტული პერიოდიზაციის გადასინჯვა ამ თემის ლოგიკური გაგრძელებაა.

მერაბ კალანდაძემ ისტორიოგრაფიაში პირველად გააშუქა ქართველოგიაში პროფ. გრიგოლ ნათაძის და პროფ. კოტე ანთაძის მიერ შეტანილი წვლილი. ამ დარგში მის საუკეთესო ნაშრომად ჩვენ პროფ. უშანგი სიდამონიძეზე დაწერილი მონოგრაფია მიგვაჩნია (22).

აღსანიშნავია, მისი დაინტერესება ივანე ჯავახიშვილის თეორიულ-მეთოდოლოგიური ძიებებით, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში ჩრდილში რჩებოდა და ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა თითქოს ივანე ჯავახიშვილს ისტორიის თეორიული საკითხები არ აინტერესებდა. დღეს ეს შეხედულება გადასინჯული იქნა. მან ამ საკითხს რამდენიმე ნაშრომი მიუძღვნა. (23). კრიტიკულად ცადა გაეაზრებინა პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში შექმნილი რეალური ვითარება. ის ცდილობს შუალედური გზის მოძიებას, რომელიც, როგორც თავად აღნიშნავს, არ წარმოადგენს უკანასკნელ ჭეშმარიტებას და მეცნიერული განსჯის საგანი უნდა გახდეს. პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის მთავარ პრობლემად პროფ. მერაბ კალანდაძეს სიღრმე-სიფარ-

თოვე განვითარება წარმოუდგენია (24.22-34.34-82). მან თბილი მოგონებები მიუძღვნა საქართველოს ისტორიის ცნობილ მკვლევარს აკად. მარიამ ლორთქიფანიძეს და პროფ. ნოდარ (ნუკრი) შოშიაშვილს.

6. დასასრულს უნდა აღვნიშნოთ, რომ პროფ. მერაბ კალანდაძემ თავისი წვლილი შეიტანა საქართველოში მსოფლიო ისტორიის, პირველ რიგში კი, რა თქმა უნდა, შუა საუკუნეების და ახალი ისტორიის აქტუალური პრობლემების პოპულარიზაციის საქმეში. მან რამდენიმე ათეული ნაშრომი გამოაქვეყნა, რომელიც სამეცნიერო-პოპულარულ ხასიათს ატარებს, წმინდა შემეცნებებითი დატვირთვა გააჩნია და კომპილაციას წარმოადგენს. ეს არანაირ ჩრდილს არ აყენებს ამ შრომების მნიშვნელობას. მას წმინდა პრაქტიკული დანიშნულება გააჩნია, რომელიც სტუდენტებს ხელს შეუწყობს ამ თემების შესწავლის პროცესში.

პროფ. კოტე ანთაძემ საძირკველი ჩაუყარა ქართულ ისტორიოგრაფიაში მძლავრ ანტისტალინისტურ მიმართულებას, რომლის თვალსაჩინო წარმომადგენლებად მოიაზრებიან პროფ. მერაბ კალანდაძე და პროფ. ნაირა მამუკელაშვილი.

პროფ. ნაირა მამუკელაშვილი პროფ. გივი კილურაძის გუნდის კიდევ ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია. მან თავისი წვლილი შეიტანა საქართველოში ახალი ისტორიის მეცნიერული შესწავლის და პოპულარიზაციის საქმეში. მას განსაკუთრებით აინტერესებდა საფრანგეთის ახალი ისტორიის აქტუალური საკითხები, კონკრეტულად კი საფრანგეთის დიდი რევოლუციის თემატიკა. პროფ. გივი კილურაძემ თავის მოწაფეს საინტერესო თემა შეურჩია საფრანგეთის დიდი რევოლუციის ისტორიიდან. მუშაობის პროცესში, როგორც პროფ. მერაბ კალანდაძე იხსენებს, პროფ. ანატოლი ადოსთან კონსულტაციის შემდეგ, მოხდა სადისერტაციო ნაშრომის სათაურის დაზუსტება. საბოლოოდ შეჯერდნენ საკითხზე „ბრძოლა საფრანგეთის პოლიტიკური წყობილების დემოკრატიზაცი-

ისათვის 1793 წლის პირველ ნახევარში“ (25). სადისერტაციო ნაშრომი საკმაოდ რთულია, რადგან ორი მეცნიერების ისტორიის და სამართალმცოდნეობის მიჯნაზეა. ამ სირთულეს მან შეიძლება ითქვას, რომ ურიგოდ როდი გაართვა თავი.

ეს იყო საქართველოში საფრანგეთის დიდ რევოლუციაზე დაწერილი ერთ-ერთი საინტერესო საკანდიდატო დისერტაცია, რომელიც სრულად შეესატყვისებოდა იმ პერიოდის ისტორიოგრაფიის მოთხოვნებს. მარქსისტული სტერეოტიპების და შტამპების გამო ამ ნაშრომის მკაცრად განსჯა მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია, მას მიუხედავად იმ ეპოქისათვის დამახასითებელი კონიუნქტურული გადახრებია, დღესაც არ დაუკარგავს აქტუალობა. ასეთად, პირველ ყოვლისა მიგვაჩნია ნაშრომის ისტორიოგრაფიული ნაწილი. თუ ამ მსჯელობას მარქსისტულ გარს ჩამოვაცლით, შეიძლება თამამად ითქვას, რომ მასში ჩადებული მეცნიერული ინფორმაცია ძალზე ღირებული და გამოყენებადია. ის ემყარება რუსულ, საბჭოთა და ფრანგულ ისტორიოგრაფიის ცოდნას. ალბათ, სასურველი იქნებოდა ოროიდე სიტყვა თქმულიყო საკითხის წყაროთმცოდნეობაზე.

ნაშრომის პირველი თავი ეხება საინტერესო და აქტუალურ საკითხს „კონსტიტუციის ჟირონდისტულ პროექტს, რომლის ავტორი იყო ჟირონდისტების ერთ-ერთი ლიდერი კონდორსე. აქ საუბარია სამ საკითხზე, რაც მთავარი პრობლემის გაშუქების ისტორიულ ფონს ქმნის, ის სამხედრო პოლიტიკური და სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობა საფრანგეთში ჟირონდისტების კანონპროეტის განხილვის წინ. მეორე საკითხი შეეხება კონვენტის მიერ ჟირონდისტული კონსტიტუციის კომისიის შექნის და კონვენტში ამ კომისიის წევრის კონდორსეს კონსტიტუციის პროექტს. მესამე – საფრანგეთის პოლიტიკური მოწყობის ჟირონდისტული გეგმა, ამის განხილვით, ფაქტობრივად სრულდება პირველი თავი.

ყურადღებას იქცევს სადისერტაციო ნაშრომის მეორე თავი, სადაც განიხილება აქტუალური თემა „იაკობინები საფრანგეთის პოლიტიკური ორგანიზაციის ჟირონდისტული პროექტის წინააღმდეგ“. საუბარია სამ თემაზე: პირველი საკითხია იაკობინელთა დამოკიდებულება ჟირონდისტების კონსტიტუციის კანონპროეტისადმი. მეორე საკითხია ჟირონდისტების კონსტიტუციის კანონპროექტი ირგვლივ გამართული დებატები, რომელსაც პოლიტიკური სარჩული უძევს საფუძვლად. მესამე საკითხია რობესპიერისა და სენ-ჟიუსტის კონტრპროექტი, რომელიც უპირისპირდებოდა ჟირონდისტების კანონპროექტს.

მესამე თავში განხილულია პრინციპული საკითხი, საფრანგეთის პოლიტიკური მოწყობა ხელისუფლებაში იაკობინთა მოსვლის შემდეგ. განხილულია სამი თემა. პირველი ეხება იმ ღონისძიებებს, რომლებსაც განახორციელებდნენ იაკობინების საზოგადოების ხსნის კომიტეტის უფლებამოსილების გაფართოების და ამ უკანასკნელის მიერ კონსტიტუციური გადამუშავების საქმეში. მეორე საკითხია – იკობინთა კონსტიტუციის მიღების შემდეგ დღის წესრიგში დგება დეკლარაციის ტექსტის გადასინჯვა, მესამე საკითხი შეეხება ფრიად აქტუალურ თემას და მიზნად ისახავს გააშუქოს ის ძირითადი პრინციპები და დებულებები, რომელიც ჩამოყალიბებულია 1793 წლის იაკობუნურ კონსტიტუციაში, მისი დაპირისპირება წინა კონსტიტიციასთან და კონსტიტუციის პროექტებთან. განხილულია ჟირონდისტული კონსტიტუციის პროექტი, რომელსაც დაუპირისპირდა რობესიერის და სენ-ჟიუსტის პროექტი.

დასკვნაში ხაზგასმულია, რომ ამ საკითხზე იაკობინებს და ჟირონდისტებს შორის აზრთა სხვადასხვაობა გამოწვეული იყო 1793 წელს საფრანგეთში შექმნილი რთული პოლიტიკური, სამხედრო და სოციალ-ეკონომიკური ვითარებით. არ უნდა გამოვრიცხოთ პირადი მტრობით, რომელიც დიდ როლს ასრულებდა. მას საფრანგეთის რევოლუცია აქტუალურ საკითხებზე კიდევ 10-მდე ნაშრომი აქვს დაწერილი.

დღევანდელი გადასახედიდან ამ შრომებში გამოთქმული ძირითადი დებულებებისადმი მკაცრი მიდგომა მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია. ეს აღნიშნულ საკითხზე სწორ წარმოდგენას ვერ შეგვიქმნის. ჩვენი აზრით, ის სავსებით შეესატყვისებოდა საბჭოთა პერიოდის ისტორიული მეცნიერების მოთხოვნებს. ეს სადისერტაციო ნაშრომის, უდავოდ, დადებითი მხარეა, რომლისაც ნამდვილად ვერ აუვლდით გვერდს.

უნდა აღინიშნოს, რომ ნაირა მამუკელაშვილის სადისერტაციო ნაშრომმა სპეციალიტების დადებითი შეფასება დაიმსახურა. განსაკუთრებით ფასეულად მიგვაჩნია ნაშრომის ოფიციალური ოპონენტის საფრანგეთის ახალი ისტორიის კომპეტენტური მკვლევარის პროფ. გენადი კუჩერენკოს დადებითი დასკვნა. ეს იმ პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის მიღწევების აღიარება იყო. სასურველი იქნებოდა, რომ პროფ. ნაირა მამუკელაშვილის ეს ნაშრომი გამოქვეყნებულიყო წიგნის სახით. (8. 95-96).

ამის შემდეგ მისმა მეცნიერულმა შემოქმედებამ, უმთავრესად, პროფ. კოტე ანთაძის ხელმძღვანელობით, მკვეთრი მეტამორფოზი განიცადა და ის საფრანგეთის ახალი ისტორიის საკითხებიდან, ისტორიის სწავლების მეთოდიკის თემატიკაზე გადაერთო. პროფ. ნაირა მამუკელაშვილი სულ მალე ჩამოყალიბდა ამ დარგის ერთ-ერთ წამყვან სპეციალიტად საქართველოში, ქართული ისტორიოგრაფიის წინაშე მისი მეორე დამსახურება, სწორედ ამაშია, ამ სფეროში ნაირა მამუკელაშვილის საქმიანობის მწვერვალს წარმოადგენს მისი სადოქტორი დისერტაცია – „ახალი ისტორიის სწავლება ქართულ საბჭოთა სკოლაში“.

ქართული ისტორიოგრაფიის წინაშე მის კიდევ ერთ დამსახურებად მიგვაჩნია ახალი ისტორიის ახლებურად დაწერილი სასკოლო სახელმძღვანელოები. მან პროფ. კოტე ანთაძესთან ერთად, პირველად ქართულ ისტორიოგრაფიაში სრულიად განსხვავებული რაკურსით დაწერა მერვე კლასის ახალი ის-

ტორიის სასკოლო სახელმძღვანელო, ეს იმაში გამოიხატა, რომ ნაირა მამუკელაშვილი შეეცადა მაქსიმალურად გაეთავისუფლებინა სახელმძღვანელო მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის გავლენისაგან.

პროფ. გივი კიღურაძის გუნდის კიდევ ერთი ღირსეული წევრია ისტორიკოსი გიორგი ბეჟუაშვილი. ის პროფ. გივი კიღურაძემ შენიშნა და წინ წამოწია. პირველი სამისგან განსხვავებით, მისი მეცნიერული ინტერესების სფერო სულ სხვა იყო და ცილდება პროფ. გივი კიღურაძის მეცნიერული შემოქმედების არეალს. ის სხვა მიმართულებით წავიდა. მას სადისერტაციო ნაშრომის თემად შეურჩიეს საკითხი გერმანიის უახლესი ისტორიიდან „თავისუფალი გერმანელ ახალგაზრდების კავშირის შექმნა და მისი როლი ანტიფაშისტურ-დემოკრატიულ გარდაქმნებში აღმოსავლეთ გერმანიაში (1945-1949 წწ.)" (26).

გიორგი ბეჟუაშვილის მთავარი საქმიანობა ბიზნესი იყო. მეცნიერება დამხმარე საშუალება. მნიშვნელოვანწილად, სწორედ ამით აიხსნება, რომ მისი მეცნიერული მემკვიდრეობა ძალზედ მოკრძალებულად გამოიყურება და უმთავრესად, ერთ მეცნიერულ პრობლემასთან ასოცირდება. ესაა მისი საკანდიდატო დისერტაცია და ამ თემაზე გამოქვეყნებული 10-მდე ნაშრომი.

ნაშრომში საინტერესოდაა მოცემული წყაროების და ლიტერატურის მიმოხილვა. დღევანდელი გადასახედიდან მისი მკაცრად შეფასება მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია. ის სავსებით აკმაყოფილებდა იმ პერიოდის საბჭოთა ისტორიოგრაფიის მოთხოვნებს.

პირველი თავი შეეხება „აღმოსავლეთ გერმანიაში ახალგაზრდობის ანტიფაშისტური ორგანიზაციის ფორმირებას". მეორე თავში საუბარია „თავისუფალი გერმანელი ახალგაზრდების როლი ანტიფაშისტურ-დემოკრატიული გარდაქმნაში აღმოსავლეთ გერმანიაში". თითოეული თავი კიდევ დაყო-

ფილია პარაგრაფებად. პირველი თავი სამ პარაგრაფად, მეორე თავი კი ოთხ პარაგრაფად და ბოლოს დასკვნა, სადაც ის ცდილობს შეაჯამოს ჩატარებული კვლევა. როგორც გიორგი ბეჟუაშვილის კურსელი პროფ. მერაბ კალანდაძე იგონებს მისთვის ყოველთვის დამახასიათებელი იყო კომუნისტური საზოგადოებისადმი მოწიწებული დამოკიდებულება, რაც სხვათა შორის, კარგადაა გამჟღავნებული სადისერტაციო ნაშრომის შერჩევაში (26). ფაქტობრივად, საქმე გვაქვს გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში კომკავშირის მოღვაწეობის პირველი ნაბიჯების გაშუქების მცდელობასთან.

პროფ. გივი კიღურაძის გუნდის კიდევ ერთმა წევრმა ისტორიკოსმა პაატა ფირანიშვილმა დაიცვა დისერტაცია „საზღვარგარეთის ქვეყნების ჩაგრული ხალხების ბრძოლა, ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობა ილია ჭავჭავაძის იდეური მემკვიდრეობის საკითხზე" (27).

უნდა დავეთანხმოთ პროფ. მერაბ კალანდაძეს როდესაც პროფ. გივი კიღურაძის გუნდში მოიაზრებს პროფესორის ვასილ კაჭარავას. საქმე ის გახლავთ, რომ ქართულ ისტორიოგრაფიაში მისი პირველი ნაბიჯები მჭიდროდაა დაკავშირებული პროფ. გივი კიღურაძის სახელთან. კათედრას დიდი ხნის მანძილზე არ ყავდა ამერიკის ისტორიის სპეციალიტი, ამერიკანისტი და ამ ვაკუუმის შევსება, უმთავრესად, ახალი ისტორიის სპეციალისტს უხდებოდათ. გაჩნდა ხელსაყრელი შანსი ამ ვითარების გამოსწორების. მის ერთ-ერთ მთავარ მოთავე სწორედ, პროფ. გივი კიღურაძე გახლდათ. ახალგაზრდა ნიჭიერი ისტორიკოსი ვასილ კაჭარავა გააგზავნა მოსკოვში მიზნობრივ ასპირანტურაში, როგორც მომავალი ამერიკანისტი. 1999 წელს პროფ. ვასილ კაჭარავას ძალისხმევით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ჩამოყალიბდა ამერიკის ისტორიის შესწავლის ცენტრი, რომელიც წლების განმავლობაში საკმაოდ მრავალფეროვან და საინტერესო საქმიანობას ეწევა. მოხდა ამერიკის შეერთებული შტატების ახალი და უახლე-

სი ისტორიის შესწავლის მეცნიერულ ჭრილში გადაყვანა. ამ კარგი საქმის მოთავედ, სწორედ, პროფ. გივი კიღურაძის ხელდასმული ვასილ კაჭარავა მოგვევლინა. იგი გახლდათ საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების უახლესი ისტორიის ერთ-ერთი კომპეტენტური სპეციალიტი, ეს პროფ. გივი კიღურაძის წარმატებასაც წარმოადგენს (28. 307).

1994 წელს მან მონოგრაფიის სახით გამოსცა თავისი საკანდიდატო დისერტაცია „მშრალი კანონი ამერიკაში". 2008 წელს გამოვიდა მისი კიდევ ერთი საინტერესო მონოგრაფია „1920-იანი წლების ამერიკა", ხოლო 2011 წელს – „ამერიკა 1950-იან წლებში". ამ სფეროში ვასილ კაჭარავას საქმიანობის თავისებურ რეზიუმედ გვევლინება მის მიერ შექმნილი სახელმძღვანელოები ამერიკის შეერთებული შტატების ისტორიაში (8.100-101).

* * *

ამრიგად, პროფ. გივი კიღურაძის საქმიანობა მეტად მრავალმხრივი და მრავალფეროვანი იყო და მხოლოდ იმით არ შემოიფარგლებოდა, რომ ის გახლდათ დასავლეთ ევროპის ახალი ისტორიის და ისტორიოგრაფიის საკითხების ნიჭიერი მკვლევარი, არამედ იგი მუდამ ზრუნავდა ნიჭიერი ახალგაზრდების მოძიებაზე და ყოველნაირად უწყობდა ხელს მათ მეცნიერულ ზრდას. რომელთა შემდგომი მეცნიერული წარმატებების სათავეებთან, სწორედ პროფ. გივი კიღურაძე დგას. ნაადრევი გარდაცვალების გამო, მან ამ მიმართულებით მხოლოდ პირველი ნაბიჯების გადადგმა მოასწრო. ეს ქართული ისტორიოგრაფიის წინაშე მისი კიდევ ერთი დამსახურება გახლდათ. ეს ამ სფეროში პროფ. გივი კიღურაძის მოღვაწეობის საინტერესო ასპექტია.

ახალგაზრდა მკვლევარების ერთმა ჯგუფმა, რომელმაც მეცნიერებაში საქმიანობა პროფ. გივი კიღურაძის ხელმძღვან-

ელობით დაიწყო. შემდგომში წარმატებით განაგრძო მუშაობა და დაწყებული საქმე ბოლომდე მიიყვანა. ჩვენი აზრით, პირობით ისინი ორ ჯგუფად შეიძლება დავყოთ. მისი მოწაფეების ერთმა ნაწილმა გააგრძელა მასწავლებლის დაწყებული საქმე და იმ თემატიკას იკვლევდა, რომელიც აინტერესებდა პროფ. გივი კიღურაძეს. ამ ჯგუფის წევრები არიან: ისტორიკოსი კონსტანტინე (კოტე) ბოჭორიშვილი, პროფ. ნაირა მამუკელაშვილი, პროფ. მერაბ კალანდაძე. მისი გუნდის მეორე წევრები სულ სხვა გზით წავიდნენ და სულ სხვა თემატიკის დამუშავებას მოკიდეს ხელი. ამ ჯგუფში შედიან ისტორიკოსები გიორგი ბეჟუაშვილი, პაატა ფირანიშვილი და პროფ. ვასილ კაჭარავა.

არსებული საკითხის გაშუქება საინტერესოდ და აქტუალურად მიგვაჩნია, ეს ქართულ ისტორიოგრაფიაში პროფ. გივი კიღურაძის მიერ შეტანილ წვლილზე კიდევ უფრო სრულყოფილ წარმოდგენას გვიქმნის.

## ლიტერატურა:


1. К. Бочоришвили, Французская армия как общественно-политическая сила во время консуьство и империи (1799-1815 гг. ), Тб., 1982.
2. გ. კილურაძე, საფრანგეთის დიდი ბურჟუაზიული რევოლუციის ისტორიიდან (ახალი არმიის ორგანიზება), თბ., 1963.
3. გ. კილურაძე, საფრანგეთის არმია დიდი რევოლუციის პირველ ეტაპზე (1789-1792), თბ. 1982.
4. მ. კალანდაძე, ნაპოლეონის ეპოქის ქართველი მკვლევარი, თბ., 2020.
5. მ. კალანდაძე, ისტორიკოსი კონსტანტინე (კოტე) ბოჭორიშვილი, სოხუმის უნივერსიტეტის შრომები. ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სერია, ტ. XXI, თბ., 2018-1019.
6. Д. Туган-бараноский, У истоков Бонапартизма: происхождение режима Наполеон I. М., 1986.
7. К. Бочоришвили, Д. Туган-барановский, У истоков Бонапартизма: происхождение режима Наполеон I, Новая и новеишая история, 5, 1989.
8. თ. ანთაძე, მ. კალანდაძე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი და უახლესი ისტორიის კათედრის ისტორია თბ., 2014.
9. В. Бузескул. Всеобшая история и ее представители в России, т. 1-2, М., 1929-1931.
10. მ. კალანდაძე, ყველა სიკეთე საბჭოთა რეალობასთან როდი ასოცირდება, თბ., 2021.

11. მ. კალანდაძე, საქართველოში ძველი მსოფლიოს ისტო-რიის შესწავლის ძირითადი ეტაპები, ქართული დიპლო-მატია, წელიწდეული, 19, თბ., 2021.
12. მ. კალანდაძე, ქართული მედიევისტიკის სათავეებთან, თბ., 2009.
13. მ. კალანდაძე, დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების და ახალი ისტორიის შესწავლა საქართველოში XX საუკუნის პირველ ნახევარში თბ., 1999, М. Каландадзе, Александр Георгевич Наморадзе (1890-1958), Новая и новеищая история, 4, 1998, M. Kalandadze, Die Anfinge des studiums der Mittelalterichen und neueren Geschichte Westeurohas. Georcica. 23. 2000. M· Каландадзе, У историков изучения
14. истории западной Европы в Грузии· წიგნში Н. Добровски. Труды. Тб. 2004.
15. მ. კალანდაძე, პროფესორი კონსტანტინე ანთაძე, თბ., 2014.
16. მ. კალანდაძე, ისტორიოგრაფიული ეტიუდები, ნაწილის პირველი, თბ., 2011, მესამე კარი.
17. მ. კალანდაძე, ამერიკის შერთებული შტატების ახალი ისტორიის პრობლემების შესწავლა საქართველოში, თბ., 2015.
18. კ. ანთაძე, მ. კალანდაძე, კ. მეშველიანი, ისტორიის პე-რიოდიზაციისათვის, მაცნე, ისტორიის სერია, 2, 1992, კ. ანთაძე, კ. მეშველიანი, მ. კალანდაძე, მსოფლიოს ისტორიის პერიოდიზაციის საკითხებისათვის, ისტო-რია და გეოგრაფია სკოლაში, 1, 1992, М. Каландадзе, Грузинские школные учебники по новой истории, Преродавание истории в школе, 7. 1994.
19. მ. კალანდაძე, მსოფლიო ისტორიის პერიოდიზაცია ქარ-თულ ისტორიოგრაფიაში, თბ., 2007.
20. М. Каландадзе, Шилер и проблемы новой истории. Автореферат дисертаций на соискание ученой степений кандидата исторических наук, Тб, 1988.

21. მ. კალანდაძე, ნაპოლეონი ქართულ სიტყვაკაზმულ ლიტერატურაში, თბ.. 2008.
22. რ. ჩხეიძე, ჩემი წილი ვატერლო, თბ., 2015.
23. მ. კალანდაძე, პროფესორი უშანგი სიდამონიძე, თბ., 2004. M. Kalandadse, Uschangi Sidamonidze,eun Opfer des totalităren Regimes, Gerrgica, 28. 2005.
24. M. Kalandadzre, Ivane Javachischvili unda Eragen der Philosohhie unda der metigologir drt Geschichte in der georgichen Historigraphie, Georcica, 36, 2013.
25. M.Kalandadze, Ivane Javachischvili und Fragen der Epistemologie der Gerchichte Georcica, 35. 2012. M.Kalandadze, Die Beleuchtung der Fragen der Philosophie und der Metogologie der Geschichte in der georgischen Historiographie, Georcica. 36, 2013.
26. მ. კალანდაძე, ისტორიოგრაფიული ეტიუდები, ნაწილი მეორე, თბ., 2019.
27. Н. Мамукелашвили, борьба за демократизацию политичесского строя Франции в первой половине 1793 года, Авторреферат диссертации на соискание ученой степени кандидата исторических наук, Тб., 1986.
28. Г. Бежуашвили, Создание союза немецской молодёжи и его роль в антифашитко-демократических преобразованиях в восточной Германии (1945-1949 гг.) Автореферат диссертации на сойскание ученой степени кандидата историческох наук, Тб., 1987.
29. П. Пиранишвили, Проблемы национально-освобидительного движения угнетенныхнародов зарубежных стран и иденном наследие Ильи Чавчавадзе, Автореферат Диссертации на соискание ученой степени кандидата исторических наук, Тб., 1984.
30. მ. კალანდაძე, პროფესორი გივი კიღურაძე და ამერიკის ახალი ისტორიის საკითხები, საისტორიო ძიებანი, XII, თბ., 2013-2015.

## აკაკი სურგულაძე

## გივი კილურაძე
## (1922-1978)

თბილისის უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის პრო-ფესორ-მასწავლებელთაგან 40-60-იან წლებში გივი კილურაძ-ეს. შოთა მესხიას, დავით გვრიტიშვილს და მე განსაკუთრებით ახლო ურთიერთობა გვქონდა. გივის კლასის მეგობრები და სულის თანაზიარი იყვნენ აგრეთვე მარიკა ლორთქიფანიძე, ოთარ ჯაფარიძე, გოგი ფუთურიძე. სამუშაოს დამთავრების შემდეგ ჩვენ თითქმის მუდამ ერთად ვიყავით. სამუშაოზე თუ ოჯახში ჩვენი საუბარი სათაყვანო უნივერსიტეტს, ჩვენ მშ-ობლიურ ქვეყანას, მის წარსულს, აწმყოსა და მომავალს შე-ეხებოდა. დაუფარავად, გულღიად ვუზიარებდით ერთმანეთს საკუთარ აზრს, არ ვჩქამალავდით რომელიმე ჩვენთაგან-ის ნაკლსა თუ უნებლიე შეცდომას პირადი ცხოვრების თუ სამეცნიერო სარბიელზე.

ჩვენი თაობა ისტორიის ფაკულტეტზე გამოირჩეოდა პრო-ფესიული ძმობით, გულღიაობითა და ურთიერთპატივისცემით, ოჯახური სიახლოვე და საქმისადმი კოლექტიური პასუხისმგე-ბლობა, როგორიც ჩვენს პატარა წრეს ახასიათებდა, ზოგში შურსაც იწვევდა. ჩვენი თაობა საკუთარ ნაჭუჭში არ ყოფილა ჩაკეტილი, პირადი საზრუნავით დაკავებული. ხშირი შეხვე-დრები და კოლექტიური სჯა-ბაასი საპრობლემო მეცნიერულ თუ საზოგადოებრივ საკითხებზე. ასეთი შეხვედრები გამოირ-ჩეოდა ჭეშმარიტი ძმობის დამახასიათებელი შინაგანი კავ-

შირებით, უანგარობით, გულღიაობის ატმოსფეროთი, სადავო პრობლემების ერთობლივი ძალით გარკვევის სურვილით, ერთმანეთის ნაკლის მეგობრული მხილებისა და ამ ნაკლის დაძლევისადმი მისწრაფებით. მაშინ ჩვენ ერთ ან ოროთახიან ბინაში ვცხოვრობდით მრავალსულიანი ოჯახებით, თითოეული ჩვენთაგანი სამ და ოთხ შვილს ზრდიდა. საზოგადოებრივი ტრანსპორტი კომფორტად მიგვაჩნდა. ახალ კი მდგომარეობა გაცილებით უკეთესია, მაგრამ თითქოს მოჭარბდა ინდივიდუალიზმი...

გივი კილურაძემ 1943 წელს წარჩინებით დაამთავრა ისტორიის ფაკულტეტი. იმ დროს მსოფლიო ისტორიის კათედრის გამგემ, პროფესორმა ალექსანდრე ნამორაძემ ამ მოდარდიმანდო ჭაბუკში ამოიცნო საგანგებო ნიჭი ისტორიული კვლევა-ძიებისა და იგი კათედრის ასპირანტად შეარჩია. ამ დროიდან მოკიდებული გივი უწყვეტად მოღვაწეობდა უნივერსიტეტში ჯერ როგორც მასწავლებელი, შემდეგ დოცენტი, პროფესორი – კათედრის გამგე. უნივერსიტეტი და კათედრა იყო მისი დედა, მისი სიცოცხლე. მუდამ შთაგონებული იყო იმ პრობლემებით, რომელთა კვლევა მისმა საყვარელმა ხელმძღვანელმა ალექსანდრე ნამორაძემ დააკისრა. ალ. ნამორაძის გარდაცვალების შემდეგ მის კათედრას ცხრა წლის განმავლობაში (1960-1969) განაგებდა პროფესორი გივი ჟორდანია. 1969 წ. გივი ჟორდანია შუა საუკუნეების ისტორიის კათედრას ჩაუდგა სათავეში. გივი კილურაძე კი არჩეული იქნა ახალი ისტორიის კათედრის გამგედ და ეს თანამდებობა სიცოცხლის ბოლომდე ეკავა.

საქმეში ღრმად ჩაუხედავ ზოგ ინტელიგენტს შეიძლება მიაჩნდეს, რომ საქართველოში ევროპის ისტორიის კვლევა-ძიებას არა აქვს ფართო პერსპექტივა, რომ ევროპის ისტორიას თვით ევროპაში და რუსეთში ჰყავს ბრწყინვალე მკვლევარები და ამ საქართველოში სუსტი ბაზა დარგის განვითარებისათვის. შეიძლება ეს დებულება ზოგადად სწორია, მაგრამ

გრ. ნათაძის, ა. ნამორაჩის, გ. ჟორდანიას, დაბოლოს, გივი კიღურაძის სამეცნიერო მოღვაწეობა აქარწყლებს ამ ეჭვებს. ვისაც საშუალება ჰქონდა ღრმად ჩაეხედა მაგალითად გივი კეღურაძის საკანდიდატო და სადოქტორო დისერტიებში, რომელთაც რუსეთის გამოჩენილმა ევროპეისტებმა უმაღლესი შეფასება მისცეს, გაცნობოდა მის სქელტანიან მონოგრაფიას, ახალი ისტორიის შესავალს რომ ეძღვნება, ალბათ დაგვემოწმება რომ ყველა ეს ნაშრომი მარქსისტულ ისტორიული აზრის ერთ-ერთი საუკეთესო მონაპოვარია და თამამად შეიძლება გვერდით ამოუყენოთ ევროპელ და რუს თანამედროვე გამოჩენილ ისტორიკოსთა ნაშრომებს ამავე პრობლემებზე. კვლევის ასეთ შედეგებს გივიმ მიაღწია იმით, რომ თავიდანვე ჩაღრმავებული იყო ევროპელ ისტორიკოსთა ნააზრევში და, რაც მთავარია, ისტორიული ფაქტებისა და მოვლენების ანალიზის ნიჭი ჰქონდა მომადლებული. განსაკუთრებით ნაყოფიერი იყო მისი სიცოცხლის უკანასკნელი წლები, როცა მისი ხელმძღვანელობით ავტორთა კოლექტივმა შექმნა ახალი ისტორიის სახელმძღვანელოს ორტომეული, მისი ორი დიდი მონოგრაფია, რომელთაგან პირველი ინგლისის ბურჟუაზიულ რეოლუციას მიუძღვნა, მეორე – საფრანგეთის დიდი ბურჟუაზიული რევოლუციის ისტორიოგრაფიას. ამ მონოგრაფიების გამოქვეყნებას, სამწუხაროდ, თვით, ვეღარ მოესწრო. სწორედ იმ დროს გაუვარდა ხელიდან კალამი, როცა ხელნაწერი ბოლო გვერდების რედაქციას აკეთებდა.

ევროპის ისტორიით გატაცებას გივი არ მოუწყვეტია მშობლიური ნიადაგიდან. იგი ჩახედული იყო საქართველოს ისტორიაშიც. ევროპული ისტორიის მოვლენების ცოდნა ეხმარებოდა ზოგჯერ უკეთ აეხსნა საქართველოს ისტორიის ესა თუ ის მოვლენა, მშვენიერი ნარკვევები უძღვნა მან საქართველო-საფრანგეთის ისტორიულ და კულტურულ ურთიერთობას, პარიზის კომუნის გამოძახილს იმდროინდელ ქართულ საზოგადოებრიობაში, საქართველო-იტალიის ურთიერთობას. საქა-

რთველოს ისტორიის საპრობლემო საკითხებზე მსჯელობისას იგი შემოგვთავაზებდა ხოლმე ზოგჯერ ფრიად ანგარიშგასაწევ მოსაზრებებს და პარალელებს ავლებდა ევროპის ისტორიის იმდროინდელ მოვლენებთან, იგი სულით ხორცამდე იყო განმსჭვალული საქართველოს სიყვარულით და ალბათ წუთითაც არ შეყოვნდებოდა საკუთარი სიცოცხლეც გაემეტებინა სამშობლოს სამსხვერპლოდ, თუ ეს აუცილებელი გახდებოდა.

განშორებით აღძრული ტკივილი გივის ახლო მეგობრებს ვერასოდეს ვერ დაუყუჩებდა, რადგან არავინაა ისეთი, რომ იგი გაიმეოროს. გივის თავისებური ჰქონდა გარეგნობაც და სულიც. იზიდავდა მისი ელეგენტურობა, დახვეწილი მანერები, სხივმომფინარე გამოხედვა, მისი ნათელი ალერსიანი თვალები ხოლო ყველა, ვინც ახლო იცნობდა გივის შინაგან სამყაროს, მის ინტელექტს, მოხიბლული იყო მისი სულიერი სიმდიდრით, დიაპაზონის სიფართოვით, ბავშვური გულჩვილობით და გრძნობების სისპეტაკით.

გივის ზოგჯერ მოჭარბებული ემოციები ახასიათებდა, მაგრამ მის ბუნებას არასოდეს არ აჩნდა კვალი ხელოვნურობისა, იგი ხალასი და თავანკარა გრძნობა იყო, სიყვარულით აღვსილი და სიკეთით ფრქვევისთვის მოწოდებული გული ჰქონდა. თანდაყოლილი თავმდაბლობის გამო არავის ჭრიდა თვალს, არ პოზიორობდა, წინაპლანზე არ წევდა თავის მეობას, ასეთი ადამიანები სიცოცხლეში არ ჩანან გამორჩევით, მაგრამ როცა ამ ქვეყანას ტოვებენ, მაშინვე ჩნდება რაღაც სიცარიელე, რომელიც ველარ ამოივსება.

ადამიანის გონიერი სიცოცხლე ორი ასაკისაგან შედგება, პირველ ასაკი ახალგაზრდულია, როცა წრეში ახალ-ახალი მეგობრები შემოდის და ამ შენაძენის კვალდაკვალ ფართოვდებოდა და მრავალფეროვანი ხდება შენი სულიერი სამყარო. ამ დროს ცხოვრება ნაირფერი ყვავილთ თაიგულს ჰგავს. მეორე ასაკში ეს ყვავილები თანდათან ჭკნება, თაიგული ღარიბდება, სიცარიელე იზრდება; ამ დროიდან ცხოვრება მოკლებულია

რომანტიკულ სილაღესა და მომხიბვლელობას. სულში სიმ-
არტოვის მწარე შეგნება ისადგურებს. გივი ჩემი ცხოვრების
თაიგულის ერთი ულამაზესი ყვავილი იყო, მისმა დაჭკნობამ
უფრო მეტად გამიცნობიერა მეორე ასაკის სიმძიმე, ნუგეში
ისაა, რომ გივი ჩვენი ასაკის ადამიანებს გარდა ახალგაზრ-
დობასაც ეკუთვნის და იგი მუდმივად დარჩება მისი აღზრ-
დილების, უმცროსი კოლეგების, სტუდენტების ხსოვნაში.

## НАУЧНАЯ СЕССИЯ В ТБИЛИССКОМ ГОСУДАРСТВЕННОМ УНИВЕРСИТЕТЕ

12 февраля 1982 г. состоялась научная суссия кафедры новой и новейшей истории стран Европы и Америки исторического факультета Тбилисского университета, посвященная 60-летия видного советского франковеда Г. Ш. Кигурадзе. Читателям «Французского ежегодника» этот грузинский ученый известен статьей, посвященной 100-летнему юбилею Парижской Коммуны (в соавторстве с В. Б. Донадзе).[10]

Сессию открыл проректор университета, профессор С. М. Джорбенадзе, который говорил о жизни и деятельности Г. Ш. Кигурадзе. С научными докладами и воспоминаниями о Г. Ш. Кигурадзе выступили профессор К. Д. Антадзе, доцент Н. И. Киквидзе и др.

Основы грузинской школы франковедения были заложены в годы Советской власти в работах тбилисских ученых А. Наморадзе и Г. Натадзе.[11] Представителем этой школы и был Г. Ш. Кигурадзе.

---

[10]Французский ежегодник, 1971. М., 1973.

[11]См. их труды и публикации: Наморадзе А. Г. Административная система и муниципальное управление во Франции в XVII-XVIII вв.: (По административной переписке и законодательным актам эпохи). Тбилиси, 1935. На груз. яз.: Шарль-Луи Монтескьё: Жизнь и деятельность. Тбилиси, 1956. На груз. яз.: Натадзе Г. Я. Причины возвышения Наполеона I – Сообщ. Тбил. ун-та, 1927, т. 8, с. 213-276. На груз. яз.: Завещание и мемуары Наполеона. – Там же. 1925, т. 5, с. 41-53. На груз. яз.

# სარჩევი

შემდგენელებისაგან ........................................3

**კოტე ანთაძე,** გივი კილურაძე ცხოვრება

და მოღვაწეობა........................................11

**გივი კილურაძე,** ცხოვრება და მოღვაწეობა...............14

**მერაბ კალანდაძე,** პროფესორი გივი კილურაძე.................66

**მერაბ კალანდაძე**, პროფესორი გივი კილურაძე ..........128

**თამარ ანთაძე,** ღირსეულად დაფასებული მეცნიერი ......133

**თამარ ანთიძე**, პროფესორი გივი კილურაძე ახალგაზრდა

მეცნიერთა გზამკვლევი .................................. 149

**აკაკი სურგულაძე,** გივი კილურაძე (1922-1978).......... 174

სტამბა დამანი
Print House Damani

თბილისი, პ. ჩანჩიბაძის ქუჩა 6
☎ 214 34 01, 577 33 38 55
stamba.damani@gmail.com
სტამბა დამანი / Print House Damani